

K 19938
4

ბ. ჩიბოჩიძე, ი. ციციშვილი და სხვ. რედაქციის წევრები



არქიტექტურული განათლების საწყისები

დამხმარე სახელმძღვანელო

„ტექნიკური უნივერსიტეტი“


საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნ. თევზაძე, გ. ჩიგოზიძე, ი. ციციშვილი და სხვ.

არქიტექტურული განათლების საწყისები

დამხმარე სახელმძღვანელო

დამტკიცებულია სტუ-ს
სასწავლო-მეთოდური
საბჭოს მიერ



სსტუ-2000
შემოწმებულია

თბილისი - 1997

72(22)
1) აჩიეთ/ცუქის სახელმძღვანელოები
2) აჩიეთ/ცუქის განათლება
უკ. 72: 378.1

წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელო ეხება არქიტექტურული განათლების სხვადასხვა ასპექტებს, რაც განაპირობებს სტუდენტთა შემოქმედებითი აზროვნების ფორმირების თავისებურებებს და სხვადასხვა დისციპლინის სწავლების აქტიური ფორმების ძიებას განათლების საწყის ეტაპზე.
განკუთვნილია არქიტექტურის სპეციალისტების სტუდენტებისათვის.

პროფ. ნ. თაყაიას საერთო რედაქციით

რეცენზენტები: პროფ. რ. ლორთქიფანიძე,
პროფ. ვ. ბათიაშვილი

© გამომცემლობა "ტექნიკური უნივერსიტეტი", 1997



დამხმარე სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მასალა განსხვავებული ხასიათისაა - ზოგიერთი მათგანი წარმოადგენს მეცნიერული კვლევის შედეგების განზოგადებას, ზოგიერთი მხოლოდ ინფორმაციული ხასიათისაა და კურსის სწავლების გარკვეულ ფორმას გეთავაზობს. უნდა აღინიშნოს კათედრის ხელმძღვანელობის დამოკიდებულება სწავლების ხასიათისადმი: უშვებს აზრთა სხვადასხვაობას, აღნიშნავს, რომ სტუდენტებს არ უნდა მოვახვიოთ თავს არც ერთი იდეოლოგია და ეთანხმება მოსაზრებას, რომ "კულტურული პლურალიზმი ქმნის თითქოსდა გარკვეულ ინდივიდუალურ დაცვით საფარს ყოველი მათგანის გარშემო, ვინც კი მოდის დიქტატის მიუხედავად, იცავს თავის შეხედულებებს და პრინციპებს".

შედაგოგთა საკუთარი ინტერპრეტაციები და მათი წარმოდგენები გამოიწვევს სტუდენტებში, ერთი მხრივ, საკითხთა კრიტიკული შეფასების და ოპტიმალური ვარიანტის შერჩევის უნარის გამომუშავებას, ხოლო, მეორე მხრივ, სწავლების სისტემაში სასწავლო დისციპლინათა შერჩევითობის დაშვების შემთხვევაში საშუალებას მისცემს სწორად განსაზღვრონ როგორც მათთვის სასურველი დისციპლინა, ასევე ერთი და იმავე კურსის განსხვავებული მეთოდით სწავლების ვარიანტი.

გვფიქრობთ, რომ შრომის აღნიშნული თავისებურებანი არ უნდა ჩაითვალოს ნაკლად. მომავალში, როდესაც დაგროვდება სათანადო მასალა, უთუოდ შეიქმნება შესაძლებლობა, შესრულდეს უფრო გამიზნული თემატური გამოცემები, რომლებიც მიეძღვნება რომელიმე ერთ პრობლემას. ამავე დროს მომზადდება იმის საფუძველი, რომ გამოიცეს ფუნდამენტური სახელმძღვანელო. ავტორები იმედს გამოთქვამენ, რომ დამხმარე სახელმძღვანელოს გამოცემა გამოიწვევს გარკვეულ გამოხმაურებას როგორც სხვადასხვა არქიტექტურული სკოლების პროფესორ-შედაგოგების და სტუდენტების მხრივ, ასევე არქიტექტორების მხრივაც, რომლებიც მოღვაწეობენ არქიტექტურული საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. ეს კი, თავის მხრივ, საშუალებას მოგვცემს კორექტივი შევიტანოთ მომავალ გამოცემაში, თვით სწავლების მეთოდოლოგიაში, ამასთან, სახელმძღვანელოს საშუალებით მოხდება აზრთა ურთიერთგაზიარება და შედაგოგიური გამოცდილების დონის ამაღლება, ხოლო სპეციალისტებს, რომლებიც მუშაობენ არქიტექტურული განათლების სისტემაში, საშუალებას მისცემს აღმოაჩინონ იმ პრობლემების საქმის კურსში, რომლებზეც მუშაობენ მათი კოლეგები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტში.

არქიტექტურული განათლების სპეციფიკა

წამყვანი პრინციპი, რომელიც ჩადებულია არქიტექტურული განათლების სფეროს ძირითად სტრატეგიაში და მოიცავს სწავლების ყველა დონეს და ფორმას, ესაა უწყვეტი განათლების პრინციპი. არქიტექტურული განათლების სისტემა ემყარება ამ პრინციპს ოთხ დონეზე: უმაღლესამდელი მომზადება, უმაღლესი პროფესიული განათლება, ასპირანტურა და კვალიფიკაციის ამაღლება მოღვაწეობის პროცესში.

უმაღლესამდელი მომზადება მიზნად ისახავს გამოავლინოს არქიტექტორის პროფესიით დაინტერესებული ახალგაზრდობა. დღეისათვის საქართველოში უმაღლესი არქიტექტურული სკოლის დაკომპლექტება ხდება შემდეგი სასწავლო დაწესებულებებიდან: საშუალო სკოლა, სამშენებლო ტექნიკუმი, არქიტექტორთა კავშირთან არსებული ჯგუფი, ცალკეული სპეციალური სასწავლებლები. ამ სამსახურების ორგანიზაციული სტრუქტურა და სწავლების ხასიათის გაცნობა უფლებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ არც ერთი მათგანი არ იძლევა სასურველ არც ხარისხობრივ და არც რაოდენობრივ შედეგს და სრულად არ ითვალისწინებს მოთხოვნებს, რომლებიც დგას დღეს უმაღლესი არქიტექტურული სკოლის წინაშე. უმაღლესამდელი მომზადების სწორ ფორმად მიგვაჩნია არქიტექტურის კოლეჯის შექმნა არქიტექტურის ინსტიტუტის ბაზაზე, რომლის წინამორბედს დღეს წარმოადგენს სტუ-ს არქიტექტურის ინსტიტუტის და თბილისის №1 საშუალო სკოლის თაოსნობით გახსნილი დიფერენცირებული სწავლების ჯგუფი თბილისის №1 საშუალო სკოლაში.

უმაღლესი არქიტექტურული სკოლა მონოდებულია ჩამოაყალიბოს არქიტექტორი, როგორც შემოქმედი პიროვნება, რომელიც ორგანულად აერთიანებს თავის თავში მხატვრის, მეცნიერის, ინჟინრის თვისებებს; ჩამოაყალიბოს სპეციალისტი, რომელსაც ესმის საზოგადოების განვითარების პერსპექტივები, გარემომცველი გარემოს გაჯანსაღების ამოცანები, რომელსაც შეუძლია გადაწყვიტოს არქიტექტურის წინაშე მდგარი პრობლემები. უმაღლესი სკოლა მონოდებულია მოამზადოს ფართო მსოფლმხედველობის სპეციალისტი, რომელსაც ნათლად აქვს წარმოდგენილი თავისი მომავალი ამოცანები და პერსპექტივები, აღჭურვილია სათანადო ცოდნით და შემოქმედებითი უნარით და აქვს არქიტექტურის ნებისმიერ სფეროში სპეციალიზაციის უნარი.

ასპირანტურა წარმოადგენს სამეცნიერო-პედაგოგიური და მეცნიერული კადრების მომზადების ფორმას. ამ დონეზე მომზადება წარმოებს სამეცნიერო განხრების და სპეციალობების შესაბამისად. არქიტექტურის ინსტიტუტში ასპირანტურა მომზადება მიმდინარეობს შემდეგი სპეციალობების მიხედვით: არქიტექტურის თეორია და ისტორია (180001); შენობების და ნაგებობების არქიტექტურა (180002); ქალაქმშენებლობა, რაიონული დაგეგმარება, ლანდშაფტური არქიტექტურა და სასოფლო სამუორნეო დასახლებული ადგილების დაგეგმარება (180004).

კვალიფიკაციის ამაღლება, რომელიც გამიზნულია განხორციელდეს სტუ-ს არქიტექტურის ინსტიტუტის ბაზაზეც, მონოდებულია სწავლების მეთოდებითა და ფორმებით დაეფუძნოს თანამედროვე არქიტექტურული პრაქტიკის აქტუალური ამოცანების კონცეპტუალურ-თეორიულ დამუშავებებს.

არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ განათლების ყველა დონეზე სასწავლო პროცესის წარმატებას ძირითადად განაპირობებს სამი მომენტი: როგორია პედაგოგი, როგორია სტუდენტის მომზადების, მონდობების და უნარის დონე და როგორია სწავლების მეთოდიკის ხარისხი.

სტუდენტების სწორი პროფესიული ფორმირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ საერთო ატმოსფეროს, რომელსაც ქმნიან პედაგოგები ჯგუფში. მათი უნარი -სწორად შეაფასონ სტუდენტთა შესაძლებლობები, გამოავლინონ თითოეული მათგანის ~~ფერ~~ კიდევ გაუთვითცნობიერებელი და შეუცნობელი შესაძლებლობები, სწორი შეფასება მისცენ თითოეულ მათგანს, გარკვეულად განაპირობებს ჯგუფში ჯანმრთელი მუშა ატმოსფეროს შექმნას, ამასთან - სტუდენტისა და პედაგოგის ერთობლივი შემოქმედებითი მუშაობის წარმატებას. პედაგოგის ერუდიცია, მისი იუმორი, აზრთა გაზიარება, საკითხის განხილვა და სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინება ავლენს სტუდენტის მეტად მნიშვნელოვან თვისებებს, ხელს უწყობს მისი შეხედულებების სწორად ჩამოყალიბებას და მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა შეფასების უნარის გამომუშავებას. პედაგოგის მაღალი პროფესიული და მორალურ-ეთიკური დონე მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იმუშაოს ახალგაზრდამ თავის თავზე, როგორ უნდა შეითვისოს ყოველივე კარგი, კონტროლი გაუწიოს თავის ქცევას, ზოგჯერ შეიცვალოს ჩვევები და ა.შ.

ამ თვალსაზრისით, უდავოა, რომ მეტად დიდია პედაგოგის პასუხისმგებლობა მომავალი თაობისა და ქვეყნის წინაშე. აქ ხაზი უნდა გაესვას პედაგოგ-არქიტექტორის პასუხისმგებლობის სპეციფიკურობას. თუ მედიკოსების მომზადებისას პასუხისმგებლობა განპირობებულია სასწავლო პროცესში სტუდენტების მიზიდვით ავადმყოფებთან კლინიკებში დაბალი კურსებიდანვე და ამით გამორიცხულია სწავლების ყოველგვარი პირობითობა და რაიმე ცრუ მოდელების და აზრების ფორმირება, რამდენადაც მისი პასუხისმგებლობა ადამიანის სიცოცხლეს განსაზღვრავს; თუ მშენებელ-კონსტრუქტორის პასუხისმგებლობა ასევე ადამიანის სიცოცხლესთან არის დაკავშირებული, რამეთუ მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგია მყარი შენობა თუ ნაგებობა, რომელიც ადამიანის სიცოცხლეს არ ემუქრება, სულ სხვაა არქიტექტორის პასუხისმგებლობა. დაბალი დონის დაგეგმარებას და უსახო გარემოს არ მივყავართ ფიზიკურ კატასტროფამდე, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ის მორალური პასუხისმგებლობა, რომელიც პედაგოგ-არქიტექტორს აკისრია. ეს პასუხისმგებლობა უნდა გაითვითცნობიეროს ყოველმა სტუდენტმა სწავლის დასაწყისშივე. მან უნდა იცოდეს, რომ იგი არის იმ გარემოს შემქმნელი, რომელშიც უნდა იცხოვროს და იღვანოს დღევანდელმა და მომავალმა თაობებმა, ამ გარემოში უნდა მოხდეს პიროვნებათა ფორმირება, მათი შეხედულებების, გემოვნების, ფსიქოლოგიის, მორალის გამომუშავება.

სტუდენტისათვის სწავლის პროცესი უნდა იყოს სასიამოვნო და ხალისიანი, ახლის მოძიებელი და არაორდინარული. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება მისთვის ყოველი მეცადინეო ჯ საინტერესო თავისი პროცესებითა და შედეგით. მეტად მწ შენელოვანია ის მომენტი, რომ სწავლების პროცესში პედაგოგი არ გადაიქცეს მოსაწყენ პედაგოგ-დამრიგებლად, რომელიც "სტუდენტებს თავს აბეზრებს ყველაფრისმცოდნეობით". პედაგოგ-არქიტექტორის მუშაობა შემოქმედე

ბაა. ესაა შთაგონებული საქმიანობა, ოსტატობის დახვეწა და არა მოსაწყენი მუშაობა. პედაგოგ-არქიტექტორისათვის სტუდენტებთან მუშაობა გარკვეულწილად მისი კვალიფიკაციის ამაღლებაა, თეორიულ თუ პრაქტიკულ საქმიანობაში სისტემატური ვარჯიშია.

ამ კონტექსტში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტს, რომელთანაც მუშაობს პედაგოგი, მისი ცოდნის დონესა და ხარისხს. სტუდენტისა და პედაგოგის ინტერესები ერთია, ისინი ავსებენ და ამდიდრებენ ერთმანეთს. სტუდენტისა და პედაგოგის ურთიერთობისას სისტემატურად და დროის მოთხოვნათა შესაბამისად ხდება სწავლების მეთოდიკის სრულყოფა, განახლება და კორექტირება.

არქიტექტურული განათლება ეყრდნობა პროფესიული განათლების კომპლექსურ სისტემას, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივ-ისტორიულ, ტექნიკურ-ეკონომიკურ და არქიტექტურულ-მხატვრულ დისციპლინებს. არქიტექტურული განათლების საწყის საფეხურს წარმოადგენს სწავლების უმაღლესამდელი პერიოდი და უმაღლესში სწავლების პერიოდის პირველი ორი წელი. წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელო სწორედ ამ პერიოდებითაა წარმოდგენილი: ნაწილობრივ უმაღლესამდელი და სრულად უმაღლესი სწავლების პერიოდის პირველი ორი წლით. შრომა იწყება არქიტექტურაზე საუბრით, ხოლო შემდეგ წარმოდგენილია ის დისციპლინები, რომლებიც ავსებენ და აპრობებენ რა ერთმანეთს, ხელს უწყობენ მომავალი არქიტექტორის მთავარი მხარის, მისი შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარებას არქიტექტურული განათლების საწყის ეტაპზე და საბოლოოდ განსაზღვრავენ სასურველ შედეგს - პროფესიონალ-არქიტექტორის ჩამოყალიბებას.

დისციპლინა „შესავალი სპეციალობაში“ წარმოდგენილია ლექციების კურსით, რომლის მიზანია შეუქმნას ინსტიტუტში მოსულ ახალგაზრდას სრული წარმოდგენა არქიტექტორის პროფესიაზე. კურსი იკითხება პირველ სემესტრში და მთავრდება ჩათვლით.

დისციპლინები „მხაზველობითი გეომეტრია“, „ხატვა“, „ფერწერა“, „ქანდაკება“ შეიძლება გაერთიანდეს ერთ მხატვრულ-გრაფიკული დისციპლინის სფეროში. თითოეული დისციპლინა ცალ-ცალკე და ერთად მოზარდს და შემდეგ სტუდენტს უქმნის იმის მყარ საფუძველს, რომ ჩამოყალიბდეს ეს სპეციალისტად, კერძოდ, ამ სფეროს მიზანია შეუქმნას სტუდენტს მოცულობით-სივრცული აზროვნების თეორიულ-მეცნიერული საფუძვლები, გამოუმუშაოს მხატვრული და გრაფიკული ჩვენები, განაპირობოს მისი გემოვნების სათანადო ფორმირება.

დისციპლინის „მხაზველობითი გეომეტრია“ საწყისი ნაწილია დისციპლინა „ხაზვა“, რომელიც ისწავლება უმაღლესამდელ პერიოდში საშუალო სკოლის მეშვიდე და მერვე კლასებში. მის გაგრძელებას წარმოადგენს დისციპლინა „საინჟინრო გრაფიკა“, რომელიც ისწავლება თბილისის ტექნიკური საშუალო სკოლის დიფერენცირებული სწავლების ფგუფი ორი წლის მანძილზე. ესაა კურსი, რომელიც უზრუნველყოფს უმაღლესში მისაღები გამოცდების ჩაბარებას ხაზვაში. დისციპლინა „მხაზველობითი გეომეტრია“ ისწავლება პირველ კურსზე, მოიცავს სალექციო კურსს და პრაქტიკულ მეცადინეობებს. ყოველი სემესტრი მთავრდება პრაქტიკულ სამუშაოებში დიფერენციალურ ჩათვლით, წლის ბოლოს არის გამოცდა.

დისციპლინების „ხატვა“, „ფერწერა“ სწავლება იწყება უმაღლესამდელ პერიოდში, მაგალითად, სკოლის დიფერენცირებული სწავლების ფგუფის მეათე

კლასიდან, სადაც ხატვისათვის განკუთვნილია კვირაში 4 საათი. ხატვა უმაღლესში მისაღები გამოცდების ძირითადი საგანია. უმაღლეს სასწავლებელში იგი ისწავლება 4 წელი. ფერწერისათვის უმაღლესამდელ - იმავე დიფერენცირებული სწავლების ჯგუფში გამოყოფილია კვირაში 3 საათი. ფერწერაშიც ტარდება მისაღები გამოცდები, ხოლო უმაღლესში იგი ისწავლება პირველი ორი წელი. ყოველი სემესტრი ხატვასა და ფერწერაში მთავრდება დიფერენციალური ჩათვლით. გარდა ამისა, მეორე კურსის ბოლოს ტარდება თითო-თითო კვირიანი პრაქტიკები ხატვასა და ფერწერაში, რომლებიც მთავრდება დიფერენციალური ჩათვლით.

დისციპლინა „ქანდაკება“ ისწავლება უმაღლესი სკოლის მეორე კურსზე. კურსი მთავრდება დიფერენციალური ჩათვლით ყოველ სემესტრში.

დისციპლინის „არქიტექტურული კომპოზიცია“ ძირითადი მიზანია გამოუმუშაოს სტუდენტს მოცულობით-სივრცითი აზროვნების უნარი. კურსი ისწავლება სკოლის დიფერენცირებული სწავლების ჯგუფში ბოლო ერთი წელი კვირაში 2 საათი. უმაღლესში იგი ისწავლება პირველი ორი წლის მანძილზე. დისციპლინა შეიცავს სალექციო კურსს და პრაქტიკულ მეცადინეობებს: „არქიტექტურული კომპოზიციის“ პრაქტიკული კურსი ყოველი სემესტრის ბოლოს მთავრდება დიფერენციალური ჩათვლით, ამასთან, პირველი კურსის შემდეგ თეორიაში არის ჩათვლა, ხოლო მეორე კურსის ბოლოს - გამოცდა.

დისციპლინა „არქიტექტურული კომპოზიცია და დაპროექტების მეთოდიკა“ მიზნად ისახავს მოამზადოს სტუდენტი მოცულობით-სივრცითი აზროვნებიდან თანდათანობით დაპროექტების საფუძვლების შესწავლაზე გადასვლაში. კურსი ისწავლება უმაღლესი სკოლის მეოთხე სემესტრში და მოიცავს ლექციებს და პრაქტიკულ მეცადინეობებს. პრაქტიკული კურსი მთავრდება დიფერენციალური ჩათვლით, თეორია - ჩათვლით.

დისციპლინის „არქიტექტურული გეგმარების საფუძვლები“ მიზანია სტუდენტში შემოქმედებითი უნარის და ჩვევების გამოუმუშავება გარკვეული სანყისი მონაცემების საფუძველზე. მას ეთმობა უმაღლესში სწავლების პირველი ორი წელი. კურსი წარმოადგენს პრაქტიკულ მეცადინეობებს სათანადო თეორიული ნაწილით. თეორიული ნაწილის მიზნებია ხორციელდება დავალებების შესაბამისად. ყოველი სემესტრი მთავრდება დიფერენციალური ჩათვლით, პირველი კურსის ბოლოს არის სასწავლო-აზომვითი პრაქტიკა, რომელიც მთავრდება ასევე დიფერენციალური ჩათვლით.

ყველა წარმოდგენილ დისციპლინას აქვს თავისი სპეციფიკა, ამოცანა და მიზანი, რაც განსაზღვრულია შესაბამის სტატიებში. აღნიშნული დისციპლინების თავმოყრა ძირითადად ერთ კათედრაზე, საშუალებას იძლევა მოხდეს თანდათანობითი და სისტემატარებული გადასვლა მარტივი კომპოზიციური სავარჯიშოებიდან არქიტექტურული გეგმარების საფუძვლების დაუფლებაზე. არ არის გამორიცხული უკუპროცესი. დროის შესაბამისად დაპროექტებისადმი წაყენებული მოთხოვნები გარკვეულად მოქმედებს ყველა წარმოდგენილ დისციპლინის სწავლების მეთოდიკაზე, განსაზღვრავს და სახეს უცვლის მას. დაბოლოს, შეიძლება აღინიშნოს, რომ უმაღლესში სწავლების მეოთხე სემესტრ წარმოადგენს არქიტექტურის სანყისი ყველა დისციპლინის შემაჯამებელ საფეხურს, ხოლო პირველი ორი წელი მთლიანად - შემდგომ კურსებზე სწავლების მყარ საფუძველს.

არქიტექტურის ეტიმოლოგია და არსი

ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნე, ბერძენი ფილოსოფოსი დემოკრიტე (ძვ.წ.460-370) მუსიკას "ხელოვნებათაგან უმცროსად" თვლიდა, რასაც იმით ხსნიდა, რომ "გაჭირვებამ კი არ შექმნა", არამედ უკვე განვითარებული ფუფუნებისაგან წარმოიშვა იგი. თუ ამ აზრის ლოგიკას გავუყვებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არქიტექტურა ხელოვნებათაგან უძველესია, რადგან იგი ადამიანის უპირველესმა გაჭირვებამ - უამინდობისა და გარეული მსხვერპლისაგან თავშესაფრის ძებნამ წარმოიშვა.

ახალგაზრდა არც არქიტექტურის თეორიაა. მართალია, ჩვენამდე არ მოუღწევია ძველბერძნულ ნაწარმოებებს არქიტექტურის შესახებ (რომელთა არარსებობა ძნელი წარმოსადგენია კლასიკური არქიტექტურისა და მაღალი ფილოსოფიური აზროვნების სამშობლოსა და ეპოქაში), მაგრამ რომელი არქიტექტორის ვიტრუვიუსის ჩვენამდე მოღწეული ტრაქტატიც კი „ათი წიგნი არქიტექტურაზე“ ჯერ კიდევ ძველი ნელთალრიცხვის I საუკუნეში დაინერა.

მიუხედავად არქიტექტურისა და არქიტექტურული მეცნიერების ასეთი სიძველისა, არქიტექტურის არსის გაგება დღემდე უფრო აქტუალურ და ნაკლებად გადაჭრილ პრობლემად რჩება, ვიდრე ადამიანთა საქმიანობის რომელიმე სხვა დარგის არსისა.

მ. ტოსუნოვა თავის სახელმძღვანელოში „არქიტექტურული დაპროექტება“ ზოგადი სახით განმარტავს არქიტექტურის ბუნებას და წერს:

„არქიტექტურა თითქმის იმდენივე ხანია არსებობს დედამიწაზე, რამდენიც ადამიანთა საზოგადოება. საზოგადოებრივ ცვლილებებთან ერთად არქიტექტურა ვითარდებოდა, განიცდიდა აღმავლობისა და დაცემის პერიოდებს“.

მაგრამ რა არის არქიტექტურა, როგორ განვსაზღვროთ მისი რთული და მრავალსახოვანი არსი?

მეცნიერებამ ვერ მოგვცა ადამიანთა მოღვაწეობის ამ სფეროს საკმაოდ ღრმა და სრული განსაზღვრა:

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარდა არქიტექტურის არსისა, იგივე შეიძლება ითქვას ამ ტერმინის ეტიმოლოგიის შესახებაც.

ამ დებულების დასადასტურებლად განვიხილოთ ოფიციალურ წყაროებში - ენციკლოპედიებში, ლექსიკონებსა და სახელმძღვანელოებში მოცემული განსაზღვრა არქიტექტურის არსისა.

დავწყოთ თუნდაც „ესთეტიკის მოკლე ლექსიკონიდან“. ამ წიგნის 40 ავტორი ერთხმად და ყოველგვარი მერყეობის გარეშე ხელოვნების დარგებად თვლის: არქიტექტურას, გამოყენებით ხელოვნებას, ფერწერას, ქ. დაკებას, გრაფიკას, მუსიკას, ქორეოგრაფიას, ცირკს, მხატვრულ ლიტერატურას, თეატრს, კინოს, სამრეწველო ხელოვნებას (დიზაინს) და ასე გასინჯეთ, ტელევიზიასა და საესტრადო ხელოვნებასაც კი.

ამასთან, ყოველი მათგანი არსი ასეთი ფორმულითაა განსაზღვრული: $X(X$ -ის ნაცვლად ჩასმულია ადამიანთა მოღვაწეობის ერთ-ერთი ზემოთ ჩამოთვლილი სახეთაგანი) არის ხელოვნების დარგი, რომელშიც სინამდვილის მხატვრული ასახვის საშუალებად გვევლინება $Y(Y$ -ის ნაცვლად ჩასმულია სინამდვილის მხატვრული ასახვის, ხელოვნების ამ დარგისათვის დამახასიათებელი

საშუალება ან საშუალებები, კერძოდ, ერთი ფერის ნახატი, ფერი ნახატთან უწყვეტ კავშირში, სიტყვა და სხვ.).

მაგრამ არქიტექტურის არსის განმარტებისას იგივე ორმოცი ავტორი თვლის, რომ: „არქიტექტურა (ბერძნ. *architekton* -მშენებელი) არის სამშენებლო ხელოვნება, ადამიანის შემოქმედებითი მოღვაწეობის განსაკუთრებული სახე, რის შედეგად იქმნება ნაწარმოები, რომელიც განასახიერებს საზოგადოების მატერიალური კულტურისა და ხელოვნების ერთიანობას“.

ამგვარად ისინი, ჯერ ერთი სწორად არ განმარტავენ არქიტექტურის ეტიმოლოგიას, რადგან ძველ ბერძნულში „მშენებლის“ აღმნიშვნელი ტერმინი არის „*tekton*“ და არა „*architekton*“ და გარდა ამისა -რაც შეეხება არქიტექტურის არსის განმარტებას -ვერ ბედავენ გარკვევით თქვან, რომ არქიტექტურა ხელოვნების ერთ-ერთი დარგია, ხოლო იმის აღიარებიდან, რომ „არქიტექტურა სამშენებლო ხელოვნებაა“, მსგავსად იმისა, რომ „კულინარია სამზარეულო ხელოვნებაა“, ჯერ კიდევ არ გამომდინარეობს ის, რომ ადამიანთა მოღვაწეობის ორივე ეს დარგი ხელოვნებას მიეკუთვნება.

სახელმძღვანელოების უმრავლესობაში არქიტექტურის არსი ასეა განმარტებული: „არქიტექტურა შენობების, ნაგებობების და მათი კომპლექსების აშენების ხელოვნებაა“. ამ განმარტებითაც არქიტექტურა იმდენადვე შეიძლება მიეკუთვნოს ხელოვნების დარგებს, რამდენადაც -კულინარია თავისი საყოველთაოდ მიღებული სწორი განმარტებით: „კულინარია... საკვების მომზადების ხელოვნებაა“.

XIX საუკუნის ცნობილი ფრანგი არქიტექტორი და არქიტექტურის თეორეტიკოსი ვიოლე ლე დიუკი დაახლოებით ასევე ხსნის არქიტექტურის არსს: „არქიტექტურა სამშენებლო ხელოვნებაა“-წერს იგი და ამასთანავე აღნიშნავს, რომ „არქიტექტურა ორი ელემენტისაგან შედგება -თეორიისა და პრაქტიკისაგან“. თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის მნიშვნელობას არაფერი მოაკლდება თუ ვიტყვით, რომ ამ უკანასკნელი ფრაზით ავტორი ფაქტურად არაფერს მატებს არქიტექტურის არსის განმარტებას, რადგან ამ ორი ელემენტის თანაარსებობა მხოლოდ არქიტექტურის თავისებურებას არ წარმოადგენს და ერთნაირად დამახასიათებელია ადამიანის მოღვაწეობის ნებისმიერი დარგისათვის.

რიგი ავტორებისა სამართლიანად თვლიან არქიტექტურას ადამიანთა მოღვაწეობის ისეთ სახედ, რომლისთვისაც დამახასიათებელია ობიექტური რეალობის ასახვის ესთეტიკური ფორმა, მაგრამ ამავე დროს აღნიშნავენ, რომ „არქიტექტურა ადამიანის შრომით შექმნილი ის მატერიალური გარემოა, რომელშიც ადამიანის ცხოვრება და მოღვაწეობა მიმდინარეობს“.

ეს არის არქიტექტურული ნაწარმოების არსის განმარტება (რასაც მხოლოდ გადატანითი აზრით უწოდებენ „არქიტექტურას“) და არა არქიტექტურისა. ჩვენ ხომ არქიტექტურის, როგორც ადამიანთა მოღვაწეობის ერთ-ერთი დარგის განსაზღვრა გვინტერესებს, თორემ გადატანითი მნიშვნელობით „არქიტექტურას“ უწოდებენ არა მარტო არქიტექტურულ ნაწარმოებს, არამედ აკრეფენ ნაშენის არქიტექტურულ ხარისხსაც („შენობას კარგი არქიტექტურა აქვს“), რაიმეს სტრუქტურასაც („სახის არქიტექტურა -სახის სტრუქტურა“) და ფრან-

კმასონთა ლოჯაში წარმოთქმულ ქადაგებასაც კი ("morceau d'architecture -არქიტექტურის ნატეხი") და არ შეიძლება განმარტებისას არქიტექტურის არსი ამ ტერმინის რომელიმე გადატანითი მნიშვნელობის არსით შევცვალოთ.

დაახლოებით ასეთივე (და არა მხოლოდ ასეთივე) ალოგიურობით ხასიათდება „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ შესამე გამოცემაში შეტანილი განსაზღვრა არქიტექტურის არსისა, რომელიც არქიტექტურის დოქტორს ა. იკონიკოვს ეკუთვნის:

„Архитектура /лат. Architectura от греческого architecton-строитель/, зодчество, -система зданий и сооружений, формирующих пространственную среду для жизни и деятельности людей, а также само искусство создавать эти здания и сооружения в соответствии с законами красоты...“

ამ განმარტებიდან ვერ გაიგებ, რა არის არქიტექტურა და წარმოადგენს იგი თუ არა ხელოვნების ერთ-ერთი დარგი! დასაწყისშივე ავტორი აყენებს თეზისს: არქიტექტურა არის არქიტექტურული ნაწარმოების და აგრეთვე („а также“) ადამიანთა მოღვაწეობის ერთ-ერთი დარგი, რაც სულ ცოტა რომ ვთქვათ, ალოგიურობა, რადგან, ჯერ ერთი, არქიტექტურა თავისი არსით არქიტექტურული ნაწარმოები არ არის და მეორეც, არქიტექტურა თავისი არსით, უპირველეს ყოვლისა (და არა „а также“), ადამიანთა მოღვაწეობის ერთ-ერთი დარგია. მაგრამ ამ „а также“ -ს შემდეგაც, როდესაც აიკონიკოვი ამბობს, რომ არქიტექტურა არის „...само искусство создавать эти здания и сооружения в соответствии с законами красоты“, იგი თითქმის ზუსტად იმეორებს არქიტექტურის ტრადიციულ „კულინარიულ“ განმარტებას „დიდი ფრანგული ენციკლოპედიიდან“, რომლის მიხედვით: „архитѣктура“ (ლათ. architectura) არის შენობათა აგების ხელოვნება პროპორციებში და განსაზღვრული წესების მიხედვით“.

არქიტექტურის არსის ასეთი განმარტებიდან სრულებითაც არ გამომდინარეობს, რომ იგი ხელოვნების ერთ-ერთი დარგია, რადგან, როგორც ცნობილია, ნამცხვარიც (მაგილთად ტორტი) ყველა ამ პირობის დაცვილ მზადდება: „პროპორციებში და განსაზღვრული წესების მიხედვით და „...в соответствии с законами красоты“. მაგრამ ნამცხვარი ხელოვნების ნაწარმოებად არასოდეს არავის ჩაუთვლია (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კარგი დიასახლისისათვის გაზვიადებული ქათინაურის თქმა უნდოდათ), რადგან მას არ გააჩნია ხელოვნების ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი ძირითადი თვისება: არ შესწევს უნარი მხატვრულად ასახოს ობიექტური რეალობა.

არქიტექტურის არსის ყველა მსგავს განმარტებაში: „архитѣктура -სამშენებლო ხელოვნება“ 5 „архитѣктура -შენობების, ნაგებობებისა და მათი კომპლექსების აშენების ხელოვნება“, ავტორები ეფარებიან ორაზროვან მნიშვნელობას ტერმინისა „ხელოვნება“, რომელიც (ისევე, როგორც ლათინური „Ars“, ფრანგული „L'art“, ინგლისური „Art“, გერმანული „Kunst“, ჩეხური - „Umeni“ რუსული - „Искусство“, უკრაინული „Мистецтво“, ფინური - „Taide“ და ა.შ.) ერთდროულად „ხელოვნებასაც“ აღნიშნავს და „დახელოვნე-

ბასაც“, ხოლო მოცემულ კონტექსტში უდავოდ დახელოვნების მნიშვნელობის მატარებელია და არა ხელოვნებისა.

არქიტექტურა (წარმოებული ლათინური სიტყვიდან *architector*, რომელიც თავის მხრივ შეიქმნა ორი ბერძნული სიტყვისაგან: *arch* -თავსართი მნიშვნელობით -მთავარი და *tektor* -მშენებელი), **ხუროთმოძღვრება** (წარმოებული ქართული სიტყვიდან ხუროთმოძღვარი, -ორი ძველი ქართული სიტყვისაგან: ხუროთ ან ხუროების -მშენებლების და მოძღვარი -იდუერი ხელმძღვანელი) -არის ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი დარგი, რომელიც მხატვრულად ასახავს ობიექტურ რეალობას, თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების პირობებს, თვით ამ ობიექტური რეალობის, საზოგადოების ცხოვრებისათვის აუცილებელი, მატერიალურად ორგანიზებული სივრცითი გარემოს შექმნის გზით.

რადგან არქიტექტურაში ობიექტური რეალობის მხატვრული ასახვის საშუალებას თვით ამ ობიექტური რეალობის შექმნა წარმოადგენს, ამიტომ არქიტექტურა თავისი ბუნებით სახვითი ხელოვნების დარგი კი არ არის (ქანდაკების, ფერწერისა და გრაფიკის მსგავსად), არამედ შექმნითი ხელოვნების დარგია (გამოყენებით ხელოვნებასთან და დიზაინთან ერთად).

ამ თავისებურებიდან გამომდინარეობს ის, რომ არქიტექტურა (და საერთოდ შექმნითი ხელოვნების ყველა დარგი, ხელოვნების სხვა დარგებისაგან განსხვავებით) ყოველთვის ზუსტად ასახავს ობიექტურ რეალობას, რისთვისაც არქიტექტურული (ისევე, როგორც შექმნითი ხელოვნების ყველა დარგის) ნაწარმოებები ყველგან და ყოველთვის ხალხის მატერიალური კულტურის უტყუარ ძეგლებად ითვლება.

არქიტექტურული ნაწარმოებებია: შენობა, ნაგებობა და მათი კომპლექსი. არქიტექტურული შემოქმედების პროცესში მიზნის (ე.ი. დანიშნულებისადმი შესაბამისობის, ანუ ფუნქციის), საშუალებებისა (ე.ი. სტრუქტურული ლოგიკის, ანუ კონსტრუქციის) და გარემოს (ე.ი. ბუნებრივი და ხელოვნური გარემოცვის) ობიექტურად განპირობებული მოთხოვნების შესრულების დონე განსაზღვრავს არქიტექტურული ნაწარმოების ყოველგვარ ღირსებას, მათ შორის ესთეტიკურსაც.

დისციპლინა „შესავალი საეტიკოლოგიაში“

კურსის მიზანია სტუდენტს გააცნოს ის შემოქმედებითი ფორმები, რომლებსაც შეხვდება არქიტექტორი თავისი შემოქმედების დროს და ის პრობლემები, რომლებიც წამოიჭრება მის წინაშე დასმული ამოცანების გადაწყვეტისას.

შესავალ ლექციებში ახსნილი უნდა იყოს არქიტექტორის შემოქმედების კომპლექსური ხასიათი და აქედან გამომდინარე, ინსტიტუტის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა ძირითადი და მომხიზნავე დისციპლინის ათვისების აუცილებლობა. ამასთან, უნდა განემარტოს სტუდენტებს სასწავლო პროცესის თანმიმდევრობის ლოგიკური ურთიერთკავშირი, უმაღლესი სასწავლებლის სტრუქტურა.

ქვემოთ მოგვყავს არქიტექტორის შემოქმედების ძირითადი მიმართულებანი.

ქალაქთმშენებლობა, მისი განსაზღვრა და ძირითადი პრინციპები. ქალაქთმშენებლობის ფუნქციონირების როლი არქიტექტურაში. ქალაქებისა და საცხოვრებელი რაიონების დაგეგმარების თანამედროვე ტენდენციები. ცნება რაიონულ დაგეგმარებაზე. განსახლების პრობლემა. ქალაქთმშენებლობის დარგში არქიტექტორის მუშაობის თავისებურებანი. ქალაქის გენერალური გეგმა და მისი მნიშვნელობა. ანსამბლის პრობლემა არქიტექტურაში. ცნება ანსამბლის შესახებ. მემკვიდრეობითობა ქალაქის ანსამბლში.

საცხოვრებელი სახლების არქიტექტურა, საცხოვრებლის კონცეფციის ევოლუცია. საცხოვრებლის ტიპოლოგია და სტრუქტურა. ქალაქისა და სოფლის საცხოვრებელი სახლები. საბინაო არქიტექტურის თანამედროვე ტენდენციები. დემოგრაფიის ცნება და მისი მნიშვნელობა. საცხოვრებელი სახლის მხატვრული პრობლემები.

საზოგადოებრივი შენობების არქიტექტურა, მისი როლი ქალაქის ფორმირებაში. საზოგადოებრივი შენობების ძირითადი სახეობანი და მათი ადგილი მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებაში. საქალაქო და სასოფლო საზოგადოებრივი შენობები. საზოგადოებრივი შენობების გეგმარების თანამედროვე ტენდენციები.

სამრეწველო ნაგებობათა არქიტექტურა. სამრეწველო ზონების დაგეგმარების ძირითადი პრინციპები. სამრეწველო შენობების ტიპოლოგია. ტექნოლოგიისა და კონსტრუქციების გავლენა სამრეწველო ნაგებობების ფორმირებაზე. არქიტექტურის როლი ადამიანის შრომის გარეშოს ოპტიმიზაციაზე.

ისტორიული ქალაქის რეკონსტრუქცია და არქიტექტურული ძეგლების დაცვა. ისტორიული ქალაქების რეკონსტრუქციის პრობლემები. არქიტექტურის ძეგლები და მათი აღმზრდელობითი მნიშვნელობა. არქიტექტურის ძეგლების შეგუება (ადაპტაცია) თანამედროვე მოთხოვნებთან. ძეგლთა აღდგენის სპეციფიკა და კანონმდებლობა.

ინტერიერის არქიტექტურა. შენობათა შიგა სივრცის ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები. ინტერიერის როლი არქიტექტურულ-მხატვრული სახის შექმნაში. ინტერიერის კუშირი გარე სივრცესთან. ხელოვნებათა სინთეზი ინტერიერში. არქიტექტორის მუშაობის თავისებურებანი საცხოვრებლის, საზოგადოებრივი და სამრეწველო შენობების ინტერიერის გადწყვეტაში.

ლანდშაფტური არქიტექტურა. მისი როლი გარემოს ფორმირებაში. ქალაქთა გამწვანების მნიშვნელობა. არქიტექტურისა და პეიზაჟის ურთიერთობა. ბალ-პარკების აღმოცენება და განვითარება. არქიტექტორის მუშაობის თავისებურება ლანდშაფტურ არქიტექტურაში.

ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორია. ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მნიშვნელობა ხუროთმოძღვრების ძირითად კანონზომიერებათა განსაზღვრისას. პროფესიული მსოფლმხედველობის გამომუშავება. თეორიისა და პრაქტიკის თანაფარდობა. სტილის ცნება არქიტექტურასა და ხელოვნებაში.

ხელოვნებათა სინთეზი. არქიტექტურა, როგორც ხელოვნებათა შერწყმის საფუძველი. არქიტექტორის, მოქანდაკისა და მხატვრის თანამშრომლობის საუკუნოვანი ტრადიციები. ხელოვნების სახეობათა სპეციფიკური უვისებები და მათი გამოყენება არქიტექტურულ-მხატვრული სახის შექმნისას. ხელოვნებათა სინთეზის განვითარების ტენდენციები. ცნება არქიტექტურული ანალიზის შესახებ. არქიტექტორის მოღვაწეობა ისტორიის, თეორიის და კრიტიკის დარგში. არქიტექტურული მეცნიერება, როგორც არქიტექტორის მოღვაწეობის დამოუკიდებელი დარგი.

არქიტექტურის ძირითადი მხარეები და თვისებები — მოხერხებულობა, მდგრადობა, მშვენიერება. მათი ორგანული ერთიანობის მნიშვნელობა (ვიტრუვიუსი, ალბერტი, პალადიო). კონსტრუქციული სისტემები და არქიტექტურული ფორმები.

არქიტექტურის მხატვრული ხერხები — ერთიანობა და თანადაქვემდებარება, ორიენტაცია, სიმეტრია და ასიმეტრია, კონტრასტი, ნიუანსი, თანატოლობა, პროპორციები, რიტმი, მასშტაბურობა, სინათლე, ფერი, ფაქტურა.

არქიტექტორის პროფესია. ისტორიული ექსკურსი. არქიტექტორის ადგილი ძველ ეგვიპტეში. არქიტექტორი შუამდინარეთის ძველ სახელმწიფოებში. არქიტექტორი ძველ საბერძნეთსა და რომში. არქიტექტორი აღორძინების ეპოქაში. ქართველი არქიტექტორები ძველად და ახლა. არქიტექტორის როლი თანამედროვე საზოგადოებაში.

არქიტექტურული გეგმარება. არქიტექტურული ნაგებობა, პირველ ყვლისა, უნდა პასუხობდეს თავის დანიშნულებას, ე.ი. მასში უნდა იყოს შექმნილი ამა თუ იმ სასიცოცხლო (ფუნქციური) პროცესის რაც შეიძლება ხელსაყრელი პირობები, ამდენად, არქიტექტორის ამოცანაა დაპროექტების წინ ყოველმხრივ შეისწავლოს ამ შენობასთან დაკავშირებული სასიცოცხლო პროცესები და მათი კანონზომიერებანი, ამასთან, გაითვალისწინოს როგორც თანამედროვე პროცესები, ისე მათი განვითარების ტენდენციებიც მომავალში. აუცილებელია ამ პროცესებთან დაკავშირებული ფართო გამოცდილების შესწავლა (ლიტერატურა, პროექტები, ნატურა). დასაპროექტებელი შენობის ადგილის ბუნებრივი და ქალაქთმშენებლობითი პირობების შესწავლა (ბუნებრივი პირობები, რელიეფი, შენობისადმი მისადგომები, ტრანსპორტი, სანიტარული პირობები, ნაკვეთის მდგომარეობა და მისი კავშირი მიმდებარე ტერიტორიასთან, შენობის მნიშვნელობა ანსამბლში). შენობის პროექტზე მუშაობის პროცესში სრულდება მოწავალი შენობის შესაძლებელი არქიტექტურული ვარიანტების ესკიზები. რომლებიც ფასდება ფუნქციური, კონსტრუქციული, ეკონომიკური, სანიტარულ-ჰიგიენური და მხატვრული თვალსაზრისით.

სასწავლო პროცესი უმაღლეს სასწავლებელში. სტუდენტს განემატება
სასწავლო პროცესი, თეორიული და პრაქტიკული მუშაობა, დროის ბიუჯეტი,
დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები, წიგნზე მუშაობის კულტურა, ბიბლიოგ-
რაფია, ციტირება. თანამედროვე ტექნიკური ხერხების გამოყენება. გამოთვლი-
თი ტექნიკა. კომპიუტერების გამოყენება. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. და-
მოუკიდებელი კვლევის ჩვევების გამომუშავება. სტუდენტის მონაწილეობა კ-
თედრის სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში. სტუდენტთა სამეცნიერო ორგანი-
ზაციები. არქიტექტურული საპროექტო ბიუროს მუშაობა და სტუდენტთა
მონაწილეობა რეალურ დაპროექტებაში. სტუდენტურ სამუშაოთა კონკურსები.

დისციპლინა „ხატვა“ წარმოდგენილია სამი ავტორის სტატიით, რომლებიც კურსს გვთავაზობენ სამი სხვადასხვა კუთხით და აცხებენ ერთმანეთს. ერთში წინ არის წამოწეული ხატვისათვის სამუშაო ადგილის ორგანიზაციის საკითხები და მოცემულია რიგი სასარგებლო რჩევებისა ამ დისციპლინის უკეთ დაუფლებისათვის, მეორე სტატია ეძღვნება ორი საკითხის - გამოსახვის საშუალებებისა და ტექნიკის - განხილვას, ხოლო მესამე სტატიაში წარმოდგენილია სასწავლო პროგრამა.

ნახატის როლი არქიტექტორის მომზადებაში

„ხატო-ეს ნიშნავს - იმჯელო“.
ენგრი

სახვითი ხელოვნება თავისი ამოცანებითა და ფორმებით წარმოადგენს ურთულეს სფეროს, მის ყოველ დარგში (ფერწერა, ქანდაკება, გრაფიკა და სხვ.) ნახატი წარმოადგენს ძირითად ძარღვს, ამოსავალს პროფესიული სრულყოფისათვის.

ნახატით გადმოიცემა ფორმა, ამა თუ იმ სხეულის გამოსახულება. ხატვა არის თავისებური საშუალება, რომლის გამოყენებითაც ადამიანი ეჩვევა გაანალიზოს გარემო, თავისი ხედვით შეიგრძნოს და შეადაროს საგნები ერთმანეთს. ამ შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ როგორია შუქ-ჩრდილის თანაფარდობა ფორმით, ზომით, ფერით.

ნახატი ხელს უწყობს სივრცული აზროვნების განვითარებას, რაც ასე აუცილებელია არქიტექტორისათვის. ნატურიდან ხატვის დროს ჩვენ არა მარტო აღვიქვამთ გარეგან ფორმას, არამედ შევიცნობთ ნატურის სტრუქტურის თავისებურებებს, მის შინაგან განწყობას. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ნახატის სრულყოფის მიღწევის, ოსტატობის დახვეწის პარალელურად აუცილებელია სათანადო კანონების დაუფლება. ნახატის ერთ-ერთი ტექნიკური სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ იგი სრულდება სიბრტყეზე სამ განზომილებაში, იქმნება სიბრტყეზე მოცულობითი სხეულის გამოსახულება, რომელსაც აქვს სიგრძე, სიგანე, სიღრმე.

სირთულის მიუხედავად საჭიროდ მიგვაჩნია ამ მიმართულებით მუშაობის დაწყება ხატვაში მეცადინეობის დაწყების პირველივე დღიდან. აბიტურიენტისადმი წაყენებულ მოთხოვნებში უკვე უნდა შედიოდეს ის ძირითადი ელემენტები, რაც შემდგომში სტუდენტს დააყენებს სწორ გზაზე, აგრეთვე განაპირობებს მისი სრული ცოდნისა და უნარის გამოვლენას მისაღებ გამოცდებზე ამისათვის საჭიროა აბიტურიენტს, შემდგომში სტუდენტს, მუშაობის დროს პქონდეს კეთილმოწყობილი გარემო. წარმოვადგენთ იმ პირობებს, რაც აუცილებელია და საყოველთაოდაა აღიარებული:

1. საჭიროა მოეწყოს სათანადო განათება-იგი უნდა იყოს მხოლოდ ჩრდილოეთის მხრიდან, ამავე დროს შეიძლება ხელოვნური განათების შექმნა;
2. მანძილი სახატავი ობიექტიდან შემსრულებლამდე არ უნდა აღემატებოდეს ობიექტის სიმაღლის სამ-ოთხ სიმაღლეს, ე.ი. თუ მოდელის სიმაღლე არის 0,50 მ, შემსრულებელი უნდა იჯდეს 1,50-2,00 მ-ის მოცილებით;
3. სახატავი ქაღალდის ზომა (მისაღები გამოცდისათვის) სასურველია იყოს

ფორმატის მეოთხედი 30X40 სმ, რადგან აბიტურიენტს, რომელიც, განსაკუთრებით განიცდის დროის უკმარისობას, გაუჭირდება ნახატის კარგად აღქმა. ამასთან, სახატავ დაფასა (რომელზეც ნახატი არის დაკრული) და ხედვის სიბრტყეს, ანუ მის სახეს შორის უნდა იყოს დაახლოებით ერთი ხელის გაშლა -60 სმ;

4. უნდა იქნეს გათვალისწინებული სახეითი ხელოვნების აღიარებული კანონი კლასიკოსებიდან დღემდე, რაც იმაში მდგომარეობს, რომ დამწყები ახალგაზრდა უნდა ხატავდეს ისეთ სხეულებს, რომელზეც კარგად იქნება გამოსახული ფორმები (პორტრეტი, ფიგურა). გარდა ამისა, ზომით არ უნდა იყოს ძალზე პატარა ან დიდი.

აქვე შეიძლება შევნიშნოთ შემდეგი: მისაღები გამოცდის დროს ზედამხედველობას უნდა სწევდეს მხოლოდ საგნის სპეციალისტები, რათა დროულად იქნეს აღმოფხვრილი პროფესიული გაურკვეველობა; აბიტურიენტებს უნდა ჩაუტარდეს კონსულტაციები სახატავ მასალებზე, მოდელზე, გამოცდის ხასიათზე. აუცილებელია გაეცეს პასუხი მათ ყველა კითხვას.

არქიტექტურის სპეციალობის სტუდენტები, პირველი კურსიდანვე სწავლობენ სპეციალურ საგნებს „არქიტექტურული გეგმარების საფუძვლებს“, „არქიტექტურულ კომპოზიციას“ და საკურსო მოცემულობების შესრულებისას იშველიებენ ნახატს. ნახატის საშუალებით ასრულებენ ესკიზებს, ეძებენ კომპოზიციებს და რაც უფრო გამართული აქვთ ხელი, მით უფრო მალე და სრულყოფილად ახერხებენ დასმულ ამოცანაზე პასუხის გაცემას.

ვერ დავეთანხმებით ზოგიერთის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ხატვა იმ სახით, როგორც ისწავლება დღეს, ნაკლებად სჭირდება არქიტექტორებს. მართალია, პორტრეტის, ფიგურის (თაბაშირის ან ცოცხალი) ხატვა პროექტის წარმოდგენისას არ დასჭირდება იმ სახით, როგორც ხატვაში ისწავლება, მაგრამ იგი აუცილებელია, როგორც საფუძველი ყოველნაირი ნახატისა.

ხატვის საშუალებით ანვითარებს სტუდენტი თვალს, ხელს, გონებას, ამჩნევს ძირითადს, გრძნობს გამოსახულებას, პროპორციებს, ფორმას, სივრცეს. ვინც კარგად ფლობს ნატურიდან ხატვას სწავლის პროცესში და შემდგომში გადავა შემოქმედებით ნახატზე, მას სრულყოფილად შეუძლია ცოცხალი ადამიანის შიშველი სხეულის გადმოცემა, მისთვის ყოველთვის მარტივია ნებისმიერი ფორმის, მათ შორის არქიტექტურული ფორმისა და გარემოს ნებისმიერი წერტილიდან შესრულება, ფორმების როგორც მსხვილ მასებში გადმოცემა, ასევე მათი დეტალიზაცია; იგი შეძლებს მაღალ დონეზე შეასრულოს ესკიზი და შემდეგ პროექტი -ინტერიერი თუ ექსტერიერი, ფასადი, განშლა, რომელიც ზოგჯერ დატვირთულია ფიგურებით, ცხოველებით, ტექნიკით, მცენარეებით; გამოავლინოს პლასტიკა, ხასიათი.

მომავალ არქიტექტორს უნდა ჰქონდეს კარგი თვალი და კარგი ხელი. აქ შეიძლება გავიხსენოთ დიდი შემოქმედის მიქელანჯელოს გამონათქვამი: „არქიტექტორს ფარგალი თვალში უნდა ჰქონდეს და არა ხელში, ხელი უნდა მუშაობდეს და თვალი აფასებდეს“.

მყარი ცოდნის მიღება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ იქნება უდიდესი სწრაფვა და სიყვარული ნატურის შესასწავლად როგორც აგების, მოდელირების, ასევე ანატომიის შესწავლის თვალსაზრისით.

ხატვაში სრულყოფილი მუშაობის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა დისციპლინა, მისი დაცვა და განმტკიცება, რომლის უზრუნველყოფა ინსტიტუტის კედლებში უნდა ხდებოდეს პედაგოგის მეთვალყურეობით. სწორედ პედაგოგმა უნდა გაითვალისწინოს სხვადასხვა რეგიონებიდან და სკოლებიდან მოსული ახალგაზრდების თავისებურებანი, ჩვევები და ხასიათები.

ხატვა ურთულესი პროფესიაა. იგი თავისი ანალიზური ბუნებითა და სიღრმით მეცნიერებას უტოლდება. სტუდენტმა ეს დასაწყისშივე უნდა გაითვით-ცნობიეროს პედაგოგის დახმარებით და მკაცრად დაიცვას მუშაობის ნორმები. მან უნდა იცოდეს, რომ სასურველი შედეგი მიიღწევა მხოლოდ დიდი ფიზიკური და ინტელექტუალური შრომის შედეგად. სწავლის დაწყებისთანავე უნდა შეიქმნას ატმოსფერო პროფესიული შემოქმედებითი შრომისათვის, პედაგოგმა უნდა შეაჩვიოს სტუდენტი, რათა მან შეძლოს გააანალიზოს ობიექტი, ჩაებას საინტერესო პაექრობაში და ამით გამოავლინოს საკუთარი სახე. თითოეული სტუდენტი გამოირჩევა ინდივიდუალობით, რაც ეხერხება და ძალუძს ერთს, არ ეხერხება და ხელს არ ენიჭება მეორეს, ამიტომ ისინი პედაგოგისაგან ასევე ინდივიდუალურ დამოკიდებულებას საჭიროებენ. ეს კი შეიძლება განხორციელდეს ყოველდღიური დამოუკიდებელი დავალებების მოთხოვნით.

არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტთათვის აუცილებლად მიგვაჩნია ანტიკური ქანდაკების ნიმუშების ღრმა და ანალიზური შესწავლა: პროპორციები, მოდელირების ხასიათი, ოქროს კვეთის კანონების, საყრდენი ნერტილების ანალიზი და სხვ. ამ საკითხებს სტუდენტი უნდა ეუფლებოდეს და არ უნდა იყოს მხოლოდ თვალით დანახულისა და გრძნობით აღქმულის იმედზე. ხატვა ანალიზს საჭიროებს, სხვანაირად მასთან ჭიდილი უშედეგოა. ბუნების პარამონია და მშვენიერების კანონები შეუიარაღებელი თვალთ, გამოუცდელი ხელით და დაუხვეწავი ინტელექტით უჩინარია ყველასათვის. უდავოა, რომ სერიოზული და ღრმა ცოდნის მიღება არ ხდება მხოლოდ სტუდენტობის წლებში, იგი მეტ დროს მოითხოვს, მაგრამ ასეთი საძირკვლის ჩაყრა სწორედ სწავლების დასაწყისშივე უნდა ხერხდებოდეს და ამის გარანტი პედაგოგი უნდა იყოს. სტუდენტის დაოსტატების და მისი პროფესიონალად აღზრდისათვის აუცილებელია ღრმა თეორიული ბაზა-სტუდენტმა უნდა იცოდეს, რას აკეთებს, რატომ აკეთებს, რას მისცემს ეს მას. პრაქტიკასთან ერთად მას უნდა მივანოდოთ თეორიული ინფორმაციები. „უთეორიო პრაქტიკოსი უკომპასო ხომალდს წააგავს უზარმაზარ ზღვაში“ ამბობდა ლეონარდო და ვინჩი. მართლაც, ხელოვნების სივრცე უკიდევანო ზღვის მსგავსია. თეორიული ბაზა კი სწორად წარმართავს სტუდენტის შრომას, ააცდენს ფუჭ შრომას და დაკარგულ წლებს.

ეფექტობთ სტუდენტთათვის სარგებლობის მომტანი იქნება ძველი ოსტატების გამოხატუებები და პრაქტიკული ჩვევები.

„ერთი დღეც არ გაატაროთ ისე უქმად, რომ ერთი სხი მიინც არ გააქლოთ, ამბობდა აპელისი. მას ამით უნდოდა ეთქვა და მეც ამას გიმეორებთ -ხაზი არის ნახატი, ეს კი ყველაფერია“.

„რაც უფრო მარტივია ხაზები და ფორმები, მით უფრო მეტი სილამაზე და ძალაა მასში. ყოველთვის, როცა ანანვერებთ ფორმებს, თქვენ მათ ასუსტებთ. ყოველთვის აქეთვენი მიჰყავს დაწვევებას ყველაფერი“.

„ფიგურის აგებისას ნუ ქმნით მას ნაწილ-ნაწილ, შეათავსეთ ერთდროულად, სწორია, როცა ამბობენ -ხატეთ ანსამბლი“.

„ხატეთ მკაფიოდ და გაქანებით, ნახატი სუფთა და ფართე-აი მესმის ხელოვნება“.

„რატომ არ ქმნიან მძლავრ ხასიათებს? იმიტომ რომ ერთი დიდი ფორმის ნაცვლად სამ პატარას იღებენ“.

„ნახატი არის უმაღლესი კეთილშობილების ხელოვნება“.

ენგრი

„ნიჭს შეუძლია შექმნას ყველაფერი, რაც უნდა, გენიოსს კი მხოლოდ ის, რაც შეუძლია“.

დეგა

„ჩემი ფუნჯი არ უნდა ხატავდეს უკეთ, ვიდრე მე“.

გოია

„იმუშავეთ და დაუთმეთ მას თქვენი არსება“.

როდენი

„გაუმარჯოს სინდისიერებას და უბრალოებას! ეს ერთადერთი გზაა, რომელსაც მივყავართ ქვემარტებისა და სრულყოფისაკენ“.

კორო

„ყველაზე სრულქმნილი მასწავლებელი, რომელსაც ტრიუმფალური გზით მივყავართ ხელოვნებისაკენ, ეს არის ხატვა ნატურიდან. ხატვა ნატურიდან ყველაზე უფრო საჭიროა და სჯობს ყველაფერს, მიენდუ მას მთელი გულით“.

ჩენინო ჩენინი

„ფერმწერი, რომელიც გადმოსცემს ნატურას აზრის გარეშე და ხელმძღვანელობს მხოლოდ თავისი პრაქტიკით და თვალის ხედვით, ჰგავს სარკეს, რომელიც ირეკლავს ყველა საგანს, რაც კი მის წინ მოთავსდება, თუმცა მას ცოდნა მათ შესახებ არ გააჩნია“.

ლეონარდო და ვინჩი

„შეიძლება განა თამაში ხელოვნებასთან, შეიძლება განა რამე იყოს ამაზე სასაცილო?“

„ჩემი პროგრამა შრომაა“.

მილე

ნახატი სხვადასხვა ტექნიკასა და მასალაში

ნახატი ის წყაროა, საიდანაც იღებს სათავეს სახვითი ხელოვნების ყველა დარგი. ნახატში იბადება ფერმწერისა და მოქანდაკის, არქიტექტორისა და გრაფიკოსის ჩანაფიქრი. გარდა ამისა, ნახატი, როგორც შემოქმედების საბოლოო შედეგი, წარმოადგენს სახვითი ხელოვნების ერთ-ერთ საინტერესო დარგს. ნახატი ლაპარაკობს ხაზის, შტრიხის, ტონის ენით, ამიტომ რთულია მისი აღქმა, მაგრამ სწორედ ამაში მდგომარეობს ნახატის ხელოვნების საიდუმლოება, მისი ძალა. მისი საშუალებით შეიძლება გადმოიცეს პლასტიკა, ფორმა, სინათლე, ფერიც კი.

ხატვა ადამიანის შემოქმედებითი მოღვაწეობის ერთ-ერთი ყველაზე ძველი სახეობაა. პალეოლითის ხანის კლდის გამოსახულებები, უბრალო ქვისა და ძვლის იარაღებით ამოკანრული კომპოზიციები - ნახატებია, რადგან ძირითადად მათი მხატვრული გამოსახვის საშუალებას ხაზი წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ სახვითი ხელოვნება ნახატებით დაიწყო.

ნახატის ხელოვნებამ აღმავლობას მიაღწია აღორძინების ეპოქაში. მაღალ-მხატვრული ოსტატობით და სრულყოფით გეზიბლავდა ლეონარდო და ვინჩის, მიქელანჯელოს, დიურერისა და ჰოლბაინის ნახატები. უფრო მოგვიანებით ნახატის ხელოვნებაში დიდი მიღწევები ჰქონდათ რუბენსსა და რემბრანტს. XVII-XIX საუკუნეების ბრწყინვალე მხატვრები იყვნენ: ვატო, გოია, ენგრი, დომიე, დეგა, რუსეთში - ვგოროვი, ბრიულოვი, კიპრენსკი, რემინი, ვრუბელი, სეროვი. ნახატის განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე დაგროვდა უზარმაზარი გამოცდილება. შეიქმნა გამოსახვის საშუალებათა მდიდარი არსენალი, რითაც შეიძლება ფართოდ ისარგებლოს როგორც გამოცდილმა შემოქმედმა, ისე დამწყებმა მხატვარმა თუ არქიტექტორმა.

არქიტექტორმა, სანამ შექმნის იგი მშვენიერს, ლამაზს, უნდა შეიცნოს იგი, დაინახოს ბუნებაში, ადამიანის ყოფაში. მან უნდა დაინახოს გარემოს ესთეტიკური მხარე. საჭიროება აღქმისა და მშვენიერის შექმნისა - ის უნარია, რომელსაც ანვითარებს ნახატი, ამიტომაც, რომ ეს დისციპლინა მაპროფილებელ დისციპლინათა რიცხვშია არქიტექტორის პროფესიული განათლებისათვის.

ნახატის გამომსახველობითი საშუალებები ერთი შეხედვით თითქოს შეზღუდულია, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. ხაზი, შტრიხი, ტონი - აი ხატვის ტექნიკის ძირითადი ელემენტები.

ხაზი ნახატის გამოსახვის მთავარი საშუალებაა. თავისი ხასიათით ხაზი სხვადასხვაგვარია. იგი შეიძლება იყოს გრძელი და მოკლე, სწორი და მრუდი, სქელი და წვრილი და სხვ. ხაზის ხასიათი დამოკიდებულია გრაფიკული მასალის თვისებებზე, მხატვრის ინდივიდუალობაზე, მის წინამე დასმულ ამოცანაზე და სხვ. ხაზი - ეს არის ფანქრის, კალმის, თუნჯის, ფლომასტერის მიერ დატოვებული კვალი. ხაზის ხასიათი დამოკიდებულია გამოყვასებულ მასალაზე და სახატავ ზედაპირზე, მის ფაქტურაზე, რომელიც შეიძლება იყოს გლუვი ან ხაოიანი, ცარკვის და სხვ. თუ ნახაზის ღირსებად ითვლება თანაბარი სიქის ხაზები, ნახატში მშრალი ძაფისებრი უწყვეტი ხაზები უსიცოცხლო და არაფრისმთქმელია. ნახატში ხელით გასმული ხაზი ძალდაუტანებელი, თავისუფალი და ცოცხალი უნდა იყოს.

შტრიხი. ხაზმა შეიძლება შტრიხის როლი შეასრულოს. ხაზისაგან განსხვავებით შტრიხს დიდი შესაძლებლობა აქვს ნატურის მოცულობის, მისი ფაქტურის გადმოსაცემად, ამიტომ შტრიხი დიდ როლს თამაშობს ისეთი სამუშაოს შესრულებისას, როცა სტუდენტის წინაშე უფრო რთული ამოცანები დგას, ვიდრე, ვთქვათ ესკიზზე, ჩანახატზე მუშაობის დროს. შტრიხის ხაზები შეიძლება იყოს ხშირი, ერთფეროვანი, მრავალფეროვანი, პარალელური თუ ურთიერთგადამკვეთი. ამასთან, მუშაობის დროს არ უნდა დაგვავინყდეს, რომ მხოლოდ ტექნიკა აგების რეალისტური მეთოდების, იდეისა და აზრის გარეშე, სხვა არაფერია, თუ არა თვითმიზანი, ფუჭი და არაფრისმთქმელი ხერხი.

ტონი. ტონალურ ნახატში, როგორც თვით სახელწოდება გვიჩვენებს, გამოსახვის საშუალებად გვევლინება ტონი, ლაქა. ტონის საშუალებით შეიძლება გადმოიცეს ჩრდილ-ნათელის შეფარდების გრადაცია, მათი სხვადასხვაგვარი ეფექტი. ტონალური ნახატი არის მუშაობის ის სტადია, რომელიც მხატვარმა და არქიტექტორმა აუცილებლად უნდა გაიაროს. თუ არ შევისწავლით ტონალური ნახატის ძირითად კანონზომიერებას, წარმატებას ვერ მივალნევთ ვერც ხაზოვან და ვერც შტრიხოვან ნახატში. კარგად რომ დაეუფლო ტონალური ნახატის ტექნიკას, უნდა იცოდეს გამოყენებულ მასალათა თვისებები და შესაძლებლობანი. მაგალითად, უბრალო გრაფიტის ფანქარი ღია ვერცხლისფერ ტონალობას და ჰაეროვან ნახატს გვაძლევს.

პროფესიული ჩვენების გამომუშავებისათვის ნახატზე მუშაობის დროს საჭიროა მასალის ტექნოლოგიის და ხმარების წესების ცოდნა. ნახატის შესასრულებლად გამოიყენება ისეთი მასალები, როგორებიცაა სხვადასხვა ფერის და სირბილის ფანქარი, სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების კალამი, სხვადასხვა ზომის, ფორმისა და სირბილის ფუნჯი, აგრეთვე ისეთი მასალები, როგორებიცაა სანგინი, სოუსი, პასტელი. ამ მასალების და ხელსაწყოების გამოყენება საშუალებას გვაძლევს მივალნიოთ რთულ და ეფექტურ გრაფიკულ გამოსახულებას.

ფანქარი გრაფიკული მასალაა, რომელიც იძლევა სხვადასხვანაირ ხაზებს. იგი მოიცავს მდიდარ, ჯერ კიდევ ამოუწურავ მხატვრულ-ტექნიკურ შესაძლებლობებს. შემთხვევითი არაა, რომ ბოლო დროს გაიზარდა მხატვართა ინტერესი ფანქრის ტექნიკისადმი. გრაფიტის ფანქარი ყველაზე უფრო ხელსაყრელია სასწავლო ნახატისათვის, ვინაიდან შესაძლებლობას იძლევა გავანალიზოთ საგნის კონსტრუქცია, ვარგად ავაგოთ და გამოვძერწოთ ფორმა, თანმიმდევრობით გავიაროთ მუშაობის ყველა სტადია. გრაფიტი კარგად სრიალებს ქალაღდის ზედაპირზე. კარგად მაგრდება მასზე და ადვილად იშლება ჩვეულებრივი საშუალებით. გრაფიტის ფანქრით შესრულებული ნახატები ნატურისფერი ტონალობისაა, ცოტა პრიალებს. სასურველია M ან B სირბილის ფანქრის გამოყენება.

ნახშირი ფანქრისაგან განსხვავებით საშუალებას იძლევა სწრაფად დაუფაროთ დიდი ზედაპირი, ადვილად ედება ზედაპირზე და თავისუფლად იშლება, რაც საშუალებას გვაძლევს ნახატში შევიტანოთ შესწორებები. ამის გამო ნახშირი იხმარება ესკიზებისა და დიდი ზომის ნახატებისათვის. ნახშირის ნაკლად ითვლება ის, რომ იგი არ მაგრდება ქალაღდის ზედაპირზე, ცვივა უბრალო შეხებითაც კი, ამიტომ ნახშირით შესრულებული ნახატი აუცილებლად

უნდა დაფიქსირდეს. ფიქსატორად შეიძლება გამოყენებული იქნეს ექვლატირის სუსტი ხსნარი, კანიფოლისა და ბენზინის ნაერთი და სხვ.

სანგინი მინერალური წარმოშობის სახატავი მასალაა. მზადდება ჩხირების სახით. სანგინით ისევე მუშაობენ, როგორც ნახშირით. ქალაქზე დატანილი სანგინი მქრქალი ფაქტურისაა, იძლევა რბილ შტრიხს, საშლელით მხოლოდ ნაწილობრივ იშლება.

სოუსს სხვა მასალებთან შედარებით მკვეთრი შავი ფერი აქვს. ძალიან რბილი და მსუყე მასალაა. სტუდენტისათვის რეკომენდებულია სოუსით მუშაობა ნახშირით და ტუშით ხატვის ტექნიკის ათვისების შემდეგ.

ტუში ქმნის დიდი ძალის კონტრასტს და გვაძლევს მრავალ ტონალურ გადასვლას. ჩქარა შრება. ყველაზე მეტად პასუხობს ცინკოგრაფიული ბეჭდვის მოთხოვნებს. ფართოდ გამოიყენება დაზგურ და განსაკუთრებით ნიგნის გრაფიკაში. ტუშით ნახატი ძნელი გასასწორებელია, ამიტომ მკაცრ გრაფიკულ დისციპლინას საჭიროებს მუშაობის დროს. მუშაობა შეიძლება სხვადასხვა ხერხით: კალმით, ფუნჯით, მშრალი ფუნჯით.

ფლომასტერმა დიდი გავრცელება პოვა უკანასკნელ დროს. იგი ხშირად გამოიყენება ჩანახატების შესასრულებლად. ფლომასტერით ნახატი, კალმით ნახატის მსგავსად, ძნელი გასასწორებელია, ამიტომ მოითხოვს მუშაობას შესწორების გარეშე.

დაბოლოს, მხატვარი მოდელს არა მხოლოდ „უბრალოდ“ ხატავს, არამედ თავის შეფასებასაც აძლევს მას. გრაფიკული ხერხების მხოლოდ მექანიკური ათვისება და კეთილსინდისიერი შესრულება საკმარისი არ არის ნატურის პლასტიკის, მისი პარმონიის გადმოსაცემად. შეიძლება ზუსტად გაკეთდეს ნატურის ასლი, მაგრამ თუ ნახატში არ გამოჩნდა დასმული მიზანი, ამოცანა, ავტორის დამოკიდებულება სახატავი ობიექტისადმი, ნამუშევარი უდავოდ არაფრისმთქმელი, მოსაწყენი და მშრალი იქნება.

პროგრამა დისციპლინაში „ხატვა“¹

დისციპლინა „ხატვა“ წარმოადგენს საბავშვო დისციპლინას. კურსის შინაარსი, მისი მიზნები და ამოცანები განსაზღვრულია დისციპლინის ადგილითა და მნიშვნელობით პროფესიული განათლების საერთო სისტემაში.

სტუდენტთა მომზადებას საფუძვლად უდევს რეალისტური ნახატი, რომლის ლოგიკა და არსი დაკავშირებულია სამყაროს შეცნობის დიალექტიკასთან. სწავლების პერიოდში იხსნება ნახატის, როგორც შეცნობის საშუალების, სხვადასხვა შემოქმედებითი ამოცანის გადანყვევებისათვის ქმედითი ინსტრუმენტის, როგორც არქიტექტორისათვის გამოსახვითი საშუალების როლი. კურსის ძირითადი ამოცანები დაკავშირებულია სტუდენტის წარმოსახვითი ამოცანების გადანყვევების აუცილებლობასთან, როგორც სწავლის პერიოდში არქიტექტურულ გეგმარებაში მოცემულობების შესრულებისას, ასევე შემდგომში შემოქმედებითი საქმიანობისას.

პირველ ორ კურსზე ძირითადად ათვისებული უნდა იქნეს შემდეგი:

1. არქიტექტურული ფორმები ნატურიდან მათი სივრცული აგების პრინციპებში ჩანვდომით;
2. პერსპექტიული ნახატები არქიტექტურული ნაგებობის ან საკუთარი პროექტის ორთოგონალური პროექციების საფუძველზე;
3. მხესიერებით და წარმოდგენით ხატვა;
4. ესკიზები და ჩანახატები, როსლებიც აუცილებელია ოპტიმალური გადანყვევების ძიებისას;
5. კომპოზიციური ამოცანები, დანყებული გამოსახულების ქალაღმზე განლაგებით და დამთავრებული წარმოსახვით აგებული კომპოზიციებით;
6. სხვადასხვა მასალა და ტექნიკური საშუალება.

მესამე და მეოთხე კურსებზე საჭიროა განმტკიცდეს მიღებული ცოდნა და ჩვევები, საჭიროა მათი სრულყოფა. ამასთან, მათ უნდა პოვონ უფრო თავისუფალი შემოქმედებითი გამოხატულება. უნდა გვახსოვდეს, რომ ნახატი წარმოადგენს საპროექტო გრაფიკის დაუფლების შეუცვლელ საფუძველს.

საჯალღებულო მუკადინობებზე შესრულებულ სამუშაოსთან ერთად პროგრამით გათვალისწინებული მკონტროლებელი სამინაო დეალებები დამოუკიდებელი სამუშაო შეიძლება რეალიზებულ იყოს ძლიერი სტუდენტების ინდივიდუალური გეგმით სწავლების ფორმით, ფაკულტეტური კურსის თავისუფალი არჩევით და სამუშაოთა სხვა სახეობით - მონაწილეობა ოლიმპადებსა და კონკურსებში, პერსონალურ და ჯგუფურ გამოფენაში და ა.შ.

კურსის „ხატვა“ ძირითადი ნაწილებია:

1. გეომეტრიული ფორმები;
2. ადამიანი;
3. არქიტექტურა და მისი გარემომცველი გარემო.

ამ ნაწილებს აქვთ ერთმანეთთან მჭიდრო და ორგანული ურთიერთკავშირი

1) შესრულებულია მოსკოვის არქიტექტურის ინსტიტუტის პროგრამის საფუძველზე. Программа курса „Изобразительное искусство“ для высших учебных заведений по специальности 2901 - Архитектура. Утверждена Советом УМО по архитектуре, М.: 1989 г.

საერთო მეთოდურ საფუძველზე, შესწავლისა და გამოსახვის ობიექტისადმი ერთიანი ანალიზურ-კონსტრუქციული მიდგომა.


ნაწილი I. გეომეტრიული ფორმები შესავალი კურსია, რომელიც განსაზღვრავს მომავალი არქიტექტორის შემდგომ მიდგომას ნახატისადმი. აქ საფუძველი ეყრება ანალიზურ კონსტრუქციულ-სტრუქტურული ნახატის ძირითად პრინციპებს, სიბრტყეზე სამგანზომილებიანი ფორმის აგების ხერხების, ჩრდილ-ნათელის და ალქმის კანონზომიერებათა გაგებას. ხდება ფორმის საკვანძო ადგილების, სივრცეში ფორმის მოძრაობის, კომპოზიციის შეგარძნებით ფორმირება, ზახის და ტონის სილამაზის გაგება.

ნაწილი II. ადამიანი მთავარი „მოდულია“ არქიტექტორის მოღვაწეობაში ადამიანის შესწავლა და ხატვა საშუალებას იძლევა გამომუშავებულ იქნას სტუდენტებში პროფესიული მახასიათებლების ისეთი ფართო წრე, რომელსაც არ იძლევა არც ერთი სხვა ობიექტი. ესაა დაკვირვებულობა, ალქმის შერჩევითობა, პროპორციების, მასშტაბურობის გრძნობა და სხვ. საუბრებითა და პრაქტიკული სავარჯიშოებით შეისწავლება ადამიანის პლასტიკა და სტრუქტურა, მისი ანატომია - ჩონჩხი და კუნთოვანი სისტემა, განიხილება სხეულის ნაწილების ფუნქციების ორგანული კავშირი მის კონსტრუქციასთან, დეტალების ზომებთან, მოძრაობის შესაძლებლობანი. ვითარდება სხეულის ნაწილების, როგორც სტატიკური და დინამიკური კონსტრუქციების მუშაობის გაგების უნარი, შეისწავლება მამაკაცისა და ქალის ფიგურების ხატვის თავისებურებანი. ასაკოვანი ცვლილებები ადამიანის პროპორციულ აგებულებაში, ხდება ადამიანის ანატომიის შედარება ცხოველთა ანატომიასთან. შემდგომში ისმება ამოცანა, რომელიც გულისხმობს ნახატში (ჩანახატში ნატურიდან, მებსიერებით, წარმოდგენით) ფორმის სხვადასხვა მხარეების, მოძრაობის, ზაზოვანი და მოცულობითი ზომების დამოკიდებულებების, ფიგურისა და ტანსაცმელში გამოსახვის, ჩრდილ-ნათელის და ძირითადი ტონების დამოკიდებულებების სწრაფად გამოსახვის უნარის გამომუშავებას.

ნაწილი III. არქიტექტურა და მისი გარემომცველი გარემო, როგორც შესწავლისა და გამოსახვის ობიექტი, გამჭოლად გასდევს ხატვის სწავლების მთელ კურსს, იწყებს და ამთავრებს მას. სტუდენტი, ასრულებს რა სამუშაოს ამოცანების თანდათანობითი გართულებით, შეიცნობს კომპოზიციურ კანონზომიერებებს, სტილის თავისებურებებს, არქიტექტურულ ორგანიზმში ნაწილებისა და მთლიანის აგების კონსტრუქციულ-მხატვრულ ლოგიკას. ხდება არქიტექტორის გამოსახვის მხატვრული და ტექნიკური ხერხებისა და ჩვენების დაგროვება. ძალზე მნიშვნელოვანია აგრეთვე იმის მიღწევა, რომ სტუდენტს შეეძლოს სწრაფად ნახატების, ესკიზების, მონახაზების შესრულება, რომელთაც ახასიათებთ გამოსახვის პირობითობა, ლაკონურობა, მასშტაბურობა. ეს არის არქიტექტორის ოპერატიული გრაფიკული ენა, რომელიც აუცილებელია შემოქმედებითი აზრის „წამიერი“ გამოსახვისათვის მუშაობის პროცესში. გრაფიკული საშუალებანი ამასთან უნდა იყოს მაქსიმალურად თავშეკავებული.

სასწავლო სემესტრებისა და საზაფხულო პრაქტიკის დროს სტუდენტები ასრულებენ ნახატებს ნატურიდან: არქიტექტურული დეტალები, ფრაგმენტები, ინტერიერები, ექსტერიერები, მსხვილი არქიტექტურული კომპლექსები, ტექნიკური საშუალებები, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო. შესასრულებელ მოცემულობათა საორიენტაციო ჩამონათვალი:

1. შესავალი ლექცია.
2. მცირე არქიტექტურული ნაგებობის ნახატი.
3. კომბინატორიკა და სივრცული სტრუქტურა გეომეტრიული ფორმების საფუძველზე.
4. ჩრდილთა გეომეტრია.
5. არქიტექტურული დეტალების (კაპიტელი, როზეტი და ა.შ.) ჩრდილ-სინათლიანი ნახატი.
6. ადამიანის ფიგურის პროპორციების ანალიზი (თაბაშირის მოდელი, სან-ყისი მდგომარეობანი).
7. ადამიანის თავის პროპორციების ანალიზი (თაბაშირის მოდელი, სანყისი მდგომარეობანი).
8. ადამიანის ჩონჩხის ძირითადი პროექციების ნახატი და ადამიანის თავის და კისრის ეკორშე.
9. რთულ მოძრაობაში ადამიანის ცოცხალი ან თაბაშირის თავის ჩრდილ-სინათლიანი ნახატი.
10. ინტერიერის ნახატი.
11. ცალკეული არქიტექტურული ნაგებობის ექსტერიერის ნახატი.
12. ჩანახატები ნატურიდან: მცენარეთა და ცხოველთა სამყარო; ტექნიკის, არქიტექტურის, დიზაინის და ა.შ. ობიექტები (სხვადასხვა მასალით).
13. ადამიანის ჩონჩხის ნახატი სანყის მდგომარეობაში.
14. ადამიანის ფიგურის (ცოცხალი ან თაბაშირის) ანალიზური ნახატი ჩონჩხის ძირითადი კვანძების გამოვლენით.
15. ადამიანის შიშველი ფიგურის ნახატი სხვადასხვა მოძრაობაში (სხვადასხვა მასალით).
16. არქიტექტურული ნაგებობის პერსპექტიული ნახატი მოცემული ორ-თოგონალური პროექციების საფუძველზე (სხვადასხვა მასალით).
17. ადამიანის ფიგურის (ცოცხალი ან თაბაშირის) ანალიზური ნახატი და ადამიანის ფიგურის კუნთოვანი საფარის ნახატი იმავე მდგომარეობაში.
18. რთულ მოძრაობაში ადამიანის თაბაშირის ფიგურის ჩრდილ-სინათლიანი ნახატი ფონით.
19. ადამიანის ფიგურებიანი კლასიკური ბარელიეფის ჩრდილ-სინათლიანი ნახატი.
20. ქუჩის ნახატი (სივრცის სიღრმის გადმოცემა).
21. არქიტექტურის ობიექტების ნახატები, რომლებიც შეიცავენ სხვადასხვა ხელოვნების სინთეზს (სხვადასხვა მასალით).
22. ადამიანის რთული თავის ჩრდილ-სინათლიანი ნახატი, რომელიც შეაჯამებს რთული სივრცული ფორმის აგებისა და გამოვლენის ცოდნასა და ჩვევებს.



დისციპლინა „ფერწერა“ წარმოდგენილია სამი ავტორით. პირველის შრომაში ასახულია ფერწერის როლი არქიტექტორის მომზადებაში და სასწავლო პროგრამა, მეორე გვთავაზობს ფერწერის სწავლების განსხვავებულ მეთოდებს, მესამე ძირითადად ყურადღებას ამახვილებს არქიტექტორ-კოლორისტის აღზრდაზე.

მიგვაჩნია, რომ ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული პროგრამის არსებობა, ასევე პროგრამის გამდიდრება არქიტექტორ-კოლორისტის ჩამოყალიბებისათვის საჭირო მოთხოვნებით, ქმნის იმის საფუძველს, რომ მომავალში დღის წესრიგში დადგეს პროგრამის შერჩევითობის შესაძლებლობა და დამატებითი სპეციალიზაციის შემოტანის საჭიროება.

ფერწერის როლი არქიტექტორის მომზადებაში

არქიტექტორი უნდა იყოს პარამონიულად განვითარებული პიროვნება, რომელიც შეძლებს თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობისას გაითვალისწინოს ბევრი ისეთი ფაქტორი და მოვლენა, რომელიც სხვა სპეციალისტისათვის უმნიშვნელოა ან სრულიად არაა საჭირო. არქიტექტორი კარგად უნდა ფლობდეს ისეთ დისციპლინებს, როგორებიცაა ხატვა, ფერწერა, ქანდაკება; ახლოს იყოს მუსიკასთან, რომლის ნორმებთან თანაზიარება გარკვეულად ხვეწს არქიტექტორს, როგორც პიროვნებას და პროფესიონალს და, შესაბამისად, მის ნაღვანს. არქიტექტორი სისტემატურად უნდა იმაღლებდეს კვალიფიკაციას, ეცნობოდეს კულტურის სიახლეებს. თუ აღნიშნულს ყურადღება მიექცევა სტუდენტობის პერიოდიდანვე, ეს გარკვეულად განაპირობებს მომავალი არქიტექტორის კომუნიკაბელობას, რაც ასე აუცილებელია მისთვის, რადგან არქიტექტორი მარტო არ არის თავისი მოღვაწეობისას.

ფერწერის სწავლება ძნელად წარმოსადგენია, რამეთუ იგი ინდივიდუალური ფერმონია და ყველა ჩვენგანში განსხვავებულად და სხვადასხვა დოზით შემოდის. აღნიშნულს თუ დაეუმატებთ იმას, რომ ინსტიტუტში ფერწერა სწავლება მხოლოდ ორი წელი, რაც არ არის ბევრი ამ დისციპლინის დაუფლებისათვის, იქმნება იმის აუცილებლობა, რომ საჭიროა თავიდანვე მოხდეს სტუდენტთა დაინტერესება. ამის ერთ-ერთ მთავარ პირობად მიგვაჩნია თითოეულ სტუდენტთან პედაგოგის ინდივიდუალური დამოკიდებულება, თეორიული კურსის მიწოდება საილუსტრაციო მასალასთან ერთად, ნიგნების მინიშნება და ა.შ. ამ შემთხვევაში უფრო სწრაფად და ადვილად მოხდება სტუდენტის გახსნა და მისი შესაძლებლობების გამოვლენა.

ფერწერის დაუფლებას დიდად უწყობს ხელს დისციპლინის „არქიტექტურისა და ხელოვნების ისტორიის“ კურსის სათანადო სწავლება, სადაც ხდება როგორც ფერწერის ისტორიის, მისი საიდუმლოების მიწოდება, ასევე ფერწერის განხილვა არქიტექტურასთან ურთიერთკავშირში.

ფერწერის კურსი არ უნდა გამორიცხავდეს სტუდენტის მიერ კონკრეტული თემის თეორიულ დამუშავებასაც კი, რომელიც მოხდება პედაგოგის რჩევით ან თვით სტუდენტის ინიციატივით. ამ გზით ანალიზისა და მსჯელობის უნარის გამომუშავება სწავლების საწყის საღებურზე მხოლოდ სარგებლობის მომტანი იქნება.

დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ გარემოს, რომელშიც სტუდენტს

უხდება მუშაობა. როგორც სათავსი ზომებითა და ფორმით, საიდანაც განათება, რა თვალსაჩინოებანი არის აუდიტორიაში, რომლითაც შეიძლება ინელმძღვანელოს სტუდენტმა, რა მუსიკას თუ სხვა ინფორმაციას ისმენს მუშაობის დროს, - ყველაფერი ეს ბევრად განსაზღვრავს საბოლოო შედეგს. ამავე დროს საჭიროა სტუდენტს თავიდანვე ჩაკუნერგოთ იმ მასალის, ხელსაწყო და გარემოს პატივისცემა და მოვლა, რითაც მუშაობს ფერწერის თუ სხვა ამოცანის შესრულებისას და სადაც მუშაობს სხვებთან ერთად.

აბიტურიენტი, აბარებს რა მისაღებ გამოცდას ფერწერაში, ინსტიტუტში მოდის უკვე გარკვეული ტექნიკური დონით. როგორც წესი, მისაღები გამოცდა ბარდება აკვარელში, უნდა აღინიშნოს, რომ აკვარელის ტექნიკა საკმაოდ რთულია და ძნელად დასაძლევია, ბევრ სტუდენტს სირთულე ამინებს და უფუჭებს დამოკიდებულებას საგანთან. ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია უმაღლესში სწავლის პერიოდში სტუდენტმა თავი გამოსცადოს სხვადასხვა მასალით მუშაობაში (გუაში, ტემპერა, ზეთის საღებავები, პასტელი და სხვ.). არჩევანის შესაძლებლობის დამეგება გაზრდის სტუდენტის ინტერესს ფერწერისადმი.

დიდი მნიშვნელობა აქვს შესრულებული მოცემულობების ჩათვლის ორგანიზაციას. ყოველი მოცემულობის შემდეგ უნდა მოენიშნოს გამოფენა აუდიტორიაში და სტუდენტებთან ერთად მოხდეს ამოცანის განხილვა. ნამუშევართა შეფასებაში სტუდენტის მონაწილეობა მასში ობიექტურობის გამომუშავების სანინდარი იქნება - იგი შეძლებს სწორად შეაფასოს საკუთარი და სხვისი ნამუშევარი.

დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ აგრეთვე სტუდენტში შესასრულებელი ნამუშევრის დამთავრების, ბოლომდე მიყვანის უნარის გამომუშავებას და მიგვაჩნია, რომ სწავლების პროცესში მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს არა იმდენად ნამუშევართა რაოდენობას, არამედ მათი შესრულების ხარისხს.

ქვემოთ მოყვანილია ფერწერაში მოცემულობების საორიენტაციო ჩამონათვალი სემესტრების მიხედვით:

I სემესტრი.

- მოცემულობა 1. მარტივი ნატურმორტი „გრიზაილში“.
- მოცემულობა 2. მარტივი ნატურმორტი ფერში.
- მოცემულობა 3. ნატურმორტი გეომეტრიული ფიგურებით.
- მოცემულობა 4. საგარეო ვიზუალური მახსოვრობისათვის. დამოუკიდებელი სამუშაო.

II. სემესტრი

- მოცემულობა 1. რთული ნატურმორტი ფერში (გუაში, პასტელი ან სანგინი).
- მოცემულობა 2. თავისუფალი ფერწერული კომპოზიცია.
- მოცემულობა 3. ინტერიერის ჩანახატი „გრიზაილში“.
- მოცემულობა 4. ინტერიერის ჩანახატი ფერში.
- დამოუკიდებელი სამუშაო.

III. სემესტრი

- მოცემულობა 1. მარტივი ნატურმორტი ზეთის საღებავებში.
- მოცემულობა 2. თავისუფალი ფერწერული კომპოზიცია.
- მოცემულობა 3. ექსტერიერის ჩანახატი „გრიზაილში“.
- მოცემულობა 4. ექსტერიერის ჩანახატი ფერში.

დამოუკიდებელი სამუშაო.

IV სემესტრი

მოცემულობა 1. რთული ნატურმორტი ზეთის საღებავებში.

მოცემულობა 2. თავისუფალი ფერწერული კომპოზიცია არქიტექტურული ობიექტით.

მოცემულობა 3. პლენერზე მუშაობა (არქიტექტურული ძეგლი).

მოცემულობა 4. პლენერზე მუშაობა (პეიზაჟი).

ნარმოდგენილი მოცემულობები და ამოცანები დოგმად არ უნდა იქნეს მიჩნეული. მათი შეცვლა, დახვეწა, გაუმჯობესება ყოველთვის შესაძლებელია პრაქტიკული სამუშაოების შესრულების დროს. სწავლების პროცესი საერთოდ, და ფერწერის მათ შორის, მუდმივად ცვალებადია და სწორედ ამიტომაც საინტერესო უნდა იყოს.

დისციპლინის „ფერწერა“ შესახებ

წარმოდგენილი პროგრამა განსხვავდება წინამორბედისაგან, მაგრამ მიგვაჩნია, რომ მას აქვს გარკვეული ღირსებები და შესაბამისად არსებობის უფლება. პროგრამას საფუძვლად უდევს შემდეგი:

სწავლების პროცესში სტუდენტს აუცილებელია მიეცეს შემოქმედებითი თავისუფლება, რათა მიეჩვიოს დამოუკიდებელ აზროვნებას, აქონდეს საკუთარი აზრი, მაგრამ არა შაბლონური და დაშტამპული. დღეისათვის ჩვენი საზოგადოების განვითარებისათვის აუცილებელია თავისუფლად და თამამად მოაზროვნე სპეციალისტების არსებობა, რომლებიც ქმნიან არაორდინარულ თანამედროვე ნაწარმოებებს.

ჩვენი აზრით, აქ წარმოდგენილი დავალებები ნაწილობრივ მაინც მოგვცემს საშუალებას აღვზარდოთ ზემოთ ჩამოთვლილი თვისებების მქონე სპეციალისტები.

მოცემულობა I

პირობითი დასახელება „კვადრატი“. შესრულების ტექნიკა - გუაში. თავდაპირველად ვიღებთ დიდ კვადრატს, რომელიც იყოფა კვადრატულ სექტორებად, სიგრძეში და სიგანეში სექტორების რაოდენობა თანაბარი და კენტიია, მაგალითად 7x7; 9x9 სმ. მოცემულია ორი კონტრასტული ფერი (მუქი იისფერი - პირველი კვადრატი და ნარინჯისფერი - ცენტრალური კვადრატი). ტონებისა და ნახევარტონების მოდულაციის საშუალებით საჭიროა პირველი კვადრატიდან ცენტრალურ კვადრატამდე მისვლა საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით. ეს მოცემულობა ნაწილობრივ მაინც მისცემს სტუდენტს საშუალებას დაეუფლოს გუაშით ხატვის ტექნიკას, ისწავლოს კონტრასტული ფერების, ტონებისა და ნახევარტონების პარმონიულად შეხამება, განუვითარებს მას მხატვრულ აზროვნებას და გემოვნებას.

მოცემულობა II

პირობითი დასახელება „ფოთოლი“. შესრულების ტექნიკა - ფანქარი, გუაში. სტუდენტი იღებს საგანს, მაგალითად ფოთოლს, რომელსაც გააჩნია ერთიანი ფერადოვანი გამა, სტრუქტურა და რომელიც სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად უნდა იქნეს აღქმული, დანახული და შემდგომ წარმოჩინებული ნახატში. თავდაპირველად საჭიროა გაკეთდეს მისი სქემატური, გრაფიკული გამოსახულება, ხოლო შემდეგ ფერით, ფერადოვანი ლაქებით აბსტრაქტულად შეიქმნას ნატურის განუმეორებელი, განსაკუთრებული სახე, მისი ფერადოვანი სტრუქტურა. ამ დროს სტუდენტის ფანტაზია უნდა იყოს სრულიად თავისუფალი, ლალი და უნდა ემორჩილებოდეს მხოლოდ ავტორის აზროვნებასა და ინტუიციას. არქიტექტორს აუცილებლად უნდა აქონდეს უნარი დაინახოს, შეიგრძნოს და გამოიყოს ყველაზე მთავარი, საინტერესო და მნიშვნელოვანი დანახულიდან და აქედან გამომდინარე, შექმნას საკუთარი ორიგინალური კონცეფცია.

მოცემულობა III

პირობითი დასახელება „რეპროდუქცია“. შესრულების ტექნიკა - გუაში. ეს არის იმპრესიონისტების ან კლასიკოსების ნამუშევრების თავისებური ინტერპრეტაცია. მოცემულობა საშუალებას აძლევს სტუდენტს დაეუფლოს ტექნიკას,

რომელიც აკვარელთან ერთად აუცილებელია არქიტექტორისათვის პროექტების გაფორმებისას. მეორე მოცემულობის ერთგვარ გართულებულ გაგრძელებას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა აბსოლუტური თავისუფლება, რომელიც ესაზღვრება აბსტრაქტულ აზროვნებას. მას შეუძლია განაზოგადოს ფერები. შექმნას ახალი ფერადოვანი გამა შთაგონებული სურათით, ე.ი. თავისებურად შექმნას ამ სურათის ფერადოვანი გადანყვეტა, მოახდინოს მისი სუბიექტური ინტერპრეტაცია, თავის გრძნობებზე დაყრდნობით შექმნას ძველის, ჩვეულის და მიღებულის ახალი რედაქცია. ამასთან, ეს მოცემულობა აღვივებს სტუდენტში სურათის ფერთა კომპოზიციის ნაკითხვის უნარს, ანუ ფერადოვან ლაქათა განაწილებას, მათ გაერთიანებას ერთიან, ჰარმონიულ მთლიანობაში.

მოცემულობა IV

პირობითი დასახელება „დეკორატიული ექსტერიერი“. შესრულების ტექნიკა ნებისმიერი - პასტელი, გუაში, აკვარელი. სტუდენტმა უნდა შექმნას ორიგინალური კომპოზიცია არქიტექტურულ თემაზე. განსაკორტებული ყურადღება ექცევა ფორმისა და ფერის, მოცულობისა და ფერის ურთიერთშეთანხმებას. ეს დავალება დაეხმარება სტუდენტს ფერის საშუალებით მოახდინოს არქიტექტურული კომპოზიციის, არქიტექტურული მოცულობების საჭირო დეტალების აქცენტირება. ფერი თანამედროვე არქიტექტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია, ეს დავალება მიაჩვევს სტუდენტს არქიტექტურაში ფერის გამოყენებას. ავტორი შენობის არქიტექტურული სახის შექმნისას უნდა იაზრებდეს მას ფერშიც, რომ არქიტექტურა არ იყოს უფერული ნაცრისფერი და მოსაბეზრებელი.

პროგრამა დისციპლინაში „ფერწერა“¹

დისციპლინის „ფერწერა“ მიზანს წარმოადგენს არა მხოლოდ ხილვადი სინამდვილის საგნებისა და მოვლენების ფერებში გადმოცემაში დაოსტატება, არამედ ფერის გამოყენება ძირითადად მომავალი სინამდვილის - ქალაქების, სოფლების, შენობებისა და ნაგებობის, ინტერიერების დაპროექტებისას, ე.ი. პოფესიულ ჩვევებთან ერთად აუცილებელია ფერითი აზროვნების გამომუშავება, რათა სტუდენტმა შექმნოს ცალკეული ობიექტის თუ არქიტექტურული გარემოს ფერში დაპროექტება.

დისციპლინის პირველ ნაწილს წარმოადგენს თეორიული კურსი „კოლორისტიკა“, რომელიც იდეურსახოვანი კოლორისტიკული აზროვნების საფუძველია არქიტექტორის შემოქმედებით კონტექსტში. იგი აცნობს სტუდენტს მხედველობითი ფერითი აღქმის, ხილვადი ფერწერული სახის კოლორისტიკული ნიშნების გამოვლენის კანონზომიერებებს.

დისციპლინის მეორე ნაწილია პრაქტიკული, შემოქმედებითი და საშემსრულებლო კურსი - „ფერწერა“, რომელიც წარმოადგენს აკადემიური, ნატურიდან შესრულებული და კომპოზიციური სავარჯიშოების კომპლექსს არქიტექტურული და სახვითი ხელოვნების ამოცანების გადანყვებით დაპროექტებაში, დაზგურ და მონუმენტურ-დეკორატიულ ფერწერაში, გამოყენებით ხელოვნებაში, ინტერიერის, შენობის და მათი კომპლექსის არქიტექტურაში.

პროგრამის ძირითადი პოსტულატებია: 1. ფერწერული გამოსახულებიდან კოლორისტიკულ გამოსახულებამდე.

2. არქიტექტორის პიროვნების მხატვრული აღზრდა ფერით.

3. შედარებით მარტივი გამოსახვითი ჩვევებიდან და მეთოდებიდან უფრო რთულზე გადასვლა.

პროგრამა ისეა აგებული, რომ უზრუნველყოფილი იყოს პედაგოგიური სტრატეგია და ტაქტიკის ფართო არჩევანის შესაძლებლობა, მაგრამ გამოსავალი ერთი უნდა იყოს - არქიტექტორ-კოლორისტის აღზრდა, რომელიც შეძლებს ფერით აზროვნებას და მხატვრული აზრის ფერით გადმოცემას.

პროგრამა შედგება შემდეგი თემებისაგან:

თემა I. ფერწერის კურსის შესავალი ლექცია. თემა მიზნად ისახავს მთელი კურსის ამოცანათა მოტივირებულ ჩამოყალიბებას და მათ რიცხვში პირველი ამოცანებისა და სავარჯიშოების ახსნას.

თემა II. პლენერული ჩანახატები სხვადასხვა თემებზე. არქიტექტურული ფრაგმენტი, მცირე არქიტექტურული ნაგებობა ბუნების და ლანდშაფტის ელემენტებით.

აქ ხდება პირველი შეხვედრა გარემოსთან. პირველი პედაგოგიული დავალება

1) შესრულებულია მოსკოვის არქიტექტურის ინსტიტუტის პროგრამის საფუძველზე. Программа курса "Изобразительное искусство" для высших учебных заведений по специальности 2901 -Архитектура. Утверждена Советом УМО по архитектуре, М.: 1989 г.

მიზნად ისახავს: განსაზღვროს ჯგუფში სტუდენტთა მომზადების დონე; გამოავლინოს ყოველი მათგანის პიროვნული შესაძლებლობები; შეიქმნას სრული წარმოდგენა ჯგუფის პროფესიულ მომზადებაზე.

მოცემულობა სრულდება ფორმატებზე.

მასალა - აკვარელი.

თემა III. ფერითი შეხამებანი, სპექტრული წრე, პალიტრა, მასალა, ტექნოლოგია, ტექნიკა. ფერითი კომპოზიციის საფუძვლები სურათის სიბრტყეზე, სასურათე სიბრტყე.

ნატურული მუშაობა აუდიტორიაში.

ლექციები და ინფორმაციები.

მასალა: აკვარელი, გუაში, პასტელი, ტემპერა.

მიზანი: მუშაობის ძირითადი პროფესიული ჩვევებისა და მეთოდების, ფერითი კულტურის საფუძვლების ათვისება, რომელთა გარეშე შეუძლებელია არქიტექტორის ფერითი აზროვნების ფორმირება.

პრაქტიკული სავარჯიშოები:

ა) ნატურმორტი კონტრასტული, ნიუანსური;

ბ) ნებისმიერი კომპოზიცია ნატურაში.

დავალება სრულდება ფორმატზე, მუყაოზე, ტილოზე და ა.შ.

თემა IV. გამოსახულების ხასიათი.

ვიზუალური სინამდვილის (ნატურის) სურათის სიბრტყეზე გამოსახვის შესაძლო ხერხებისა და მეთოდების გაცნობა.

ნატურული მუშაობა აუდიტორიაში.

ოსტატების ნამუშევრებთან ანალიზური მუშაობა.

ლექციები და ინფორმაციები.

მიზანი: ფერითი კომპოზიციური მუშაობის ტრადიციების შესწავლა კლასიკის ანალიზის საფუძველზე და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება.

პრაქტიკული მეცადინეობები:

ა) ნატურმორტი სიბრტყითი, მოცულობითი, სივრცითი, მინიატურა;

ბ) ნებისმიერი მუშაობა აუდიტორიაში (ინტერიერი, ექსტერიერი, არქიტექტურული ჩანახატები, ხედი ფანჯრიდან).

მოცემულობა სრულდება ფორმატზე, მუყაოზე, ტილოზე და ა.შ.

ერთ-ერთი მოცემულობა გულისხმობს ასლის შესრულებას.

თემა V. პლენერული ჩანახატები თემაზე - ქალაქის პეიზაჟი.

ნატურული მუშაობა ბუნებაში.

მასალა: აკვარელი, გუაში, პასტელი, ტემპერა, ზეთი.

არქიტექტურული გარემოს ფერწერულ გამოსახულებასთან მეორე შეხვედრა მიზნად ისახავს: ქალაქის გარემოში არქიტექტურის გამოსახვის ჩვევების განმტკიცებას; მომზადებას საზაფხულო პრაქტიკისათვის.

მოცემულობა სრულდება ქაღალდზე, მუყაოზე, ტილოზე და ა. შ.

თემა VI. პლენერული ეტიუდების სერია თემაზე: არქიტექტურული პეიზაჟი ძველი ხუროთმოძღვრული ძეგლების გარემოში.

ნატურული მუშაობა ბუნებაში.

მასალა: აკვარელი, გუაში, პასტელი, ტემპერა, ზეთი.

არქიტექტურული გარემოს ფერწერულ გამოსახულებასთან მესამე შეხვედრა



მიზნად ისახავს: განამტკიცოს მიღებული ფერითი ჩვევები და მეთოდები; შეუწყოს პიროვნული მონაცემების შემდგომ განვითარებას (მანერა, სტილისტიკა, საყვარელი მხატვარი, არქიტექტორ-მხატვარი), ყოველი სტუდენტის უნარს - შეიცნოს არქიტექტურული გარემოს ისტორიულად ჩამოყალიბებული ფერითი სამყაროს თავისებურებანი და ხასიათი და თავისი თავი ამ სამყაროში; მისცეს სტუდენტს პროფესიულად გააზრებული არქიტექტურული გარემოს გამოსახვის ცოდნა და უნარი - შეძლოს გარემოს, ძეგლების ისტორიის ანოტირებული აღწერა.

მოცემულობა სრულდება ფორმატზე, მუყაოზე, ტილოზე და ა.შ.

თემა VII. პლენერული ჩანახატები. არქიტექტურული ანსამბლი.

ქალაქის პანორამა.

ნატურული მუშაობა ბუნებაში.

ლექციები და ინფორმაციები.

მასალა: აკვარელი, გუაში, პასტელი, ტემპერა, ზეთი.

მოცემული თემა მიზნად ისახავს გამოავლინოს არქიტექტურული გარემოს ფერთა კონცეფცია.

მოცემულობა სრულდება ფორმატზე, მუყაოზე, ტილოზე და ა.შ.

როგორც შესაძლო წინადადება, მოცემულობა შეიძლება შესრულდეს გარემოში არქიტექტურული ანსამბლის და ქალაქის პანორამის გათვალისწინებით.

ერთ-ერთ მოცემულობად სრულდება კლასიკური კომპოზიციური და ფერითი გადაწყვეტის ნიმუშის ასლი.

ხდება მუზეუმების დათვალიერება.

თემა VIII. ფერადი არქიტექტურული გრაფიკა (ფერი არქიტექტურაში, არქიტექტურული ფანტაზია).

პრაქტიკული მეცადინეობები.

ლექციები და ინფორმაციები.

მასალა: აკვარელი, გუაში, პასტელი, ტემპერა, ზეთი.

მოცემულობა მიზნად ისახავს: არქიტექტურული ჩანაფიქრის ფერითი არსის მკვეთრი გამოვლენის გამოსახვითი ჩვევების, საშუალებების, მეთოდების დაუფლებას როგორც რეალური, საკუთარი, ასევე არარეალური, წარმოდგენითი მასალების საფუძველზე. ხორციელდება არქიტექტურული ამორეცხვით (დეტალი, ინტერიერი, ექსტერიერი, ასლი); არქიტექტურული პროექტის წარმოდგენას თანამედროვე გამოსახვის საშუალებებით (ფერადი ფანქარი, ფერადი ფანქარი აკვარელთან ერთად, კოლაჟი, აპლიკაცია ამორეცხვასთან ერთად და ა.შ.).

თემა IX. ფერი არქიტექტურულ-მხატვრულ სახეში განიხილება თემების საშუალებით „კოლორიტის შემცველობა ფერწერაში და არქიტექტურაში“ და „ზემოქმედებითი იდეურ-სახოვანი ტენდენციები“.

პრაქტიკული მეცადინეობები.

ლექციები და ინფორმაციები.

მასალა: აკვარელი, გუაში, პასტელი, ფერადი ფანქარი, ტემპერა, ზეთი.

მოცემულობა მიზნად ისახავს გამოსახოს საკუთარი ან წარმოდგენითი პროექტის ფერითი კონცეფცია მონუმენტური ხელოვნების მხატვრული საშუალებების გამოყენებით.

შესაძლოა დავალებათა შესრულების შემდეგი თანმიმდევრობა:

1. ნატურმორტები კოლორიტის შემცველობაზე;
2. საკუთარი პროექტის, არქიტექტურის ისტორიული ძეგლის ფერთი კონცეფცია;

3. არქიტექტურული ფანტაზია.

მოცემულობა სრულდება ფორმატზე, მუყაოზე, ტილოზე და ა.შ.

ფიქრობთ, წარმოდგენილი პროგრამით გარკვეულად მომზადდება სათანადო საფუძველი, რომელიც მომავალში განაპირობებს არქიტექტორ-კოლორისტის აღზრდას, რომელსაც ექნება მხატვრული აზროვნების ფერთი გადმოცემის სათანადო უნარი და რომელიც შეძლებს მიღებული ცოდნა შეაჯამოს დიპლომის დამუშავებისას, სადაც არქიტექტურული ამოცანების თანაბრად, შეიძლება უფრო მეტადაც, წარმოდგენილი იქნება მასალა ფერთი გადანაცვების ამოცანების წინა პლანზე წამოწევით.

აღნიშნულის მისაღწევად, უდავოა, არ კმარა მხოლოდ „ფერწერის“ კურსი წარმოდგენილი სახით. მასში წითელ ხაზად უნდა იქნეს გატარებული არქიტექტურისა და ფერის სინთეზი, ფერის გამოყენების ხერხები და საშუალებები, რომლებიც განსხვავებულ გამოყენებას პოუვებენ განსხვავებულ სიტუაციებში: ქალაქგეგმარებით სტრუქტურებში, ცალკეულ დასახლებულ ჯგუფებში, შენობებში. თუ ინტერიერებში. ამასთან, არ არის გამორიცხული დამატებითი დისციპლინის ან დისციპლინების შემოტანის საჭიროება და საბოლოოდ ამ სფეროში არქიტექტორის სპეციალიზაცია.

ხელოვნების მრავალ დარგს შორის სახვით ხელოვნებას ერთ-ერთი წამყვანი როლი აკისრია ადამიანის ესთეტიკური აღზრდის პროცესში. მას ფესვები შორეულ წარსულში აქვს გადგმული, რაზეც მეტყველებს უძველეს გამოქვაბულში შემორჩენილი პირველყოფილი ადამიანის მიერ შესრულებული ადამიანთა, ცხოველთა და სხვათა გამოსახულებები, აგრეთვე დღემდე მოღწეული ქანდაკებანი. სწორედ ქანდაკება წარმოადგენს სახვითი ხელოვნების ერთ-ერთ უპირველეს დარგთაგანს, რომლის შესწავლასაც მომავალი არქიტექტორებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც ხელოვნების ეს ორი დარგი - არქიტექტურა და ქანდაკება ერთმანეთთან, შეიძლება ითქვას, ნათესაურ კავშირშია, რაც მდგომარეობს სივრცესთან გარკვეულ დამოკიდებულებაში, ორივე მათგანი მონოდებულია მოახდინოს გარემოს მოცულობით-სივრცითი ორგანიზაცია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, რა თქმა უნდა, აღნიშნული ხორციელდება სხვადასხვა სპეციფიკური ენით, კერძოდ, ქანდაკების ძირითადი დანიშნულებაა ამა თუ იმ გარემოს ესთეტიკური გამომსახველობის შექმნა ან შეცვლა, ხოლო არქიტექტურის ძირითადი დანიშნულება, ესთეტიკური მხარის გარდა, არის შენობასა და ნაგებობაში მიმდინარე ფუნქციური პროცესების უზრუნველყოფა. უდავოა, რომ ქანდაკების ხელოვნების დაუფლება, ხელოვნების სხვა დარგების - პოეზიის, მუსიკის, ფერწერის და სხვათა დაუფლების მსგავსად, დაეხმარება სტუდენტს შემოქმედებითი, მხატვრული, თავისუფალი აზროვნების ჩამოყალიბებაში, ხელს შეუწყობს მისი მოცულობით-სივრცითი ხედვის განვითარებას, რაც მყარი საფუძველია იმისა, რომ უკვე სპეციალისტმა შეძლოს შენობებისა და ნაგებობების, მათი კომპლექსების მხატვრული ამოცანების გადანყვება სათანადო დონეზე.

სასურველი შედეგების მისაღწევად ისახება არქიტექტორისა და მოქანდაკის ერთად მუშაობის აუცილებლობა. არქიტექტურულ გადანყვებაში ჩართული მრგვალი ქანდაკება თუ რელიეფი ეხმარება ავტორებს არქიტექტურული იდეის წარმოჩენაში, ინარჩუნებს რა თითოეული მათგანი თავის დამოუკიდებელ ღირსებებს. არსებობს უამრავი მაგალითი როგორც ძველი, ასევე უახლესი ხელოვნების ისტორიაში, როდესაც არქიტექტორისა და მოქანდაკის შემოქმედებით ურთიერთთანამშრომლობას ბრწყინვალე შედეგები გამოუღია. აქედან გამომდინარე შეიძლება აღინიშნოს, რომ როგორც მოქანდაკისათვის არის აუცილებელი არქიტექტურის საფუძვლების ცოდნა, ისე არქიტექტორისათვის არის საჭირო ქანდაკების საფუძვლების ცოდნა, მათი ზოგადი და სპეციფიკური ენის გაგება. მხოლოდ ამ შუთხვევაში შეიძლება იქნეს მიღწეული შედეგი - მოიძებნოს შესატყვისი გარემო თუ ადგილი ქანდაკებისათვის.

სათანადო ჩვევებისა და ცოდნის მისაღებად საჭიროა სწავლების პროცესში მიენოდოს სტუდენტს ქანდაკების თეორიული და პრაქტიკული კურსი. თეორიული კურსის საშუალებით იგი გაეცნობა როგორც ანტიკური, ასევე უახლესი ქანდაკებების ნიმუშებს, შეისწავლის მიმდინარეობებს, ცალკეულ მოქანდაკეთა შემოქმედებას, მათ შემოქმედებით პრინციპებს, გაეცნობა რო-

გორც ცალკეულ ქანდაკებათა შექმნის ხელოვნებას, ასევე მათ კავშირს არქიტექტურასთან, გარემოსთან. პრაქტიკული კურსის გავლისას სტუდენტი, უპირველეს ყოვლისა, შეისწავლის ქანდაკების ანბანს, ასრულებს არქიტექტურული ორნამენტის, მისი ფრაგმენტის ასლს, აგრეთვე ადამიანის სახის ნაკეთებს, ადამიანის სახეს და ფიგურას. ამ მოცემულობებით იგი შეისწავლის პროპორციებს, კონსტრუქციულ სტრუქტურას.

დისციპლინის „ქანდაკება“ როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კურსის შესწავლის შედეგი უნდა იყოს სტუდენტის შემოქმედებითი, კომპოზიციური აზროვნების გამომუშავება სხვადასხვა თემების (როგორც მოცემული, ასევე თავისუფალი) გავლის საფუძველზე.

შეწერდეთ ქანდაკების რაობაზე. ქანდაკება არის ხელოვნების დარგი, რომლის სპეციფიკა მდგომარეობს სივრცეში მოცულობის წარმოსახვაში. ქანდაკების საშუალებით გამოისახება ადამიანები, ცხოველები, ზოგჯერ ნატურმორტი ან პეიზაჟი. არსებობს ქანდაკების ორი სახესხვაობა: მრგვალი ქანდაკება, რომელსაც ყველა მხრიდან გააჩნია ხედი და რელიეფი, როდესაც გამოსახულება თავსდება სიბრტყეზე.

ქანდაკება ტიპოლოგიური თვალსაზრისით, ე.ი. შინაარსით და ფორმასთან დამოკიდებულების მიხედვით იყოფა მონუმენტურ (მონუმენტურ-დეკორატიული), დაზღურ და მცირე ფორმის ქანდაკებებად. ისინი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში არიან, მაგრამ ამავე დროს თითოეულ მათგანს თავისი სპეციფიკა გააჩნია. მონუმენტური ქანდაკება უშეტესად დიდი ზომისაა (ძეგლი, მონუმენტი, შენობის გაფორმება) და ურთიერთკავშირშია არქიტექტურასთან ან პეიზაჟთან, აქტიურად მონაწილეობს ხელოვნების სინთეზში. დაზღური ქანდაკება თავისი კამერული ხასიათის გამო ძირითადად გამოიყენება ინტერიერებში. მცირე ფორმის ქანდაკება შეიძლება ჩაითვალოს შუალედურ რგოლად დაზღურსა და დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებას შორის. მას მიეკუთვნება მედალიონის ხელოვნება, გლობტიკა.

სტუდენტს თავიდანვე უნდა მიენოდოს ინფორმაცია ქანდაკებაში მუშაობისას შრომის სწორი ორგანიზაციის შესახებ: სამუშაო ხელსაწყოების დამზადება და გამოყენება, შესასრულებელი ობიექტის კარკასის აგება, მასალის შერჩევა. ყურადსაღებია და დიდად მნიშვნელოვანი მასალის სწორი შერჩევის ცოდნა. ძერწვისათვის, როგორც წესი, გამოიყენება რბილი მასალათიზა, სანთელი, პლასტილინი. ასეთნაირად შესრულებული სამუშაო შემდეგ გადატანილი უნდა იქნეს მკვრავ მასალაში -ქვა, ბრინჯაო, თუჯი. ყოველ მასალას თავისი განმასხვავებელი ნიშან-თვისება აქვს და მხოლოდ მისი ცოდნის, სწორი შერჩევის და გამოყენების საფუძველზე შეიძლება ნამუშევრის შექმნა.

პროგრამის შინაარსი დისციპლინაში „ქანდაკება“ წარმოდგენილია თემების სახით:

- თემა 1. ორნამენტის, ადამიანის სახის მარტივი დეტალების ძერწვა თაბაშირის მოდელების მიხედვით.
- თემა 2. ადამიანის თავის აგება. მრგვალი მოცულობის გაცნობა. ძირითადი მასების (თავი, კისერი) შეფარდება, სახის დეტალების პროპორციები და მათი ერთ მთლიანობაში მოყვანა.

თემა 3. ბარელიეფისა და გორელიეფის შესრულება. კომპოზიციის სწორი განაწილება მოცემულ დაფაზე, მოცულობის გამოტანა ფონიდან, მთლიანობის პრინციპების დაცვა.

თემა 4. ადამიანის ფიგურის აგება. ადამიანის ფიგურა, როგორც გარე სამყაროს ფორმის მოცულობის აღქმის მოდული. ადამიანის ფიგურის ძერწვის ზოგადი კანონზომიერებანი: კონსტრუქცია, პროპორციები, სტატიკურობა, ნონასწორობა, დინამიკა, დეტალების კავშირი ძირითად მოცულობასთან.

თემა 5. მოცემული და თავისუფალი კომპოზიცია. კომპოზიცია სრულდება იმ ცოდნის გამოყენებით, რომელიც მიღებულია აკადემიური მოცემულობების შესრულების დროს და საკუთარი შემოქმედებითი კომპოზიციური აზროვნებით. მოცემულ თემაზე კომპოზიცია აუცილებელია შესრულდეს მისი შენობის ფასადთან, ინტერიერთან კავშირში.

მხაზველობითი გეომეტრია არქიტექტურებისათვის

გრაფიკული მეთოდები ჩვენს ნელთალრიცხვამდე საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს. ერთ-ერთ უძველეს ნერილობით წყაროში „ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ“ (ძველი ნელთალრიცხვის პირველი საუკუნე, მარკ ვიტრუვიუსი) განხილული პორიზონტალური და ფრონტალური გეგმილები, რომლებიც ჯერ კიდევ არ უკავშირდებიან ერთმანეთს გეგმილური კავშირით, მოიხსენებიან, როგორც უკვე დიდი ხნის წინათ ცნობილი საშუალებები. აქ იგულისხმება ძველი ეგვიპტის ნაგებობათა აღმართვაში გამოყენებული გეგმები და ფასადები.

როცა შუა საუკუნეების უძრავობის პერიოდში კლასიკური კულტურის აღმავლობა შეჩერდა, ბუნებრივია შეჩერდა ჩვენი დარგის განვითარებაც, იგი აღდგა მხოლოდ რენესანსის ხანაში არქიტექტურის, მშენებლობის, ხელოვნების ხელახალი აყვავების დანყების დროიდან. უპირველესად ეს შეეხო იტალიას, ნიდერლანდებს, გერმანიას, სადაც ინტენსიურად დაიწყო ფერწერული პერსპექტივის გეომეტრიული საფუძვლების კვლევა-ძიება. საყურადღებოა ის გარემოება, რომ სწორედ ამ დროიდანაა შემოღებული ისეთი ცნებები და ტერმინები, როგორებიცაა: დაგეგმილების ცენტრი, სასურათე სიბრტყე, მთავარი წერტილი, პორიზონტის ხაზი, დისტანციური წერტილები და სხვ. აღორძინების ხანას განეკუთვნება პერსპექტივის მათემატიკური ბაზისის შექმნა, რომელსაც შემდგომში დაეფუძნა იტალიელი მეცნიერის გვადო უზალდის (1545-1607) „ექვსი წიგნი პერსპექტივაზე“. უზალდი ითვლება თეორიული პერსპექტივის ფუძემდებლად. მისი მეცნიერული მემკვიდრეობა თითქმის სრულად შეიცავს პერსპექტივის ყველა ძირითად ამოცანას.

1936 წელს ფრანგმა მათემატიკოსმა და არქიტექტორმა ჟერარ დეზარგმა გამოაქვეყნა „პერსპექტივაში საგნების გამოსახვის ზოგადი მეთოდი“, რომელშიც პირველად ვხვდებით გეგმილური და კოორდინატული მეთოდების სინთეზს და შესაბამისად სამგანზომილებიანი სივრცის სიბრტყეზე ასახვის აქსონომეტრიული მეთოდის დასაბამს. საყურადღებოა დეზარგის სხვა ფუნდამენტური შრომები, რომლებიც მიზანდასახულად პერსპექტივის ამოცანებისათვის არიან შექმნილი, მაგრამ იმავე დროს სინთეზური გეომეტრიის ერთ-ერთი განშტოების - გეგმილური გეომეტრიის საწყის წყაროებად ითვლებიან. ამის შავალითაა მის მიერ შესწავლილი კონუსისა და სიბრტყის თანაკვეთა და მიღებული კვეთების განხილვა, როგორც წრწინის პერსპექტივა. აქვე უნდა მოვიხსენიოთ დეზარგის ცნობილი თეორემა ჰომოლოგიური სამკუთხედების შესახებ და თეორემა იმაზე, რომ ოთხ უძრავ ცენტრზე გამავალი კონუსური კვეთების კონა წრფესთან თანაკვეთაში იძლევა ინვოლუციას. უკანასკნელი თეორემის კერძო შემთხვევაა წრწინების კონით წარმოქმნილი ინვოლუცია.

მხაზველობითი გეომეტრიის შექმნასა და განვითარებაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ფრანგ მეცნიერს გასპარ მონეს (1746-1818). მან თავი მოუყარა და განაზოგადა სივრცითი ფიგურების სიბრტყეზე ასახვის არსებული მეთოდები, ბევრი რამ პირადი გამოკვლევებით შეაგსო და მხაზველობით გეომეტრიას მეცნიერების სახე მისცა (გასპარ მონე, „მხაზველობითი გეომეტრია“, პარიზი, 1978).

მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული მხაზველობითი გეომეტრიისა და საინჟინრო გრაფიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანალი ამ დარგის ქართულ სკოლას. ამ სკოლაში მუშავდებოდა და დღესაც მუშავდება სინთეზური გეომეტრიის ისეთი სერიოზული მიმართულებანი, როგორებიცაა: სივრცის გეომეტრიული მოდელირება, მრავალგანზომილებიანი მხაზველობითი გეომეტრია, გარდა ამისა მანქანური გრაფიკა, გრაფიკული დისციპლინების სწავლების მეთოდიკა. ამ სკოლაში შეიქმნა და მრავალი წლის განმავლობაში პრაქტიკულად გამოიცადა არქიტექტორებისათვის განკუთვნილი მხაზველობითი გეომეტრიის კურსის პროგრამა პროფ. გ. ვაჩნაძის ავტორობით (1914-1991), რომელიც დაფუძნებულია არქიტექტურულ დაპროექტებაში მხაზველობითი გეომეტრიის გამოყენების უმდიდრეს ისტორიულ ტრადიციებზე.

არქიტექტურის საეციალოებზე მხაზველობითი გეომეტრიის კურსი ორ ნაწილად, შესაბამისად სწავლების პირველ და მეორე სემესტრში ისწავლება. პირველ ნაწილში გათვალისწინებულია მონეის სისტემისა და აქსონომეტრიის, ხოლო მეორეში -პერსპექტივის შესწავლა.

ყოველი მეცადინეობა შედგება თეორიული და პრაქტიკული ნაწილებისაგან. დაცულია სინქრონიზმი ლექციებსა და პრაქტიკუმებს შორის. ეს ნაწილი ზოგადაა და მისი ფუნქცია გრაფიკული მეთოდების დარგობრივი სწავლებისათვის საჭირო ფუნდამენტის მომზადებას გულისხმობს.

პირველი მეცადინეობის ლექციაზე მსმენელი ეცნობა სამგანზომილებიანი სივრცის სიბრტყეზე ასახვის მეთოდების გეომეტრიულ არსს ცენტრალური და პარალელური გეგმილების გამოყენებით. ამ ეტაპზე პარალელური გეგმილები განიმარტება როგორც ცენტრალურის კერძო შემთხვევა, როცა დაგეგმილების მიმართულება გეგმილთა სიბრტყისადმი პერპენდიკულარულად არის მიმართული. დაგეგმილების პირდაპირი და შებრუნებული ამოცანების (მოცემულია დასაგეგმილებელი ობიექტი და ვეძებთ მის გეგმილს და პირიქით) განხილვისას წარმოიშობა ნახაზის შექცევაობის პრობლემა და იქვე განიმარტება მისი გადაწყვეტა მონეის კოორდინირებული სისტემისა და აქსონომეტრიის მაგალითზე. ორივე შემთხვევა განიხილება, როგორც გეგმილური და კოორდინატული მეთოდების სინთეზი ამ მეთოდების ურთიერთდამოკიდებულების ჩვენებით.

პირველი მეცადინეობის პრაქტიკუმი დათმობილი აქვს საშუალო სკოლის გეომეტრიის პროპედევტიკურ განყოფილებას, რომლის მიზანს გეომეტრიული ასახვისა და სიმრავლეთა თეორიის ელემენტარული საფუძვლების გახსენება შეადგენს. ამგვარი მიდგომით აქაც და შემდგომშიც, დაგეგმილების თეორიის და პრაქტიკის სწავლება ელემენტარული გეომეტრიის შესაბამის მასალაზეა დაფუძნებული. საქმე ისაა, რომ ელემენტარული გეომეტრიიდან ცნობილი ბრტყელი და სივრცითი ფიგურების მრავალი თვისება, რომელთა შესწავლა თავის დროზე ადამიანის პრაქტიკული საქმიანობის მოთხოვნებმა განაპირობეს, საფუძვლად დაედო გეომეტრიას, როგორც ერთიანი მეცნიერების დიფერენცირებას და ცალკე განშტოებების ჩამოყალიბებას ამოცანების შინაარსისა და მათი კვლევის მეთოდების მიხედვით. ასეა წარმოსობილი მხაზველობითი გეომეტრიის შტოც, რომლის სივრცითი ობიექტების თვისებებსა და ურთიერთდამოკიდებულებას გრაფიკული ასახვის მეშვეობით შეისწავლიან. გრაფიკული

მეთოდების სწავლებაში მხაზველობითი გეომეტრიისა და ელემენტარული გეომეტრიის ურთიერთდაკავშირება იმან განაპირობა, რომ მხაზველობითი გეომეტრიის თეორიული საძირკველი პლანიმეტრიული და სტერეომეტრიული ასახვების ნაწილშია მოთავსებული. ასეთი მსჯელობის შედეგია პირველი მეცადინეობის ზემოთ მოყვანილი კონსტრუქციული სქემა და ის ტენდენცია, რომელიც თავიდან ბოლომდე გასდევს ჩვენს პროგრამას და მეთოდურად ნიშნავს შემდეგს: ყოველი გრაფიკული ამოცანის ამოხსნა მთლიანად ეყრდნობა ევკლიდეს გეომეტრიის კოლმოგოროვისეულ ასახვისა და სიმრავლეთა თეორიებზე დაყრდნობილ აქსიომატიკას, თეორემებს და მათ შედეგებს.

მეორე მეცადინეობის თემაა ძირითადი გეომეტრიული ფიგურების (წერტილი, წრფე, სიბრტყე) ასახვა მონეის კოორდინირებულ ეპიურზე. ამავ მეცადინეობაზე შეისწავლება ამ ფიგურების ურთიერთგანლაგების (კუთვნილება, პარალელობა) ასახვაც.

მესამე მეცადინეობაზე შეისწავლება ერთ სიბრტყეზე სივრცის შექცევადი ასახვის აქსონომეტრიული მეთოდი. ამ მეცადინეობის გეგმა მოიცავს ისეთ კონკრეტულ საკითხებს, როგორებიცაა: აქსონომეტრია და მისი გეომეტრიული არსი; დაგეგმილების კოეფიციენტები; აქსონომეტრიის სახეები; პოლკეს თეორემა; ორთოგონალური აქსონომეტრიის ზოგიერთი თვისება; სტანდარტული აქსონომეტრიული სისტემები. მიუხედავად იმისა, რომ მონეისა და აქსონომეტრიის მეთოდები ცალ-ცალკე, ურთიერთისაგან დამოუკიდებელია, ჩვენთან ისინი განიხილებიან როგორც ურთიერთშემავსებელი მეთოდები, სახელდობრ, პირველში პრევალირებულია ფიგურის ზომვადობა, მეორეში -თვალსაჩინოება. ამასთან დაკავშირებით, მეორე მეცადინეობის ლექციის დასკვნით ნაწილში განხილულია მონეის ეპიურისა და აქსონომეტრიის დაპირისპირება და ფიგურის ორთოგონალური გეგმილის (მონეის ეპიური) მიხედვით აქსონომეტრიის აგების პრინციპული სქემა.

მეოთხე და მეხუთე მეცადინეობები მთლიანად დათმობილი აქვთ შესაბამისად, პოზიციური და მეტრული ხასიათის ამოცანებს. აქ იგულისხმება როგორც დამხმარე, ასევე ძირითადი ამოცანები.

ზემოთ აღვნიშნეთ გრაფიკულ ამოცანებში ელემენტარული გეომეტრიის გამოყენების საჭიროება. ამის საილუსტრაციოდ განვიხილოთ ერთ-ერთი ძირითადი მეტრული ამოცანის, წერტილიდან წრფემდე მანძილის გაზომვის სწავლების პროცესი. ჩვენს შემთხვევაში ეს უკანასკნელი სამ ეტაპად იყოფა: პირველ ეტაპზე განიმარტება, თუ რას წარმოადგენს ეს მანძილი და რომელი მონაკვეთი ზომავს მას. მეორე ეტაპზე განიხილება ამოცანის ამოხსნის სტერეომეტრიული სქემა და ყალიბდება სამსაფეხურიანი ალგორითმი: 1. მოცემულ წერტილზე მოცემული წრფისადმი პერპენდიკულარული სიბრტყის გავლება; 2. ამ უკანასკნელთან მოცემული წრფის თანაკვეთის წერტილის აგება და 3. მიღებული და მოცემული წერტილებით შემოსაზღვრული მონაკვეთის სიგრძის გაზომვა. მესამე ეტაპზე ხორციელდება ჩამოყალიბებული ალგორითმის რეალიზაცია ეპიურზე.

მოყვანილი ამოცანის ამოხსნისათვის რეკომენდებული სქემა ახასიათებს ჩვენი პროგრამის ყველა სხვა გრაფიკულ ამოცანას. როგორც ამ მაგალითიდან ირკვევა, გრაფიკული ამოცანების სწავლების მეთოდიკა ძირეულადაა დაკავ

შირებული, როგორც ამოცანის ფიზიკური არსის გაცნობიერების საჭიროებასთან, ასევე მისი ამოხსნის სტერეომეტრიული სქემის წინასწარი შედგენის აუცილებლობასთან. ამგვარი მიდგომა, ჩვენი აზრით, უზრუნველყოფს დასმული ამოცანის ამოხსნას ლოგიკური მესხიერების ძალისხმევით და მთლიანად გამორიცხავს იგივე პროცესის ჩატარებას მხოლოდ მექანიკურად დამახსოვრებული წესებით, ასევე მექანიკურ რეალიზაციას.

პოზიციური და მეტრული ამოცანების სწავლებაში ყურადღებაა გამახვილებული გეგმილთა სიბრტყეების მიმართ განლაგებაზე და აქედან ამ განლაგების ხელსაყრელობაზე კონკრეტული ამოცანისათვის. მაგალითად, თუ საჭიროა წრფის მონაკვეთის გაზომვა, მაშინ მონაკვეთის გეგმილთა სიბრტყესთან პარალელობა ამ ამოცანისათვის ხელსაყრელი მდებარეობა იქნება, რადგანაც მონაკვეთი თავის კონგრუენტულ მონაკვეთზე მხოლოდ ასეთი განლაგების დროს გეგმილდება. სხვა შემთხვევაში კი საჭიროა დამატებით გრაფიკული აგებების შესრულება. ამგვარ მოვლენებზე ყურადღების გამახვილებით თითქმის აუცილებელი ხდება საჭიროების შემთხვევაში ეპიურის გარდაქმნის საშუალებათა ძიება. ამრიგად, მეხუთე მეცადინეობის დასკვნით ნაწილში, კარგად ორგანიზებული სასწავლო პროცესის პირობებში, მსმენელის მხრიდან შინაგანად შეწყნარებულია ეპიურის გარდაქმნის მეთოდების შესწავლა, რასაც მთლიანად ეთმობა მეექვსე მეცადინეობა. აქ შეისწავლება როგორც კლასიკური (გეგმილთა სიბრტყეების ცვლა, ბრუნება), ასევე არაკლასიკური, მაგრამ არქიტექტორებისათვის ერთობ საჭირო დამატებითი დაგეგმილების მეთოდები. პირველი ექვსი მეცადინეობის შემდეგ, პროგრამის მიზნობრივი დანიშნულებიდან გამომდინარე, სტუდენტმა უნდა იცოდეს მონეისა და აქსონომეტრიის როგორც თეორიები, ასევე პრაქტიკაც, რაც თავის მხრივ, პოზიციური და მეტრული ამოცანების ამოხსნაში დახელოვნებას გულისხმობს, როგორც ჩვეულებრივი, ისევე ეპიურის გარდაქმნის მეთოდების გამოყენებით. აქ მთავრდება აბსტრაგირებულ ფიგურებზე (წერტილი, წრფე, სიბრტყე) მოქმედებათა შესწავლა და ლოგიკურად თითქოს აქედან უნდა დაგვეწყოს უკვე მატერიალური სხეულების (სივრცითი ფიგურების) სიბრტყეზე ასახვასთან დაკავშირებული რთული პროცესების ცოდნის გაღრმავება და ამ მიზნით მეშვიდე მეცადინეობა მთლიანად დაუთმეთ გეომეტრიულ გარდაქმნებს. აქ გამიზნულად, მეორე სემესტრისათვის საფუძვლის მომზადებისათვის, შევიტანეთ ისეთი საკითხების შესწავლა, როგორებიცაა: ეკვილიდეს სივრცე და მისი შევსება არასაკუთრივი ელემენტებით; დეზარგის თეორემა; ორი ბრტყელი ველის პერსპექტიულ-აფინური შესაბამისობა და მისი თვისებები; ელიფსი, როგორც წრეწირის აფინურად შესაბამისი ფიგურა; აფინურად შესაბამისი ველების მთ. ვარი მიმართულებანი; მონათესავე მართი კუთხეები; პოლკე-შვარცის თეორემა.

მერვე მეცადინეობა კი უკვე დათმობილი აქვს მრავალწახნაგა ზედაპირებისა და მრავალწახნაგების ეპიურზე და აქსონომეტრიაში ასახვის საკითხებს. აქ შეისწავლება გრაფიკული აგებები, კერძოდ, მრავალწახნაგას გადაკვეთა სიბრტყით, წრფით და ურთიერთშორის.

მეცხრე მეცადინეობაზე განიხილება მრუდე წირები. აქ შეტანილია როგორც ბრტყელი, ასევე სივრცითი წირები და აქვეა წირების კონსოიდური, კონფორმული და ინვერსიული გარდაქმნები. ბუნებრივია, გარკვეული ადგილი აქვს

დათმობილი მეორე რიგის ნირების (კონუსური კვეთების) შესწავლასაც. მათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე მეცადინეობებზე შეისწავლება ზედაპირები შემდეგი მიმდევრობით: ნრფოვანი ზედაპირები, პარალელური გადატანისა და ბრუნვის ზედაპირები, ზოგიერთი სახის ხრახნული და არანრფოვანი ზედაპირები.

დარჩენილი ოთხი მეცადინეობა ეძღვნება მხაზველობითი გეომეტრიის ზოგადი კურსის შემაჯამებელ ნაწილს, სახელდობრ, გრაფიკულ მოქმედებებს ზედაპირებზე. აქ შესულია ზედაპირების გადაკვეთა ნრფით, სიბრტყით და ზედაპირების თანაკვეთა. ამ ბოლო ამოცანის გადაწყვეტისათვის რეკომენდებულია როგორც სიბრტყეთა კონის (საკუთრივ და არასაკუთრივ ნრფებზე გამავალი), ასევე დამხმარე სფეროების (კონცენტრული, ექსცენტრული) გამოყენება.

შემოთ ჩამოთვლილი ყოველი მეცადინეობა (ლექცია, პრაქტიკუმი) სტრუქტურულად განსხვავებული სამი ნაწილისაგან შედგება: შესავალი, ძირითადი და დასკვნითი ნაწილები.

შესავალი ნაწილი თავისი დიდაქტიკურ-მეთოდოლოგიური დანიშნულებით წარმოადგენს მეცადინეობის მთავარი ამოცანის - ახალი მასალის გადაცემის გასაღებს, ხოლო ფსიქოლოგიური თვალსაზრისით - ლექტორსა და სტუდენტში საჭირო განწყობის შექმნის აუცილებელ საფეხურს. მეცადინეობის ამ ნაწილში მნიშვნელოვანია ლექტორის საუბარი განვლილის სისტემაში მოყვანისა და ახალზე შეგნებულად გადასვლისათვის.

ძირითადი ნაწილი ემსახურება ახალი ცოდნა-ჩვევების დაუფლების ამოცანას, რაც დიდაქტიკურ-მეთოდოლოგიური დანიშნულებით მიმართულებას აძლევს მთელ მეცადინეობას, ხოლო ფსიქოლოგიურად ახალი საფეხურია, როცა ხდება ლექტორისა და სტუდენტის განწყობის რეალიზაცია თვისებრივად განსხვავებულ პედაგოგიურ სიტუაციაში. მეცადინეობის ამ ნაწილში შედის თემისა და მიზნობრივი დანიშნულების გამოცხადება, გეგმის გაცნობა, მასალის გეგმარეალიზაციის ახსნა, გზადაგზა დასკვნების გაკეთება.

დასკვნითი ნაწილი ემსახურება გადაცემულის სისტემაში მოყვანას, უმთავრესის გამოყოფას მეორეხარისხოვანისაგან და შემდგომი მუშაობის გზების დასახვას. დიდაქტიკურ-მეთოდოლოგიური თვალსაზრისით იგი პედაგოგიური პროცესის დაჯამებაა, ხოლო ფსიქოლოგიური თვალსაზრისით - ისეთი საფეხური, როცა განვლილი მასალიდან ყველაზე ძირითადი ინტენსიურად ფიქსირდება სტუდენტის მეხსიერებაში.

პროგრამით გათვალისწინებული ყოველი მეცადინეობის გეგმის პირველი საკითხი შესავალია, ხოლო ბოლო - მეთოდოლოგიური მითითებები, რაც დასკვნითი ნაწილის რეალიზაციას გულისხმობს.

პედაგოგიური თვალსაზრისით ერთობ საყურადღებოა ზემოთ ერთხელ უკვე ნახსენები ლექციისა და პრაქტიკუმის სინქრონიზმი. საქმე ისაა, რომ მასხველობითი გეომეტრიის ნებისმიერი გრაფიკული ამოცანის გონივრული, მეხსიერებაში კარგად დაფიქსირებული და შემდგომი განზოგადებისათვის მომზადებული ამოხსნების დაუფლება შეიძლება განხორციელდეს სალექციო მასალაზე ოპტიმალურად მორგებული მაგალითების შესწავლით.

სტუდენტის ცოდნის შემოწმება-შეფასება რეიტინგული სისტემით ხორცი-



ელდება. ამასთან დაკავშირებით, პროგრამა ითვალისწინებს სემესტრული მავლობაში სამი საკონტროლო სამუშაოს შესრულებას და ერთ საკურსო გამოცდას საგამოცდო სესიის პერიოდში. წახალისების მიზნით სტუდენტი, რომელიც სემესტრის განმავლობაში დააგროვებს რეიტინგით გათვალისწინებულ ქულათა მაქსიმუმს, თავისუფლდება სასესიო გამოცდიდან.

კურსის პროგრამით საგნის მეორე ნაწილის შესწავლა სწავლების მეორე სემესტრშია დაგეგმილი. ამ ნაწილში შეისწავლება ამოცანები ორთოგონალურ გეგმილებში ჩრდილების აგებაზე და პერსპექტივა (ცენტრალური დაგეგმილება სიბრტყეზე).

პირველი ორი ლექცია, შესაბამისად ოთხი პრაქტიკული, ეძღვნება ორთოგონალურ გეგმილებში (მონჟის ეპიური) საკუთარი და დაცემული ჩრდილების აგებას.

მომდევნო ექვსი ლექცია და თორმეტი პრაქტიკული განკუთვნილია გამოყენებითი პერსპექტივის თეორიისა და პრაქტიკისათვის, სახელდობრ, აქ მიმდევრობით განიხილება სიბრტყეზე ცენტრალური დაგეგმილების გეომეტრიული არსი, ძირითადი გეომეტრიული ფიგურების ცენტრალური დაგეგმილება, სივრცის არასაკუთრივი ელემენტები, პერსპექტიული ფიგურები, სიბრტყის გეგმილური გარდაქმნა, პომოლოგია, დეზარგის თეორემა (განმეორებით), პერსპექტივა შვეულ სიბრტყეზე, სივრცის შექცევადი ასახვა დაგეგმილების კომპოზიციით, არქიტექტურულ პრაქტიკაში ხმარებული ცენტრალური დაგეგმილების სისტემა, პოზიციური და მეტრული ამოცანები, გეომეტრიული ფიგურების პერსპექტივის აგება მონჟის ეპიურის მიხედვით, ჩრდილების აგება პერსპექტივაში.

თეორიული მასალის ყოველი საკითხი შევსებულია პრაქტიკული სავარჯიშოებით, რომელთაგან გამოყოფილია ორი სავალდებულო ინდივიდუალური მოცემულობის შესრულება თემებზე: 1. მოცემული ობიექტის ორ გეგმილზე (გეგმა, ფასადი) დაცემული და საკუთარი ჩრდილების აგება; 2. მარტივი გეომეტრიული ფიგურების პერსპექტივის აგება ჩრდილებით (პრიზმა, პირამიდა, ცილინდრი, კონუსი).

შეგნიშნოთ, რომ მონჟის ეპიური და ჩრდილების აგების გეომეტრიული საფუძვლები არსებითად პირველ სემესტრშია შესასწავლი და მეორეში მთელი ეს მასალა ადრე განვლილი მასალის განმეორებას გულისხმობს არქიტექტურულ გრაფიკაში მისი გამოყენების თვალსაზრისით.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მზაზველობითი გეომეტრიისა და საინჟინრო გრაფიკის კათედრაზე ყველა საჭირო პირობაა შექმნილი არქიტექტურის სპეციალობაზე ჩარიცხული სტუდენტების მაღალ დონეზე მომზადებისათვის გრაფიკულ წიგნიერებაში.

არქიტექტორის პროფესიული ოსტატობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია კომპოზიციის ცოდნაზე და იმაზე, თუ როგორ ფლობს ის გამომსახველობის საშუალებებსა და ხერხებს. ამიტომ გასაგებია ის ყურადღება, რომელიც უმაღლეს არქიტექტურულ სკოლაში ეთმობა კომპოზიციის საგანს.

შემოთავაზებული მეთოდით კომპოზიციის სწავლების პრინციპია ინტუიციურიდან ინტუიციურ ცნობიერებამდე. ეს სვლაა მარტივიდან რთულისაკენ, ფიგურებით (საგნებით) „თამაშიდან“, შეგრძნებიდან და გრძნობიდან, კომპოზიციური ანბანის შესწავლით, ჰარმონიის კანონების თანდათანობით შექმენებად და მათ ნაწილობრივ აღქმამდე. მისი სრული გაგება ხდება მოგვიანებით, გამოცდილებასთან ერთად.

წარმოდგენილ მეთოდში არსებითია:

სწავლება წარმოებს პრაქტიკიდან თეორიისაკენ და არა პირიქით.

კომპოზიციური სავარჯიშოს დასმის პრინციპები:

სავარჯიშოთა ჯგუფი მოიცავს ძირითადად გრაფიკულ საშუალებებს (ხაზი, ფერი, მაკეტი), რომლებითაც არქიტექტორი გამოხატავს აზრებს და რომელთა დახმარებითაც ახორციელებს ჩანაფიქრს;

ყოველი მომდევნო ამოცანა გამომდინარეობს წინასაგან, რომლის მიხედვითაც ხდება არქიტექტურული გეგმარების პროცესის გაცნობიერება, სადაც აზრისა და ხელის მოძრაობა მიდის აბსტრაგირებული სახეებიდან სიბრტყეზე, მოცულობისაკენ. იგი წარმოდგენილია მაკეტით;

სავარჯიშოთა ჯგუფების ურთიერთკავშირი ხანგრძლივი დროის მანძილზე მოითხოვს ღრმა აზროვნებას და ქმნის თითოეულის შინაგანი პოტენციალისა და შესაძლებლობების სრულად გამოვლენის პირობას.

სამუშაოს მიმდინარეობასთან ერთად გაიზარება არქიტექტურული კომპოზიციის კანონზომიერებანი და მათი სხვადასხვა შემთხვევაში გამოყენების თავისებურებები.

სავარჯიშოები სრულდება გარკვეული თანმიმდევრობით არქიტექტურული გეგმარების პროცესის ანალოგიურად, გრაფიკის გამოყენებით და მაკეტის შესრულებით.

კომპოზიციაში სასწავლო დავალებებზე მუშაობის პროცესში, როგორც არქიტექტურული გეგმარების პროცესში, შემოქმედებითი აზროვნების საშუალებად გვევლინება ხედვით-სივრცული წარმოდგენები, რომლებიც თავდაპირველად, როგორც წესი, ფიქსირდება სიბრტყეზე ხაზებში, გრაფიკულად და შემდგომ პოულკბს მოცულობით გამოსახულებას მაკეტში.

ხელოვნების განვითარების ძირითადი გზა მოდის ხაზიდან, კონტურული ბრტყელი ნახატებიდან შტრიხული და ფერადოვანი მოდელირებით მოცულობითი პოლიქრომიისაკენ, რელიეფისა და მოცულობისაკენ, აქედან გამომდინარე, სამუშაო უნდა იწყებოდეს სიბრტყითი მონოქრომული და პოლიქრომული კომპოზიციიდან პლასტიკურზე გადასვლით.

დამუშავებულია პრაქტიკული სავარჯიშოების ხუთი ჯგუფი. ყოველი პრაქტიკული სამუშაოს შემდეგ განხილულია თეორიული საკითხები.

პრაქტიკული სავარჯიშოების პირველი ჯგუფი — სიბრტყითი შავ-თეთრი



კომპოზიციები მკვეთრად გამოხატული გეომეტრიზმით. მათი შესრულებისათვის ასარჩევად ეძლევათ გარკვეული ზომის შავი გეომეტრიული ფიგურები: სამკუთხედები, კვადრატები, წრეები და სურვილისამებრ მათი წარმოებულები.

შემოთავაზებულია, ერთი და იგივე ან სხვადასხვა ზომის ფიგურების განუსაზღვრელი რაოდენობით შეიქმნას ჰარმონიული კომპოზიცია - „გეგმა“, კომპოზიცია - „დაგეგმარება“, კომპოზიცია - „სტრუქტურა“.

პირველი სავარჯიშოს მიზანია სივრცის აგებისა და ორგანიზაციის კანონების შეცნობა. ისმება ერთიანობის, როგორც ურთიერთდაქვემდებარებისა და შეთანხმებულობის, როგორც ფუძის სიბრტყისა და გამოყენებული ელემენტების ურთიერთშეფარდებიდან გამომდინარე მასშტაბურობის მიღწევის ამოცანა.

მუშაობის პროცესში ყურადღება ექცევა წმინდა ემოციური მდგომარეობების - მდგრადობის, სიმშვიდის, მოუსვენრობის, მოძრაობის და სხვათა წარმოშობას.

ასიმეტრიული და სიმეტრიული გეომეტრიული აგებები, გამომდინარე რთული კანონზომიერებებიდან, აგრეთვე ხაზებისა და ფორმების მოულოდნელი შეხამებები ხშირად ქმნიან მდიდარ სანახაობრივ სახეებს.

ამ ნამუშევრების მხატვრული გამომსახველობა და კომპოზიციური მრავალფეროვნება მიიღწევა დაპირისპირების მეთოდის გამოყენებით, არათანაბარი ინტერვალების მონაცვლეობით, რიტმული გამეორების, თანაზომიერების, განონასწორებულობის, აგრეთვე ხაზების დახვეწილობისა და ზომიერების გრძნობის დაცვით.

სამუშაოს თანამიმდევრობა:

1. დასმული ამოცანის გარკვევა, სტუდენტების მიერ ადრე შესრულებული ნამუშევრებისა და სხვა მეთოდური მასალის გაცნობა.
2. ალბომში ან ცალკეულ ფურცლებზე ესკიზის შესრულება ფანქრით, ფლომასტერით და ა.შ. (ესკიზების რაოდენობა არანაკლები ხუთისა ფიგურების თითოეულ ჯგუფზე).
3. საუკეთესო ესკიზის დამტკიცება.
4. მუყაოზე კომპოზიციის სახაზავი მოწყობილობებით, შავი ტუშით, გუაშით გამოხატვა ან აპლიკაციის მეთოდით შესრულება. მუყაოს ზომა განისაზღვრება პედაგოგის მიერ.

სამუშაოს ვინყებთ კომპოზიციის თეორიის — კომპოზიციური ხერხებისა და საშუალებების შესწავლით. ვსწავლობთ გამომსახველობის საშუალებებს - ერთიანობას (მთლიანობა, ჰარმონია), ურთიერთდაქვემდებარებას (მთავარი და მეორეხარისხოვანი), სიმეტრიას და ასიმეტრიას. ვეცნობით ფორმანარმოქმნის ზოგიერთ საშუალებას (არქიტექტურული ბიონიკა), სრულდება კლასური.

პრაქტიკული სამუშაოების მეორე ჯგუფი — სიბრტყითი კომპოზიციები, რომლებიც გამოირჩევიან ფერთა სიუხვით, მოტივებისა და მოხაზულობების მრავალფეროვნებით.

ამ ჯგუფის სავარჯიშოების შესრულების საფუძველია პირველი კომპოზიცია. პირველად დაფიქსირებულმა აზრმა, იდეამ ამ სავარჯიშოში უნდა პოვოს შემდგომი განვითარება. კომპოზიციის მხატვრულ საშუალებათა ცოდნის გაღრმავება საშუალებას იძლევა საჭიროებისას პირველი კომპოზიციის სტრუქტურაში შეტანილი იქნეს ცვლილება მისი გამდიდრების ან არქიტექტონიკის

ამაღლების მიზნით.

საჭიროა პირველი კომპოზიცია წარმოვადგინოთ ახალი სახით, რისთვისაც გამოიყენება ფერთა შეხამებები, აღებული ტონალობათა ფართო დიაპაზონიდან, აშკარა მყვირალადან რთულ არაერთგვაროვნებამდე.

მეორე სავარჯიშოს მიზანია არქიტექტურულ შემოქმედებაში ფერის შესაძლებლობათა შეცნობა.

ისმება ამოცანა ტონის, ჩრდილ-ნათელის, ზოგიერთი ნაწილის სხვებთან შედარებით გამოყოფაზე, სწორ განაწილებაზე და ფერსა და პლასტიკაში ემოციური მდგომარეობის ხორცშესხმაზე.

განიხილება ფორმისა და ფერის ურთიერთკავშირის საკითხი, ფერის უნარი - შეცვალოს მისი თვისებები და ხარისხი. აღინიშნება ადამიანზე ფერის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედება. ყურადღება ეთმობა ხედვითი აღქმის კანონზომიერებებს - მიახლოების და დაშორების, სითბოს და სიცივის, სიმსუბუქის და სიმძიმის, მომხიზვლელობისა და უსიამოვნების და სხვა ილუზიების და შეგრძნებების წარმოქმნას.

მეორე ჯგუფის სავარჯიშოების აშკარა მხატვრული გამომსახველობა შეიძლება ძირითადი გრაფიკული საშუალებების - ხაზის, ტონის, ჩრდილ-ნათელის სხვადასხვა სიძლიერის და გაჯერებული ფერის, ასევე შესრულების ოსტატობის მარჯვედ გამოყენებით და ჰარმონიული ურთიერთმოქმედებით.

ფერადი კომპოზიციების არქიტექტურული გრაფიკა მრავალი სახისაა. ძირითადად გამოიყენება გუაში და აკვარელი, აგრეთვე ქაღალდი, ძაფი, ნართი და სხვა საშუალებები. სამუშაოები წარმოდგენილია ჩარჩოებზე ან მუყაოზე ფერწერული ტილოს ან მოზაიკის, ვიტრაჟის, გობელენის სახით. შესაძლებელია ერთ ნამუშევარში სხვადასხვა ტექნიკისა და მასალების შეთავსება.

სიბრტყით შავ-თეთრ და ფერად კომპოზიციებს აქვთ ამჟამად გამოხატული დეკორატიული ხასიათი, რაც მათი განზოგადებით, პირობითობით აიხსნება.

მუშაობის მსვლელობა პირველი სავარჯიშოს ანალოგიურია:

1. დასმული ამოცანის გათვითცნობიერება;
2. ესკიზირება ცალკეულ ფურცლებზე გუაშით, აკვარელით, ფლომასტერით და სხვა საშუალებებით;
3. საუკეთესო ესკიზის დამტკიცება;
4. კომპოზიციის შესრულება მუყაოზე ნებისმიერი ტექნიკით.

ვაგრძელებთ კომპოზიციის თეორიის შესწავლას. დასამუშავებელია დინამიკის, სტატიკის, ილუზიის, კონტრასტის, ნიუანსის ცნებები; ყურადღებას ვუთმობთ ფერის პრობლემას, მის შესაძლებლობებს ადამიანის ცხოვრებაში, კერძოდ, არქიტექტურულ შემოქმედებაში. ვეცნობით არქიტექტურის ემოციურ ზემოქმედებას. სრულდება კლასურა.

პრაქტიკული სამუშაოების შესაშე ჯგუფი — ძოცულობითი კომპოზიციები, კომპოზიციები სივრცეში, რომლებიც გამოირჩევიან მრავალფეროვანი ტექტონიკური ფორმებით.

სავარჯიშოების შესრულების საფუძველია პირველი და მეორე კომპოზიცია. სიბრტყეზე განხორციელებული ჩანაფიქრი აქტიურად გამოიყენება და გადადის მაკეტში შესრულებულ სამგანზომილებიან ინტერპრეტაციაში.

შემოთავაზებულია, შემოქმედებითი აზრის დაურღვევლად აღუწართოთ, ავა-



გოთ სიბრტყითი კომპოზიციები და ამ მიზნით გამოვიყენოთ ნეგატივი „სამშენებლო“ მასალა.

სავარჯიშოს მიზანია სივრცითი ფორმანარმოქმნის კანონების არსში ჩანვდომა.

ისმება კომპოზიციის განვითარების სწორი ხაზის პოვნის, ჰარმონიზაციის და მთლიანობის პრინციპის ძირითადი საშუალებების გამოყენებით ფორმის მოძებნისა და გამოვლენის ამოცანა.

გამომსახველობის მისაღწევად წარმოიშობა სივრცისა და მასის, კომპოზიციაში სივრცითი მახასიათებლების -ჰაერის, მასით შეუვსებელი მოცულობების ძებნის აუცილებლობა.

ყურადღება ექცევა ელასტიკურობის მიღწევას, შექმნილი სტრუქტურის ტრანსფორმირების შესაძლებლობას წინასწორობისა და წესრიგის დაურღვევლად.

ყურადღება ეთმობა პლასტიკის მრავალსახეობის საკითხებს. განსხვავება სანყისი მასალის ხედავში აისახება ამოცანის გადაწყვეტისადმი მიდგომაში. აღმართავენ მთლიან კომპოზიციას, ფრაგმენტებს ან წარმოადგენენ მას, როგორც სტრუქტურის ნაწილს.

სიბრტყითი კომპოზიციების ინდივიდუალური გააზრება ბადებს სივრცითი ფორმების სამყაროს -მაკეტებს, რომლებიც შედგენილია მკვეთრი გეომეტრიული შეკრული ელემენტებისაგან, ან გამჭვირვალე, გახსნილი, ნათლად გამოკვეთილი კონსტრუქციებისაგან, ან ნაძერწი ხასიათის და ნაირსახეოვანი რელიეფის სახით.

ზოგიერთი სივრცითი ფორმის აგება ხელმისაწვდომია ელემენტარული გეომეტრიით, ზოგიერთის აგება დაქვემდებარებულია უმაღლეს გეომეტრიულ კანონზომიერებებზე.

სავარჯიშოების ესთეტიკურ დონეს განსაზღვრავს ფორმების პლასტიკა, გამომსახველი კონტრასტული და რიტმული აგებები, განუმეორებლობა მხატვრული სახეებისა, თავისებური სიმბოლოებისა, რომლებიც ადამიანს არქიტექტურას მოაგონებენ.

სამუშაოს თანმიმდევრობა:

1. დასმული ამოცანის შეცნობა, კომპოზიციის ძირითადი განმასხვავებელი ნიშნების განსაზღვრა.
2. ქალაღზე ესკიზირება, საუკეთესო ვარიანტის შერჩევა და მისი დამუშავება.
3. ესკიზის დამტკიცება.
4. კომპოზიციის შესრულება მაკეტში.

მაკეტი ძირითადად სრულდება თეთრი ქაღალდისაგან, აგრეთვე ძაფებისაგან, ლითონისა და ხის ღეროებისაგან მუყაოზე ან სხვა მაგარ საფუძველზე.

სავარჯიშოების მესამე ფაზაზე მუშაობის დროს დასამუშავებელია თეორიის შემდეგი საკითხები: რიტმი; პროგრესიები, პროპორციები; მასშტაბი და მასშტაბურობა; ტექტონიკა. სრულდება კლაუზურა.

პრაქტიკული სავარჯიშოების მეოთხე ფაზა. სივრცითი მრავალპლანიანი კომპოზიციები გამოირჩევა მოცულობითი ფორმების ტექტონიკით, ფერთა სიუხვით და მოტივებისა და კონფიგურაციების მრავალფეროვნებით.

ამ ჯგუფის სავარჯიშოების შესრულებას საფუძვლად უდევს წინამორბედი კომპოზიციები. შავ-თეთრ კომპოზიციებში შექმნილი იყო სიმეტრიული და ასიმეტრიული გეომეტრიული აგებები, ხშირად დამყარებული რთულ კანონ-ზომიერებებზე ხაზებისა და ფორმების მოულოდნელი შეხამებებით; ფერად კომპოზიციებში გამოყენებული იყო ნაირგვარი ფერადოვანი შეხამებები ტონალობათა ფართო დიაპაზონიდან, მყვირალადან-რთულამდე, მრავალმნიშვნელოვნამდე. მოცულობითი კომპოზიციები გამოირჩეოდნენ ტექტონიკური ფორმების მრავალფეროვნებით, ელასტიკურობით.

შემოთავაზებულია, აიგოს რთული სივრცითი კომპოზიცია, რომელიც ერთ მხატვრულ-გამომსახველობით მთლიანობას წარმოადგენს მოცულობითი კომპოზიციის მოქნილობისა და ტრანსფორმაციის შესაძლებლობის, შავ-თეთრი კომპოზიციის გეომეტრიული აგებისა და ფერადოვანი შეხამების გამოყენებით. მეოთხე სავარჯიშოს მიზანია თანადაქვემდებარებული ფორმებისა და სივრცეების ორგანიზაციის კანონების, აგრეთვე ანსამბლის, როგორც მთლიანის, ერთიანის ცნებების შესწავლა.

ისმება ამოცანა ერთიანობის გამოსახვისა სიბრტყითი და მოცულობით-სივრცითი ელემენტების შეთანხმებულობით, ფორმისა და ფერის ურთიერთკავშირით. მუშაობის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოცულობითი ფორმებისა და სივრცეების ჰარმონიული დანანევრების მონახვას ცნობილი კომპოზიციური საშუალებების საფუძველზე.

ამ სამუშაოების მხატვრული გამოსახველობა და კომპოზიციური სიმდიდრე მიიღწევა სიბრტყითი და მოცულობით-სივრცითი ელემენტების დაპირისპირების მეთოდით, ფორმების პლასტიკით, კონტრასტული და რიტმული განმეორებებით, თანაზომიერებით, განონასწორებულობით, ხაზებისა და ფერის ჰარმონიული ურთიერთმოქმედებით, რომელიც გამოიყენება კომპოზიციის ელემენტების ერთ მთლიანობაში გაერთიანების ან აქცენტირებისათვის, ფორმის რომელიმე თვისების ემოციური ზემოქმედების გაძლიერების ან შესუსტებისათვის, აგრეთვე ჰარმონიის მისაღწევად თვით ფერთა ტონებისა და კომპოზიციის ფორმებს შორის.

ემოციური ზემოქმედების გასაძლიერებლად ურთიერთს უპირისპირდება ძირითადი ვიზუალური ნიშნები: მოცულობით-სივრცითი აგებების ერთგვაროვნება და არაერთგვაროვნება, დახშულობა და გახსნილობა, სიმარტივე და სირთულე.

სამუშაოს თანამიმდევრობა მესამე სავარჯიშოს ანალოგიურია.

მაკეტები სრულდება მაგარ საფუძველზე სქელი ქაღალდისაგან გუაშის, აკვარელისა და სხვა საშუალებების გამოყენებით.

დასამუშავებელია შემდეგი საკითხები: სივრცე და მასა; ხელოვნებათა სინთეზი. სრულდება კლაუზურა.

პრაქტიკული სავარჯიშოების მეხუთე ჯგუფი შეიცავს, ერთი მხრივ, მარტივიდან რთულზე გადასვლას -სიბრტყითი, ხოლო შემდეგ მოცულობითი კომპოზიციების შესრულებას; მეორე მხრივ -ინტუიციურიდან ინტუიციურ-რაციონალურ შემოქმედებაზე გადასვლას კომპოზიციის არსის ათვისებით შესრულებული სამუშაოს კომპოზიციურ ანალიზში.

შემოთავაზებულია, აღდგინილი იქნეს მესხიერებაში კომპოზიციის ჩასახვისა

და განვითარების პროცესი, მისი ერთი ფორმის გადასვლა მეორეში შესაძლებელი შუალედური ეტაპებით, მთელი სამუშაოს გრაფიკული და სიტყვიერი ახსნის მიცემა და დასაბუთება.

მიზანი -არქიტექტურული კომპოზიციის თეორიაში საწყისი ცოდნის განმტკიცება და არქიტექტურული პლასტიკის აღქმის თვისებების გაღრმავება.

ისმება ამოცანები კომპოზიციის სახისა და ხასიათის გარკვევის, მისი არსის განსაზღვრის, გამოყენებული გამომსახველობითი საშუალებების გამოვლენის, ბუნებაში და ხელოვნურ გარემოში ანალოგიის პუნქტისა.

სამუშაოს თანმიმდევრობა:

1. საწყისი მასალების შეგროვება (ესკიზები, კომპოზიციების ფოტოგრაფიები და ა.შ.);

2. კომპოზიციის სახის გარკვევა (ფრონტალური, მოცულობითი, სიღრმულ-სივრცული);

3. კომპოზიციის ხასიათის განსაზღვრა (სიმეტრიული, ასიმეტრიული, მასიური, სივრცითი, სტატიკური, დინამიკური მსხვილმასშტაბიანი, წვრილმასშტაბიანი და სხვ.);

4. ფორმის გეომეტრიული დახასიათება (არტყელი, მოცულობითი, კვადრატული, სწორკუთხა, მრავალკუთხა და ა.შ.);

5. ანალოგიების დადგენა და შესწავლა (ბუნებრივი გარემოდანაა თუ საპროექტო და სამშენებლო პრაქტიკიდან), შესაბამისი ლიტერატურის გაცნობა;

6. კომპოზიციის ჰარმონიზაციისათვის გამოყენებული გამოვლენილი მხატვრული საშუალებების ჩამოთვლა;

7. მოცემული კომპოზიციის ემოციური ზემოქმედების განსაზღვრა. კომპოზიციის ესთეტიკური შეფასება;

8. შემოქმედებითი მუშაობის ხერხის, მეთოდის განსაზღვრა;

9. დავალიების გრაფიკული (ნახაზი, სქემები, ნახატები, ფოტოები) და ტექსტური ნაწილის შესრულება.

მესუთე დავალებაზე მუშაობა მოითხოვს შემოქმედებითი მუშაობის სხვადასხვა ხერხებისა და მეთოდების გაცნობას, აგრეთვე ყველა საკითხის გამეორებას, რომლებიც ეხება აღქმის თავისებურებებს და მხატვრულ გამომსახველობით საშუალებებს.

მოცემული მეთოდით არქიტექტურული კომპოზიციის სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება და მისი სრულყოფისათვის შემდგომი მუშაობა უფლებას გვაძლევს გავაკეთოთ ზოგიერთი დასკვნა:

-აზროვნების პროცესი განუყრელადაა დაკავშირებული ენასთან, როგორც ურთიერთობისა და აზრთა გაცვლის საშუალებასთან. არქიტექტორის შემოქმედებით მოღვაწეობაში იდეის, აზრის გადმოცემის ძირითად საშუალებად, „ენად“ გვევლინება, პირველ რიგში, გრაფიკა და მაკეტი. კომპოზიციური ამოცანების აგების მეთოდი -სიპრტიციდან, გრაფიკულიდან პლასტიკურობისაკენ, მოცულობისაკენ (რელიეფი, მაკეტი), სადაც ყოველი მომდევნო სამუშაო კი არ უარყოფს წინამორბედს, არამედ აგრძელებს მას -საწყისს აძლევს აზროვნების გარკვეული პროფესიული სტილის განვითარებას;

-არქიტექტორის საპროექტო პრაქტიკაში საყოველთაოდაა ცნობილი ისეთი კატეგორიების მნიშვნელობა, როგორებიცაა: სივრცე, ხაზი, მოცულობა, ფერი. შექ

მნილი კომპოზიციის ხასიათის გრაფიკულად და პლასტიკაში გადმოცემის გარდა აუცილებელია იმის ცოდნა, თუ როგორ მოქმედებს ადამიანზე აღნიშნული კატეგორიები.

ამოცანები არქიტექტურულ კომპოზიციაში აფართოებს კომპოზიციური გრამატიკის ჩვევებს და ცოდნას, საშუალებას იძლევა თანდათანობით სრულყოფით ხელის დაყენება; მზერის სიმახვილე, მხატვრული გემოვნება და ზომიერების გრძნობა, ხოლო ფერწერული ფორმა, სიმბოლური ხასიათი და კომპოზიციის გამომსახველობა კონკრეტული არქიტექტურული გადაწყვეტის საფუძველს იძლევა.

კომპოზიციის კურსი ვითარდება და დღეს, სემესტრების მიხედვით პროგრამა წარმოგიდგება შემდეგნაირად:

I სემესტრი

დავალება 1 — გეომეტრიული ჰარმონიზაცია სიბრტყეზე. ვარიაციები ფიგურებისაგან (შავ-თეთრი კომპოზიციები).

დავალება 2 — ხაზების ჰარმონია. ბიოფორმის აბსტრაგირება.

II სემესტრი

დავალება 1 — ფერის გამომსახველობა. შავ-თეთრი კომპოზიციების განვითარება ფერში.

დავალება 2 — არქიტექტურული ბიონიკა. იმპროვიზაცია თემაზე „ესკიზი“ იდეა.

დასამუშავებელი თემები:

- არქიტექტურული სივრცე;
- ფორმანარმოქმნის პრობლემები;
- არქიტექტურული კომპოზიციის გამომსახველობითი საშუალებები.

III სემესტრი

დავალება 1 — ფორმების ჰარმონიზაცია. სიბრტყითი კომპოზიციების მოცულობითი ინტერპრეტაციები. შაკეტი.

დავალება 2 — სივრცითი სტრუქტურები. იმპროვიზაცია თემაზე „ესკიზი“ იდეა.

IV სემესტრი

დავალება 1 — ფორმებისა და სივრცეების ჰარმონიზაცია. წინამდებარე გეომეტრიული კომპოზიციების მოცულობით-სივრცითი გადაწყვეტა. შაკეტი.

დავალება 2 — აბსტრაქტული ფორმების ჰარმონიიდან არქიტექტურული სახეების ჰარმონიისაკენ. აბსტრაქციიდან -რეალობამდე. არქიტექტურული ესკიზი კომპოზიციური ანალიზით.

დასამუშავებელი თემები:

- სივრცითი სტრუქტურები. სამშენებლო მასალები;
- არქიტექტორის ცოდნის დიაბაზონი -მხატვრული და საინჟინრო;
- შემოქმედების საწყისი. არქიტექტურული ესკიზი -სამუშაო, ხელოვნება, პროფესიონალიზმი.

არქიტექტორული კომპოზიციის კურსი მიმართულია არქიტექტურულ გემარუბაზე და მთელი დამუშავებული მასალა (აბსტრაქტული კომპოზიციები, თავისუფალი იმპროვიზაციები -არქიტექტურული ესკიზები) გამოიყენება სტუდენტების მიერ სამრეიტო სამუშაოებში. ამ ორი დისციპლინის ურთიერთკავშირს ეხმარება „არქიტექტურული კომპოზიციისა და დაპროექტების მეთოდიკის“ სპეციალური კურსი.

დისციპლინა „არქიტექტურული კომპოზიცია და დაპროექტების მეთოდოლოგია“

აღნიშნული სასწავლო საგანი წარმოადგენს სპეციალური დისციპლინების ორწლიანი სწავლების დამამთავრებელ ეტაპს. მეოთხე სემესტრის განმავლობაში ხდება კომპოზიციაა და გეგმარების საფუძვლებში მიღებული ცოდნის შეჯამება.

დასმულია ამოცანა -კომპოზიციის ძირითადი წესების და რეალურ და-გეგმარებაში მათი გამოყენების გზების ჩვენება და მემეცნება.

პროგრამა ითვალისწინებს საკითხთა კომპლექსის განხილვას:

-არქიტექტურული ესთეტიკა;

-ფორმისა და სივრცის კომპოზიციური ორგანიზაციის რეტროსპექტული ჩვენება;

-ფორმისა ოა სივრცის აღქმის ზოგიერთი ფსიქოლოგიური საკითხი;

-სასწავლო საგნების ურთიერთკავშირი და მნიშვნელობა;

სწავლების პერიოდში სტუდენტები ასრულებენ ორ ძირითად სამუშაოს.

დავალება 1 -ილუსტრირებული რეფერატი მოცემულ თემაზე (განსაზღვრული ეპოქის არქიტექტურული ფორმების ან კონკრეტული შემოქმედის ობიექტის ანალიზი).

დავალება 2 -აბსტრაქტული კომპოზიციების საფუძვლზე შექმნილი არქიტექტურული პროექტი (ესკიზი) ალტერნატიული ვარიანტებითა და გრაფიკული ანალიზით.

ეს არის ზოგადი სქემა, რომელშიც შეიძლება კორექტივის შეტანა. მთავარი სწავლების პერიოდში უნდა იყოს გარკვეული ორიენტაცია, მიმართება საბოლოო შედეგის მისაღებად. ეს არის არქიტექტურული იდეის გამართული შესრულება და პროფესიული აზროვნება, ანუ -სილამაზის შეგრძნება და სილამაზის შექმნა.

აღნიშნული მოსაზრება ემყარება შემდეგს: უმაღლეს არქიტექტურულ სკოლაში ყალიბდება შემოქმედებითი პოტენციალი მომავალი ხუროთმოძღვრისა და იმის მიხედვით, თუ როგორი გემოვნება და იდეალები ექნება მას, დიდად იქნება დამოკიდებული ჩვენი არქიტექტურის მომავალი.

ზოგადად, ცნობილია სკოლის გავლენა შემოქმედებითი გეზის არჩევაზე, ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია, თუ რა შთაენერგება სტუდენტს სასწავლებლის კედლებში.

მეცადინეობებზე სპეციალურ დისციპლინებში საუბარი მიმდინარეობს არქიტექტურაზე და კიდევ არქიტექტურაზე. მოსწავლეთა შემოქმედებითი სიმბათიები და შეხედულებები პირდაპირ დამოკიდებულებაშია შეთავაზებულ პროგრამასთან და პედაგოგთან, რომელიც უნერგავს ამა თუ იმ მიმართულების ინტერესს.

პირველი -არქიტექტურა, რომელიც ანვითარებს ტრადიციებს, კომპოზიციის კლასიკურ წესებს; არქიტექტურა, რომელიც აღიარებს ისეთ ფასეულობებს, როგორებიცაა ჰარმონია -მთლიანობა, მდგრადობა, ნესრიგი და რომელიც არ არღვევს ადამიანთა შეგნებაში ღრმად ჩაბეჭდილ კულტურულ წარმოდგენებს. ასეთი არქიტექტურა იწვევს კომფორტისა და მოხერხებულობის გრძნობას. ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ ამ მიმართულებას.



მეორე - დიამეტრულად სანინალმდეგო შეხედულება, როდესაც კითხვის ქვეშა დასმული ან საერთოდ უარყოფილია ზემოჩამოთვლილი კატეგორიები. ამ შემთხვევაში მიიღება ალოგიკური, პარადოქსული გადაწყვეტილებები, სადაც გამოიყენება საყოველთაოდ მიღებული არქიტექტურული ენა (შენობა - ნაგებობების ელემენტები) მათი დამახინჯების, შერყევის მიზნით.

ეს არის ფორმათა დაპირისპირება, ე.წ. კონფლიქტის არქიტექტურა, რომელიც ინვეს უმრავლეს შემთხვევაში დაძაბულობის, აღელვების გრძნობას, შოკს.

პედაგოგს გააჩნია მრავალი საშუალება და გამოიყენებს მოსწავლის აზროვნებაზე, გრძნობებზე და მოქმედებაზე ზემოქმედების სხვადასხვა ხერხებს. ეს ანიჭებს მას დიდ პასუხისმგებლობას. პედაგოგის პოზიცია, მისი მსოფლმხედველობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს სწავლების პირველ წლებში, როდესაც აუცილებელია პროფესიული აზროვნების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა.

ჩვენი სწავლება მიმართულია სწორედ ამისაკენ და მდგომარეობს ხაზთა, ფორმათა და სივრცის ჰარმონიის, სილამაზის გაგების ტრადიციულ გადმოცემაში. მივმართავთ სტუდენტებს არქიტექტურისაკენ, რომელიც ხასიათდება გადაწყვეტილებათა ლოგიკურობით, შინაგანისა და გარეგანის გაგებით, დაცულობით, მემკვიდრეობის ფაქიზი მოპყრობით და არქიტექტურის საუკეთესო ტრადიციების განვითარებით.

მიზანი უნდა იყოს — არქიტექტურა, რომელიც გვიბიძგებს სიკეთისაკენ. ასეთი პოზიცია მოგვცემს შემდგომი შემოქმედებითი აზროვნების ნორმალური განვითარებისა და პროფესიის დაუფლების საფუძველს.

წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალა შედგება ორი ნაწილისაგან:

1) გეომეტრიული აბსტრაქციები, რომლებითაც შეიმეცნება კომპოზიციური ანბანი და 2) მათ საფუძველზე შექმნილი არქიტექტურული ესკიზები პროფესიული საქმიანობის დასაწყისის მაჩვენებლები

(ნახ. 1-11).

„არქიტექტურული კომპოზიციისა და დაპროექტების მეთოდის“ სწავლების შესახებ

„ხელოვნება ხულის ენა“
ლუის კანი.

არქიტექტურა ხელოვნებაა, მაშასადამე არქიტექტურას ევალება იტვიროთ ადამიანის (საზოგადოების) ფსიქიკურ-ემოციური მდგომარეობის, განწყობილების გამოხატვა და არ შემოიფარგლოს „თავშესაფარის“ ფუნქციით. რა საშუალებებს ფლობს იგი ამისათვის? თანამედროვე ადამიანი ფიზიკურად ცხოვრობს მის მიერვე შექმნილი საგნების სამყაროში.

ეს საგნები (ერთი შეხედვით) შექმნილია ადამიანისათვის პრაგმატული სარგებლიანობის აუცილებლობით. განსჯის ამგვარ ლოგიკას კომენტარი არც სჭირდება.

სკამი არის ის, რაც შეიქმნა დაჯდომის აუცილებლობით; მაგიდა - ტრაპეზის და ხელსაქმის; სახლი - თავშესაფარის; ჭურჭელი კი სითხის და პროდუქტის შენახვის აუცილებლობით და ა.შ. ზოგადად - რა? და რისთვის? არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კითხვა - რანაირი?, როგორი? ამ კითხვასთან დაკავშირებით მოინიშნება ფსიქიკურ-ემოციური სასითები: მაღალი, დაბალი, თეთრი, შავი, ტანჯონჯვა, ჯგუზი, ლამაზი, უსწო და ა.შ. კითხვებზე როგორი? ხელოვნების ისტორიული გენეზისის თვალსაზრისით გვაქვს სათანთა სტილისტური ნაირსახეობა: ანტიკური, გოთიკური, ბაროკალური, მიჯერნისტული, პოსტმოდერნისტული და ა.შ.

მაშასადამე საგნის ქმნადობის საფუძველი აუცილებლობის და მსგავსების (როგორადობის) პირობაა, ე.ი. ადამიანი ქმნის საგანს საჭიროების გამო და მსგავსად რალაცისა, მაგალითად, მსგავსად კოსმოგონიური წარმოდგენებისა: მენპირი, დოლმენი, კრომლესი, პირამიდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩამოთვლილი მაგალითები, ანუ კაცობრიობის ისტორიაში პირველი არქიტექტურული განაცხადები, რომელშიც თითქმის წარმოდგენილი ენერჯია განსხეულებული, დღემდე აუხსნელია მათი პრაგმატული (ფიზიკური) სარგებლიანობის აუცილებლობით. შეიძლება დავასკვნათ: არქიტექტურის საწყისი ირაციონალურია.

ბერძნული ტაძარი საზოგადოებრივად მეტყველებს ადამიანის პოლითეისტურ წარმოდგენებზე, ისევე როგორც ცენტრალურგუმბათოვანი ტაძრის მაღალ წერტილში თავმოყრილი მასების იერარქია - სამყაროს მონოთეისტურ მოდელზე. ამ მაგალითებში აქტიურად ვლინდება არქიტექტურის რაციონალური და ირაციონალური ბუნების სიმბიოზი.

თანამედროვე ურბანიზებული გარემო მოკლებულია ხუროთმოძღვრების ირაციონალურ სულიერ ნიშნებს და უპირატესად რაციონალიზმის ნიშნით ვლინდება, უარეს შემთხვევაში - ვულგარული მატერიალიზმის ნიშნით.

პრობლემა: პრაგმატული სარგებლიანობის აუცილებლობით განპირობებული საგნის ქმნადობის პროცესში დავინახოთ ამ საგნის მარადიული სული, რისკენ ისწრაფვის საგანი. სამეცნიერო ტერმინოლოგიით ლაპარაკია საგნის არქექტიპზე. **მიზანი:** მარადიულ ფასეულობათა რეაბილიტაცია.

მაგალითისათვის - მაგიდაში ან სკამში გვიანტიერესებს ზოგადად მაგიდობის ან სკამობის იდეა. 1) სკამობის იდეა ვლინდება კონკრეტულ სკამში, 2) ცოტა დიდ სკამში - როგორც მაგიდაში, 3) ცოტა უფრო დიდ მაგიდაში - როგორც დოლმენში, 4) ცოტა უფრო დიდ დოლმენში, როგორც შენობაში (მაგ. დეფანსის

საკომუნკაციო ცენტრში, პარიზი, 1983-87 წ.წ. ან რონშანის კაპელაში დოლმენის პლასტიკური ვარიაცია).

თეოლოგიური თვალსაზრისით მაგიდობის იდეა ცის და დედამიწის, ანუ სამყაროს შექმნის მოდელია. ეს მოდელი მითში ვლინდება (მაგ. ატლანტებს უჭირავთ ზეცის ბჯენი). მითოლოგიური სამყარო კი არქეტაიპურია.

კიდევ ერთი მაგალითი: „სვეტის“ არქეტაიპში ვლინდება თავად სვეტი. უფრო პატარაში -კვერთხი და ჯოხი. უძველესი სამყაროდან -მენპირები, თანამედროვეობიდან -ამერიკის (და სხვა) ცათამბჯენები.

ზოგადად „სვეტში“ გამჟღავნებულია ზესწრაფვის და მასის ზიდვის უნარი. უპირველეს ყოვლისა, ადამიანი თავის თავში აღმოაჩენს სვეტის მისიას. ხატოვნად რომ ვთქვათ, სვეტში ცხადდება ღვთაებრივი მოდელი („ძელი ცხოველი“). ბუნებაში ვერტიკალური სწრაფვის ანალოგია არის ხე, ხოლო პორიზონტალური განუფენილობის -ზღვის პორიზონტი.

კიბის არქეტაიპში ვლინდება არა მხოლოდ კონკრეტული კიბე, არამედ იერარქიული აღმასვლის იდეა.

ანალოგიურად: კედელში -ზოგადად ბარიერის იდეა და ა.შ. მამასადაამე, ადამიანს აქვს თავისი სათქმელი (გარემოს კი თავისი), ხაგანს და ბუნებას კი ამ სათქმელის გამჟღავნების უნარი -სულიერება, -სულის იერის ქონა („ნისლი ფიქრია მთებისა, იმათ კაცობის იმედი“ -აფა..., „ხოლო საათი ყვითელ შენობას კოპივით აზის გაცრეცილ შუბლზე“ ო. ჭილაძე).

ადამიანური ვენებების, ინტერესების სფეროში, ანუ წარმოსახვით ჩარჩოში, (კადრში, სურათში) რეგლამენტირებულ სივრცეში (ან სიბრტყეზე) შესაბამისი ინფორმაციის (განწყობილების) მატარებელი საგნები (ნაკვეთები) იყრიან თავს, რაღაცით ერთიანდებიან, ე.ი. იქმნება კომპოზიცია.

რა არსებითი კავშირებია კომპოზიციასა და ხელოვნური გარემოს ფორმირების პროცესს შორის, ანუ შეიძლება თუ არა შეიქმნას დაპროექტებისათვის მეთოდოლოგია კომპოზიციურ სანყისზე. ეს არის ჩვენი ველევის საგანი.

არქიტექტურული შემოქმედება „ტრიოს“ სიმღერას ჰგავს: ერთი ხვერი არქიტექტორია, რომელსაც სურს განხორციელდეს თავისი ხმით, მეორე გარემოა საკუთარი მელოდით, მესამე საპროექტო დაგალებაა და თავისი ფუნქციურ-ტექნოლოგიური შინაარსის (თემის) გახმოვანებას მოითხოვს.

ამ პროცესში მთავარია სმენის უნარი-რად სურს გარემოს შეცვლა (თუ დარჩენა როგორც არის), რად სურთ კუბურ მეტრებს -„მშრალ რიცხვებს“ ქცევა, რას სთავაზობს ადამიანი, რა გვსურს ჩვენ?

დაპროექტების პროცესი დასაპროექტებელი ადგილისათვის თავისებური „ბედისწერაა“. .თუ ლაპარაკია შიშველ, პირველყოფილ გეოგრაფიულ გარემოზე -მას სურს დარჩეს ისეთი, როგორიც არის. უკეთეს შემთხვევაში ადამიანს ეჩვენება, რომ მას (ბუნებას) რაღაცით დამთავრება ან კიდევ უფრო გამორჩევა სჭირდება („ჯვარი“), უჩნდება კორექტივის სურვილი, დიალოგის სურვილი, უმეტესად კი საქმე გვაქვს ადამიანის ბუნებაზე დიქტატთან.

თუ ლაპარაკია ჩამოყალიბებულ ხელოვნურ გარემოზე აქ ბევრი რამ ვანპროზებულა, ე.ი. არსებობს კონტექსტები აქვე მინდა შევნიშნო, რომ „ბედისწერის“ პროცესი შემეცნებით ლოგიკას არ ექვემდებარება, იგი სპონტანურია, უმეტესად არაცნობიერია- შემოქმედებითია.

არქიტექტურის გრამატიკა

ხელოვნების ისტორია ცხადყოფს, რომ მოულოდნელობების ცოცხალი პროცესის მიუხედავად არის რალაც კანონზომიერებაც შემოქმედებით პროცესში. ანალოგიისათვის: ცოცხალი სასაუბრო ენის ქსოვილში გრამატიკოსი აღმოაჩენს ფონეტიკურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ კანონებს. თავის მხრივ ეს კანონები ხელს უწყობს ენის განვითარებას. არქიტექტურული კომპოზიციის სემანტიკურ ძიებებს ერთგვარი ანალოგია მიუძღვნება ლინგვისტიკურ მეთოდოლოგიაში.

პირველ ეტაპზე მდიდარი ხუთიათასწლოვანი არქიტექტურული ენა ვცადეთ დაგვეყო სახელებად, თემებად (ისევე როგორც არსებითი სახელები, ზედსართავი სახელები, შემასმენელი, დამატება). ეს თემები შემდეგია: 1) მასა; 2) კედელი; 3) სვეტი; 4) ჩარჩო; 5) კიბე; 6) სახურავი.

მასის თემაში ვლინდება სიმძიმის, მატერიის, ძალის დამკვიდრების სურვილი (პირამიდა, ზიკურატი). მასიური საგნების ტირაჟირება-ნიველირების, მასიურობის, არანდივიდუალობის გამოვლენაა (ხალხის მასა, ტყის მასივი, ლოდების გროვა, თივის ზვინი, ძმათა სასაფლაო, დღევანდელი საცხოვრებელი მასივები).

კედლის თემაში ვლინდება: ბარიერის, საზღვრის, კარჩაკეტილობის, შეუღწევადობის, გადაულახავობის, დაცვის და საიმედოობის იდეა.

საკმარისია გავისენოთ ჩინეთის დიდი კედელი, ქალაქის თუ ეზო-კარმიდამოს გალავნები, იერუსალიმის „გოდების კედელი“. აქვე გავისენოთ ედგარ პოს მოთხრობა: „კაცი, რომელიც კედელში გადის“, კედელი შეიძლება ადამიანური გაუცხოების სიმბოლოდ აღვიქვათ. აქ ვლინდება საგნის სული ან საკუთარი სულიერი მოძრაობის გადატანა არსებულ თუ შესაქმნელ საგანზე.

სვეტის თემა. სვეტებზე ის რაც ზემოთ ითქვა დაუშვებელით, ერთს. სვეტი გრავიტაციული მიზიდულობის ნიშანდობაა, ყოველთვის ბუნების მარადიული ძალის გამოვლენაა, უწყვეტი ქმედებაა, მუხლმოყურელი შრომა, დიდი მასის ზიდვა და სწრაფვა. იქნებ ამიტომაც ერთნაირად გვხვობლავს არქიტურა-ფორონტონებით დამძიმებული პერისტილებიც და პომპეის ნანგრევებიც. სვეტი წესრიგის საფუძველია, სვეტი ორიენტირია (შემთხვევითი არ არის ორდერული სისტემის დღევანდლობა). სვეტი თავად ადამიანია - „მაღალი და მაღლად მხედი“.

ჩარჩო. ჩარჩოს სემანტიკა დრო-სივრცის რეგლამენტირებას უკავშირდება. იგი ერთი მხრივ ინტერესების სფეროს შეზღუდვავა, მეორეს მხრივ - მათი გამოკვეთა, გამორჩევა, განსაკუთრებულობა, თავმოყრა, დანარჩენებისაგან გამოყოფა, სივრცის ორგანიზაცია, კადრირება. ჩარჩო ვერტიკალის და ჰორიზონტალის თანაარსებობაა. თუ სვეტი-ვერტიკალი წესრიგის საფუძველია, ჩარჩო საბოლოო წესრიგია - სამყაროს მოდელია (დოლმენი). ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ ასე ძალუმად მოქმედებს ჩვენზე თანამედროვე არქიტექტურაში შიშველი კარკასები (იგივე დეფანსი და სხვ.). ჩარჩო შემოქმედებითი ძიებების სამზარეულოა და შედეგიც (სურათი, კინო-ფოტო კადრი, ტელეეკრანი, თეატრის პორტალი). თემაში, გროტესკი - ჩარჩოს თვისებებია; ჩარჩოს მიღმა ყოფიერების

მიკრომოდელია. ჩარჩო ჩვენზე სულიერი ინტერესების სფეროა. მორწმუნე თათვის ჩარჩოებიდან ღმერთი იხედება, ურწმუნონი გაშმაგებით ეძებენ და კარგულ ფასეულობებს, მავანს კისერზე ჩამოუცვია თავისი ჩარჩო. კომპოზიცია არის ის, რაც შენს ჩარჩოში თავსდება.

კიბე. კიბე არის მოძრაობა, აღმასვლა, რიტუალი, იერარქიული სტრუქტურა, სოციალური განფენილობა. კიბე მიზნობრივი პროცესია. თავად ცხოვრებაა კიბე. სვეტი კიბეზე - განხორციელებული მიზანია, ძლიერი ოპტიმიზმია; შენ შეგიძლია აბსურდი ნახო კიბით, რომელიც არ მიდის არსად (აქ კიბე არსებითი სახელია), საგანია სინტაქსურ ერთიანობაში. კიბე შეიძლება იყოს ზმნა, ანდა კავშირი „და“, პირდაპირი ან ირიბი დამატება, უბრალოდ მეტაფორა, რომელიმე ზედსართავი სახელი (ქუთაისის მემორიალი „დიდება შრომას“).

კიბე ამდიდრებს სივრცის ემოციურ ფერადობას, იგი დიაგონალზე „ჭრის“ ვერტიკალ-ჰორიზონტალებს.

კიბეში ვლინდება ზოგადი იდეა კიბის არქიტექტულობისა. გავიხსენოთ მაიას არქიტექტურა, იაკობის სიზმარი და ზიკურატი, ტერასული სახლები.

სახურავის თემა. აქ პირველ რიგში გოთიკა გვახსენდება. სულის განსაკუთრებულად ეგზალტირებული მდგომარეობა, მაღლა სწრაფვა და ცასთან ჭიდილი; მასის, სიმძიმის, მატერიის გადაღახვა. ეს მისტიკა, ეფემერა, ირაციონალური სამყარო, საბოლოო კონფლიქტი ფიზიკურის ყოველგვარ გამოვლინებასთან. მთელი ქალაქი მიფრინავს საღღაც, რაც ძალიან ჰგავს ბახის ქორალებს და ქარის ქროლვას მთის ნაპრალებში, შუა მინდორში წამოსულ წვიმას.

ერთი სიტყვით, არქიტექტურულ ფორმას შეუძლია თქვას ყველაფერი, რასაც განიცდი, რაც შეიძლება ითქვას ლექსად, სურათად ან სიმღერად იქცეს: გტკივა თუ გცივა, გშია თუ ხარობ, გიყვარს თუ არა, გეშინია თუ უკვე დაძლიე, გინდა სიცოცხლე?

კომპოზიციაზე საუბრის გამჭოლი განწყობილებაა - „მე ვარ“. არქიტექტურული მეთოდის კურსი მიზნად ისახავს საგანთა ფარულ მეტაფიზიკურ არსში შეღწევის სურვილს, ახალ ფასეულობათა დანახვას და წარმოჩენას.

დისციპლინა „არქიტექტურული გეგმარების საფუძვლები“

„არქიტექტურული გეგმარების საფუძვლების“ კურსი არის „არქიტექტურული გეგმარების“ კურსის საწყისი ნაწილი. მისი მიზანია მოამზადოს სტუდენტი პროფესიული საქმიანობის შესასწავლად. „არქიტექტურული გეგმარების საფუძვლების“ კურსი სამი ნაწილისაგან შედგება: „არქიტექტურული გეგმარების შესავალი“, „არქიტექტურული გრაფიკა“, რომლებსაც გადაიან პირველ კურსზე და „არქიტექტურული გეგმარების საწყისება“, რომელიც ისწავლება მეორე კურსზე.

„არქიტექტურული გეგმარების შესავალის“ კურსის ამოცანას წარმოადგენს სტუდენტის აზროვნების წარმართვა იმ მიმართულებით, რომ მან შეძლოს არქიტექტურული გეგმარების მეთოდის საფუძვლების დაუფლება. „არქიტექტურული გრაფიკის“ კურსის დანიშნულებაა განავითაროს სტუდენტის სივრცული და კომპოზიციური აზროვნების, წარმოდგენების უნარი, აგრეთვე გამოუმუშაოს მას არქიტექტურული ობიექტების თავისებურებათა ასახვის ჩვენები გამოსახვის სხვადასხვა სახის, საშუალებების და ხერხების გამოყენებით. „არქიტექტურული გეგმარების საწყისების“ კურსის ამოცანაა მოამზადოს საფუძველი იმისა, რომ სტუდენტმა შეძლოს ობიექტების გეგმარებაზე გადასვლა.

თითოეული კურსი შედგება ორი ნიწილისაგან: თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისაგან. წინ უძღვის რა პრაქტიკულ მეცადინეობებს, სალექციო კურსის თემების რაოდენობა განსაზღვრულია პრაქტიკული მოცემულობების რაოდენობითა და სახეობით. შრომაში წარმოდგენილია მოცემულობების და შესაბამისად თეორიული კურსის ერთ-ერთი შესაძლო და დღეს გამოყენებული ვარიანტი.

პირველი კურსის პირველ სემესტრში სრულდება ოთხი მოცემულობა.

მოცემულობა 1. მარტივი არქიტექტურული ნაგებობის გაცნობა ნატურაში და მისი შესრულება ნახატსა და ნახაზში.

სამუშაოს მიზანი და ამოცანები: მარტივი არქიტექტურული ნაგებობის, მისი გამოსახვის საშუალებების -ნახატისა და ორთოგონალური პროექციების გაცნობა. პირველადი ცნებები კომპოზიციაზე. ძეგლის (ობიექტის) ჩახატვა ნატურიდან. მიზანშეწონილია ნაგებობის ვადმოცემა გარემოსთან ერთად. ნაგებობის დანიშნულების და კონსტრუქციული გადაწყვეტის შესწავლა. მარტივი ხაზოვანი ორთოგონალური პროექციების და მათი შესრულების ტექნიკის ათვისება: ნახაზის შესრულება ფანქარში, ზომების დატანა, წარწერების შესრულება, ტუშით შემოვლება.

დამოუკიდებელი სამუშაო: ცნობილ ოსტატთა ნახატებიდან პირების გამოღება.

სალექციო კურსი იწყება არქიტექტურის არსის და დანიშნულების განმარტებით, შენობათა და ნაგებობათა კლასიფიკაციით. შემდეგ სტუდენტს განმარტება არქიტექტურული ჩანაფიქრის ასახვის სხვადასხვა საშუალებები (გრაფიკული-ნახატი, ხაზობრივი ნახაზი დატუშვით ან ამორეცხვით, პერსპექტივა, მაკეტი და სხვ.), გრაფიკის არსი, გრაფიკა, როგორც შემოქმედებითი აზროვნების ასახვის საშუალება. არქიტექტურული ნახაზის ტექნიკური და კომპოზიციური ამოცანები. გაფორმების ელემენტები, საშუალებანი და ხერხები.

ბაზობრივი გრაფიკის მნიშვნელობა არქიტექტორის შემოქმედებაში. ორთოგონალური პროექციის ძირითადი სახეები. ნახაზის დამოუკიდებლუბა არქიტექტურის ხასიათზე. ნახაზის კომპოზიციის კანონზომიერებანი. ნახაზის შესრულების თანმიმდევრობა და ხერხები. ძირითადი და დამხმარე სახეები. წარწერების და ზომების განლაგების სისტემა. ნახაზის შესრულების ტექნიკა, ხელსაწყობი და მასალა, მასშტაბები.

მოცემულობა 2. არქიტექტურული შრიფტის გამოხაზვა.

სამუშაოს მიზანი და ამოცანები: ძირითადი არქიტექტურული შრიფტის წერა, დაკვალვა, ასოთა აგება, შესრულების გრაფიკა, შრიფტის გამომხაზველობითი უნარის ათვისება.

დამოუკიდებელი სამუშაო: პლაკატი.

საღეჭიო კურსში შედის არქიტექტურული პროექტის გრაფიკული გაფორმების ისტორიული მიმოხილვა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შრიფტის როლს და მისი გამოხაზვა-შესრულების ტექნიკის ათვისებას. გაეცნობიან შრიფტის განვითარების ისტორიას, ძირითად სახეებს, აგების კანონზომიერებებს, დაკვალვის წესებს. შეისწავლიან შრიფტის შესრულების ტექნიკას - ფუნჯი, კალამი, ტრაფარეტი. გაეცნობიან შრიფტის გამოყენების მაგალითებს არქიტექტურულ პროექტში. განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა ქართული შრიფტის ისტორიას და ასომთავრული დამწერლობის შესწავლას.

მოცემულობა 3. არქიტექტურული ორდერების შესწავლა და მათი გამოხაზვა.

სამუშაოს მიზანი და ამოცანები: არქიტექტურული ორდერის ძირითადი თავისებურებების მხატვრულ ფორმაში გამოხატული ტექნიკური არსის შეცნობა. კანონიკური ორდერების კონკრეტულ ორდერებთან შედარებისას ყურადღება ექცევა ფორმისა და პროპორციების ცვლილებებს კომპოზიციურ ამოცანებთან კავშირში. ამასთან, ათვისებული უნდა იყოს რთული არქიტექტურული ფორმის შესრულების ტექნიკა და განვითარდეს სივრცული ნახაზის გაგება, როგორც არქიტექტურული ნაგებობის გამომხაზვის საშუალებისა.

დამოუკიდებელი სამუშაო: არქიტექტურული კომპოზიცია ორდერის გამოყენებით.

თეორიული კურსი გულისხმობს არქიტექტურული ორდერის, მისი სტრუქტურის, ფორმების და პროპორციების გაცნობას. შემდეგ შეისწავლება მისი წარმოშობა და განვითარება, თანამედროვე არქიტექტურა და ორდერი. განმარტება მიეცემა ცნებას ტექტონიკის შესახებ. არქიტექტურული ორდერი განიხილება, როგორც დგარისა და კოჭის ტექტონიკური სისტემის (ანტიკური საბერძნეთი) მხატვრული ასახვა. განიხილება ორდერის გამოყენება სხვა ტექტონიკურ სისტემებში (ანტიკური რომი, რენესანსი). ვინიოლას და პალადიოს კანონიკური ორდერები. მათი აგების კანონზომიერებათა გაცნობა. მოხდება ანტიკური და კანონიკური ორდერების შესწავლა კონსტრუქციულ და კომპოზიციურ წყობათა შეცნობის განვითარებისათვის, არქიტექტურული ფორმების წარმოშობის ლოგიკის ახსნისათვის, მთავარისა და დაქვემდებარებულის, მზოდისა და დაყრდნობილის გამოვლენისათვის. კანონიკური ორდერების დამორისპირება არქიტექტურული ძეგლების ორდერებთან, კონკრეტულ შემთხვევაში ორდერის გამოყენების ანალიზი. ორდერების პროპორციული თანაფარდობა.

პროპორციათა სისტემები. ოქროს კვეთი. პროპორციული დამოკიდებულებების კვლევის მეთოდები არქიტექტურაში.

მოცემულობა 4. არქიტექტურული ნაგებობის დეტალის შესწავლა, მისი გამოხატვა და ამორეცხვა ტუშით.

სამუშაოს მიზანი და ამოცანები: არქიტექტურული დეტალის სტრუქტურის, მასალის, ფორმისა და მასშტაბის შესწავლა ნაგებობის საერთო კომპოზიციასთან კავშირში. დეტალის ტექტონიკური მნიშვნელობა მისი ადგილის მიხედვით ძეგლის კომპოზიციასში. არქიტექტურული დეტალის პლასტიკის შესწავლა. დეტალი, როგორც პირველადი ფორმანარმოქმნელის კანონზომიერებათა შეცნობის ობიექტი. ნახატის კომპოზიციისა და დატუშვის მხატვრული ამოცანების გააზრება. დატუშვა და ამორეცხვის ტექნიკის დაუფლება.

დამოუკიდებელი სამუშაო: ამორეცხვის ტექნიკით გადმოიცეს სხვადასხვა მასალა - ხე, ქვა, შელესვა.

თეორიული კურსის მიზანია აკადემიური ამორეცხვის პრინციპების და ტექნიკის შესწავლა, განიხილება არქიტექტურული ნაგებობების მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის, ადამიანის მიერ მისი ფრაგმენტის აღქმის თავისებურებანი. არქიტექტურული ობიექტის გამოსახვა სიბრტყეზე. თვალთ აღქმის კანონზომიერებანი. სინათლის წყაროები. სინათლის სხივების მიმართულება. კომპოზიციური ამოცანების დასმა გრაფიკის ამ სახეობაში. გამოსახვა ობიექტის პლასტიკის გამოვლენა. სამუშაო სტადიები. გამოსახვის ძირითადი სახეების - ხაზოვანი და ტონალური (დატუშვა, ამორეცხვა) გრაფიკის დაუფლება.

პირველი კურსის მეორე სემესტრში სრულდება 3 მოცემულობა.

მოცემულობა 5. არქიტექტურული ძეგლის მთლიანი ხედის (ორთოგონალური ან პერსპექტიული) გამოხატვა და ამორეცხვა ტუშით.

სამუშაოს მიზანი და ამოცანები: არქიტექტურული ძეგლის და ადგილის ერთად გააზრება, ძეგლის სტრუქტურის გადმოცემა და კონსტრუქციული აგებულება. არქიტექტურის გამომსახველ საშუალებათა თავისებურებების გამოვლენა. გამოსახვის რიგობრიობა. -გადიდება ფანქარში, დატუშვა, ამორეცხვა.

დამოუკიდებელი სამუშაო: იგივე ძეგლის ან სხვა უფრო მარტივი ნაგებობის გადმოცემა ამორეცხვისაგან განსხვავებული საშუალებით: შავი ან თეთრი ფერით ფანქარში ან ტუშში, გუაშის გამოყენებით, აკვარელის ფერებით.

თეორიული კურსი ითვალისწინებს არქიტექტურული ძეგლის ყოველმხრივ შესწავლას - ძეგლის აგების ისტორიის, ადგილის შერჩევის მიზანშეწონილობა, ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე სტრუქტურის ანალიზი. არქიტექტურული ნაგებობის მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის, ადამიანის მიერ ობიექტის აღქმის თავისებურებანი და მისი გამოსახვა სიბრტყეზე. თვალთ აღქმის კანონზომიერებანი. სინათლის წყარო. სინათლის სხივების მიმართულება. გამჭვირვალე გარემო. პერსპექტივა და შექარდილიანი პერსპექტივა. სამუშაოს სტადიები.

მოცემულობა 6. მარტივი შენობის ძირითადი ნახაზების გადახატვა.

სამუშაოს მიზანი და ამოცანები: მომზადდეს საფუძველი შემოქმედებითი მუშაობისათვის - ასწავლოს სტუდენტს, თუ როგორ ხდება ტექნოლოგიური პროცესის რეალიზაცია, კომფორტის მიღწევა; როგორ ვლინდება შენობის გამომსახველობაში კონსტრუქციები და მასალები; როგორ განისაზღვრება შენობის ადგილი გარემოში.

დამოუკიდებელი სამუშაო: გამოიხაზოს აღნიშნული შენობის რომელიმე არქიტექტურული ფრაგმენტი ან კონსტრუქციული დეტალი.

თეორიული კურსის მიზანია მარტივი არქიტექტურული ნაგებობების, მაგალითად მცირესართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის გაცნობა. მცირესართულიანი სახლების გავრცელებული ტიპები: ერთბინიანი სახლები ბინებით ერთ დონეზე, ერთბინიანი სახლები ბინებით ორ დონეზე, ორბინიანი, ანუ შეწყვილებული, ოთხ - და რვაბინიანი ბლოკირებული სახლები (ერთსართულიანი, ორსართულიანი ბინების სართულებად განაწილებით, ორრიგა და ჯგერული ბლოკირებით, სახლები რელიეფზე, ბლოკირებული სახლების განსაკუთრებული ტიპები, სახლები შიგა და ღია ეზოებით). განიხილება კონსტრუქციები, ბინის შიგა კიბეების სახეები, სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობა; განიხილება აგრეთვე ქართული საცხოვრებელი სახლის ტიპები, თანამედროვე ინდივიდუალური მცირესართულიანი საცხოვრებელი სახლები, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მხატვრული გადანყვეტის თავისებურებანი.

მოცემულობა 7. არქიტექტურული გრაფიკის დაუფლება.

სამუშაოს მიზანი და ამოცანები: უნდა მომზადდეს საფუძველი პროექტის სათანადოდ წარმოდგენისათვის. სტუდენტმა უნდა შეძლოს პროექტის შესრულების სხვადასხვა ვარიანტიდან შეჩერდეს იმაზე, რომელიც უკეთ გამოისცემს ავტორის ჩანაფიქრს ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში. მოცემულობა გულისხმობს სხვადასხვა გარემოს ატრიბუტიკის - გამწვანების, კლდის, ადამიანების, მოპირკეთების, მოკირწყვლის, მანქანების და სხვათა შესწავლას და გამოხზვას სხვადასხვა პროექციასა და ტექნიკაში.

თეორიული კურსი ითვალისწინებს ინფორმაციის მინოდებას აღნიშნულის შესახებ.

სწავლების მეორე კურსის პირველ და მეორე სემესტრში გათვალისწინებულია ორ-ორი მოცემულობა.

მოცემულობა 8. ინდივიდუალური 3-ნ-ოთახიანი საცხოვრებელი სახლი კომპოზიციის პრიმატიით.

სამუშაოს მიზანი და ამოცანები: დაგროვილი ცოდნის საფუძველზე შეიქმნას საცხოვრებელი გარემო, ერთი მთლიანი ორგანიზმი, რომელიც შედგება ნაკვეთისაგან, საცხოვრებელი სახლისა და სამეურნეო სათავსებისაგან. საცხოვრებელი უნდა დაპროექტდეს საქართველოს რომელიმე რაიონისთვის მისთვის დამახასიათებელი ადგილობრივი ბუნებრივ-კლიმატური პირობების და ყოფის გათვალისწინებით.

დამოუკიდებელი სამუშაო: სპეციალური ლიტერატურის შესწავლა, საჭირო მასალის შერჩევა, გადახზვა, ჩახატვა, ანალიზი, არქიტექტურული კომპოზიციები თემაზე „ჩემი სახლი“.

თეორიული კურსი მიჰყვება შერჩეულ თემას. ნიშანდობლივია, რომ დაპროექტება იწყება საცხოვრებელი თემით, აქედან იწყება დაპროექტების სანყისების დაუფლება. პედაგოგი აცნობს სტუდენტს მოცემულობის შინაარსს, გამოჰყოფს მნიშვნელოვან სანყის მონაცემებს, გამოავლენს პროცესის სპეციფიკას, რომელიც უნდა მიმდინარეობდეს შენობაში, იძლევა ინფორმაციას სათავსების და მათი ცალკეული ჯგუფების შესახებ. გამოჰყოფს პრობლემურ

საკითხებს და განმარტავს მას. პედაგოგი აცნობს სტუდენტს პროექტზე მუშაობის ეტაპებს და ვადებს. აძლევს ინფორმაციას ლიტერატურაზე და ასწავლის მასზე მუშაობას. წიგნზე მუშაობისას პასალის სწორი შერჩევა უკვე შემოქმედებაა. სტუდენტი ითვისებს ხელოვნებათა ხელოვნებას. თანამედროვე და ძველი სპეციალისტების გამოცდილება ხდება მისი განათლების ნაწილი, გამოუმუშავდება ღირებულებათა შეცნობის უნარი, უნარი იმისა, თუ რა შეიძლება გამოირიცხოს და რა შეესაბამება მის წარმოდგენებს, წარმოსახვებს და ესთეტიკურ იდეალებს.

ამავე დროს სტუდენტს განემარტება, რომ შემოქმედებითი ძიება შეიცავს გარკვეულ ფაზებს: კლაუზურა, ესკიზ-იდეა, პირველადი ესკიზირება, პროექტის ესკიზი და პროექტი. კლაუზურის მიზანია შეიქმნას პირველი წარმოდგენა ობიექტზე. კლაუზურის შესრულებისას ინტუიციური აზროვნება მუშაობს უამრავ საწყის მონაცემთან ერთად. ესკიზ-იდეაში საპროექტო მოდელი მჟღავნდება პირველადი პიპოთეზის ნახევრად ინტუიციურ ფორმაში. აქ ხდება ჩანაფიქრის ჩასახვა, რომელიც ითვალისწინებს ცალკეულ ფაქტებსა და პირობებს. ესკიზირების პირველ ფაზაში ხდება პირველადი პიპოთეზის შემონიშნება ესკიზის ფარიანტებზე, რომლებიც წარმოადგენენ ახალი ძიების საფუძველს. ესკიზირება გადადის პროექტის ესკიზში. ესკიზიდან პროექტზე გადასვლა ესაა შემოქმედებითი მუშაობა ჩანაფიქრის გადრმავევის მიმართულებით. დაპროექტება, შეიძლება ითქვას, უმეტესწილად ინტელექტუალური მოღვაწეობაა, რომელშიც შემოქმედებითი იდეები და მიზანი რეალიზებულია აზროვნების კანონებით და ლოგიკის წესებით, ინტუიციის კონტროლით.

ამრიგად, შემოქმედებითი ძიების ეფექტურობა მიიღწევა ინტელექტუალურისა და ინტუიციურის, ლოგიკურისა და ემოციურის და შემოქმედებითობის მჭიდრო ურთიერთგამჭოლობით და ურთიერთზემოქმედებით, ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ესკიზირება არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც უწყვეტი პროცესი. იგი თავის თავში შეიცავს უწყვეტობისა და წყვეტადობის ერთიანობას. საკმარისია შეიცვალოს ერთ-ერთი საწყისი პირობა, რომ ესკიზური გადაწყვეტის ფაქტი წყდება და წარმოიშობა ახალი წინადადება. სამტკიცებელი ესკიზი შემოქმედებითი ძიების შედეგია.

შემდეგი ეტაპია პროექტის შესრულება, რომელსაც აქვს ემოციურ-მხატვრული მნიშვნელობა. სტუდენტს უნდა განემარტოს, რომ პროექტის კომპოზიციური ჩანაფიქრის და ძიების შესაბამისად გრაფიკული შესრულება ემყარება გარკვეულ პრინციპებს. გრაფიკული საშუალებები უნდა შეესაბამებოდეს პროექტის თემას და მხატვრულ ჩანაფიქრს, უნდა ხსნიდეს პროექტის შინაარსობრივ მხარეს, ხელს უწყობდეს პროექტის უკეთ აღქმას.

მოცემულობა 9. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ინტერიერი.

სამუშაოს მიზანი და ამოცანები: სახლის დამუშავებულ პროექტში შეირჩევა მოცულობით-სივრცითი გადაწყვეტის თვალსაზრისით საინტერესო და დამახასიათებელი უბანი და გაგრძელდება მასზე მუშაობა. მიღებული სივრცის ორგანიზაციის დაზუსტება, განათების და კარ-ფანჯრების, დანადგარების ორგანიზაცია ავეჯის სათანადო განლაგებით. თუ საცხოვრებელი სახლის გამოხატვისას შესრულების მანერა ნებისმიერი იყო, აქ დღის წესრიგში დგება ფერის შეტანის აუცილებლობა, რამეთუ მისი საშუალებით შესაძლებელია

გარკვეული და სტუდენტის მიერ დასმული ამოცანის სათანადოდ გადაწყვეტა, ზოგიერთი უარყოფითი მომენტის შესუსტება.

დამოუკიდებელი სამუშაო: ფერთა განფენა გარკვეული ამოცანის დასმის საფუძველზე.

თეორიული კურსი გამიზნულია, შეუქმნას სტუდენტს გარკვეული წარმოდგენა საცხოვრებლის ინტერიერზე და განუმარტოს მისი გადაწყვეტის განმსაზღვრელი ფაქტორები. სახლის დღესამყოფი ნაწილის განმსაზღვრელი როლი სახლის შიგა სივრცის ორგანიზაციაში. სივრცეების თანდათანობით მონაცვლეობის მნიშვნელობა - გარე სივრციდან გადასვლა საკარმიდამო ნაკვეთზე, შემდეგ მოხვედრა მცირე, გარკვეულად შემოზღუდულ სივრცეში და ბოლოს ბინაში სივრცეების ერთმანეთში გახსნისა და თავისებური გადასვლის მნიშვნელობა. საკმაო ყურადღება ექცევა გამწვანებას ინტერიერის დამუშავებაში და ფერს, როგორც შენობის გარე სახისა და ინტერიერის გამომსახველობის განმსაზღვრელს.

მოცემულობა 10. ბავშვთა სათამაშო მოედანი.

სამუშაოს მიზანი და ამოცანები: სტუდენტი ამ ეტაპზე ახდენს გარე სივრცის ორგანიზაციის ცდას. აქ ხდება არქიტექტურული მასშტაბის ახლებურად გააზრება. იქმნება გარკვეული სცენარის შემუშავების აუცილებლობა და დაროვექტების დანყება ამ სცენარის მიხედვით. სასურველია თემატური ხასიათის ბავშვთა სათამაშო მოედნის დაროვექტება, მოედნისათვის ადგილის ხასიათისა და მიმდებარე განამენიანების განსაზღვრა. მოედნის ზონირება და მთავარის წინ წამონევა.

დამოუკიდებელი სამუშაო: არქიტექტურული კომპოზიცია "ბავშვთა სათამაშო მოედანი".

თეორიული კურსი ასწავლის სტუდენტს, თუ რა ადგილი უჭირავს ბავშვთა სათამაშო მოედანს განამენიანებაში. შემდეგ ბავშვთა სათამაშო მოედანი გახიხილება, როგორც მცირე არქიტექტურული ფორმების გამოყენების საშუალება. განიხილება მოედნის სტრუქტურა და სივრცის ზონირება. ზონების დამახასიათებელი ნიშნები, სათამაშო მოედანი, როგორც ერთი მთლიანი არქიტექტურული ორგანიზმი. მოედნის სტრუქტურაში მთავარისა და დაქვემდებარებულის განსაზღვრა.

მოცემულობა 11. მცირე არქიტექტურული ფორმები.

სამუშაოს მიზანი და ამოცანები: ბავშვთა სათამაშო მოედნის დაროვექტების პარალელურად ისახება ის მცირე არქიტექტურული ფორმა, რომელიც უნდა დამუშავდეს მოედნის პროექტის შექმნისას. ფაქტიურად ბავშვთა სათამაშო მოედნის სტრუქტურისა და მხატვრული სახის გადაწყვეტისას იქმნება მცირე ფორმებიც. სტუდენტი ერკვევა იმაში, თუ დაგეგმარებით სტრუქტურაში როგორ უნდა ჩაინეროს და რა სახის მცირე ფორმებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. პედაგოგის დახმარებით შეირჩევა დასაროვექტებელი ობიექტი - საჩრდილობელი პავილიონი, სიძნელების დაძლევის ობიექტი, წყლის სარკე თავისი მცირე ფორმებით, თეატრონი და სხვ. მუშაობა წარმართება კონკრეტული ამოცანის შესრულებისაკენ, რომელიც თითოეულ სტუდენტს ინდივიდუალური ექნება.

დამოუკიდებელი სამუშაო: არქიტექტურულ კომპოზიციაში შესრულებული სამუშაოს ანალიზი კონკრეტულ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

თეორიული კურსი ითვალისწინებს ინფორმაციას მცირე არქიტექტურულ



ფორმებზე, მათ სახეობაზე და მათი ადგილზე მორგების საკითხებზე. ფორმები განიხილება კომპოზიციის პრინციპებისა და კანონზომიერებების თვალსაზრისით. აქვე აღინიშნება „არქიტექტურული კომპოზიციის“ კურსის კავშირი „არქიტექტურული გეგმარების საფუძვლებთან“. მცირე არქიტექტურული ფორმები განიხილება ცალ-ცალკე და არქიტექტურულ გარემოსთან კავშირში.

წარმოდგენილი თემები დოგმად არ უნდა იქნეს მიჩნეული. შეიძლება მათი შეცვლა მათივე ტოლფასი მოცემულობებით, კერძოდ, შემოქმედებითი სახელოსნო, სახლი-ოფისი, საცხოვრებელი სახლი მალაზიით, კაფე, ესტრადა, საცეკვაო მოედანი, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გასაჩერებელი და სხვ.

აღნიშნული მასალის დაუფლების და შესრულების შემდეგ შზადდება საფუძველი იმისათვის, რომ მესამე კურსიდან სტუდენტებმა უკვე გაიაზრონ და დაამუშაონ ისეთი სირთულის არქიტექტურული თემები, როგორებიცაა: სხვადასხვა ტიპის საცხოვრებელი სახლები და მათი კომპლექსები; მსხვილი საზოგადოებრივი, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო შენობები და ნაგებობები; სოფლებისა და ქალაქების დაგეგმარება; შენობათა და ნაგებობათა, აგრეთვე სოფლებისა და ქალაქების რეკონსტრუქცია; ლანდშაფტური დაგეგმარება და სხვ.

(ნახ. 12-32).

სასწავლო—აზომვითი პრაქტიკა

მიზანი და ორგანიზაცია. არქიტექტურული სპეციალობის სტუდენტების პირველი სასწავლო პრაქტიკა მთელი სასწავლო პროცესის ერთ-ერთ ორგანულ ნაწილს წარმოადგენს და მიზნად ისახავს: შეასწავლოს სტუდენტებს აზომვის ტექნიკური საშუალებანი თუ ხერხები; ობიექტის (ანაზომის) ანალიზური შეფასების და მისი გრაფიკული ასახვის (გეგმები, ფასადები, ჭრილები, გენგეგმები, დეტალები) საშუალებით განუვითაროს არქიტექტურის სივრცობრივ-კონსტრუქციული თავისებურებების გაგების პროფესიული ჩვევები.

აზომვითი პრაქტიკის გავლის შედეგად მიღებული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება სტუდენტს მომავალში საფუძველს უქმნის სხვა დისციპლინები, რომლებსაც იგი მაღალ კურსებზე შეხვდება, აითვისოს მეტი შინაგანი გააზრებითა და გაგებით.

სტუდენტური ნამუშევარი -ანაზომი ნახაზები, თუ ისინი წინასწარ გამიზნული პროგრამით შესრულდა, შეიძლება გასდეს მეტად საჭირო მეცნიერულ-ტექნიკური დასაყრდენი მასალა რეალური სარესტავრაციო, მეცნიერულ-კლასიციური სამუშაოებისათვის და აგრეთვე წარმოადგენს მრავალფეროვან მეთოდურ მასალას სასწავლო სავარჯიშოების შესასრულებლად.

აზომვითი პრაქტიკის მაღალ დონეზე ჩასატარებლად სასურველია 10-15 კაცისაგან შემდგარ ჯგუფს ჰყავდეს ცალკე ხელმძღვანელი -ჰედაგოგი. მიუხედავად ობიექტის სირთულისა, აზომვის მთელი პროცესი უნდა ჩატაროს 3 სტუდენტისაგან შემდგარმა რგოლმა ისეთნაირად, რომ თითოეულმა წევრმა შეასრულოს აზომვითი სამუშაოს ყველა პროცესი.

როგორც აღვნიშნეთ, აზომვითი სამუშაოების ჩატარების სწორ ორგანიზაციას 3 კაცისაგან შემდგარი რგოლი უსაჭიროება, ამ რაოდენობას შეიძლება დაემატოს ერთი ან ორი კაცი, იმ შემთხვევისათვის, როდესაც რგოლის რომელიმე წევრი რაიმე მიზეზით არ ცხადდება აზომვების შესასრულებლად. აზომვითი სამუშაო იმ ვადაში, რომელიც გათვალისწინებულია სასწავლო გეგმით, შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგ ეტაპებად და დროის მონაკვეთში:

პირველი ეტაპი -თეორიული ნანამძღვრების გადაცემა და ტექნიკური მოსამზადებელი სამუშაოები.

მეორე ეტაპი -მოსამზადებელი სამუშაოები - წინასწარ ორთოგონალური ჩანახატების (კროკების), აზომვებისა და არქიტექტურული ჩანახატების შესრულება.

მესამე ეტაპი -ნახაზების შესრულება საბოლოო სახით და განმარტებითი ბარათის შედგენა.

აზომვების შესრულება

სტუდენტები აზომვების შესრულების წინ უნდა გაეცნონ არსებულ ლიტერატურას აზომვების შესახებ. ამავე დროს პედაგოგი უშუალოდ ობიექტთან ატარებს წინასწარ საუბარს არქიტექტურული აზომვების მიზნების, ხერხებისა და ტექნიკურ საშუალებათა შესახებ. სტუდენტებს უნდა მიენოდოს მხოლოდ ზოგადი მითითებანი, რომლებიც დეტალიზებული და ღრმად შეთვისებული იქნება აზომვების პროცესში.

არქიტექტურული ანაზომის ძირითად დოკუმენტად ითვლება წინასწარი ორთოგონალური ჩანახატი (კროკი), რომელიც უნდა იძლეოდეს მასალას ძველისა თუ ობიექტის პროექციების ზუსტ ზომებში გამოსახაზავად. ნახატი სრულდება ხაზოვანი გრაფიკით მკვეთრი ჩრდილებისა და ტონირების გარეშე. ამ უკანასკნელთ შეუძლიათ გააძნელონ ზომების დატანა და მისი შემდგომი ნაკითხვა.

სასწავლო-აზომვითი პრაქტიკისათვის გათვალისწინებული კროკები სასურველია შესრულდეს 40x60 სმ ზომის მკვერივ ქაღალდზე. მის მხოლოდ ერთ მხარეს.

კროკი წარმოადგენს მიახლოებით ჩანახატს, რომელიც ხასიათით ახლოსაა ორთოგონალურ პროექციულ გამოსახულებებთან. ნახატში მაქსიმალურად უნდა იყოს შენარჩუნებული ობიექტის ძირითადი პროპორციები და სასურველია სხვადასხვა პროექციების (გეგმები, ფასადები, ჭრილები) ერთმანეთთან შესაბამისობა (მათი აბსოლუტური ზომების თვალსაზრისით).

კროკებზე აუცილებლად დაიტანება ობიექტის დასახელება: ქალაქი, რაიონი, სოფელი, მისამართი (ქუჩა და ნომერი), შესრულების თარიღი და შემსრულებლები.

სასწავლო-აზომვითი პრაქტიკის ატესტაციისას, საბოლოო გრაფიკულ და სატექსტო მასალასთან ერთად, ადება კროკების შეფასებაც ნახატის ექსპოზიციის, გრაფიკული დონის, წარწერების მიხედვით, რათა ყურადღება გამაზვილდეს კროკების შესრულების კულტურაზე.

აზომვები უნდა ჩატარდეს არსებულ ლიტერატურაში მოცემულ მოთხოვნათა მიხედვით. ცნობილი ხერხები და მეთოდები კონკრეტული ამოცანის შესასრულებლად ხშირად არ იძლევა სრულყოფილ პასუხს, ამიტომ ყურადღება უნდა მიექცეს ოპერატიულად მოფიქრებულ გადაწყვეტილებებს და შესაძლებელია იგი ნახატზე იქნეს დატანილი შენიშვნების მიწვევების სახით, საჭიროა მიგნების ჩვევა გამოყოფილ შაოთ სტუდენტს, რაც აზომვით სამუშაოს მისთვის შემოქმედებით პროცესად გადააქცევს.

აზომვითი ჩვევების გამოუმუშავება არ უნდა ხდებოდეს მზა რეცეპტების მშრალი შეთვისებით და ყველა მოთხოვნასა და ხერხს უნდა ახლდეს ლოგიკურობისა და დასაბუთების ასსნა-განმარტება.

განმარტებული უნდა იქნეს ერთი ბაზისიდან ზომების თანმიმდევრობით აღების უპირატესობა ცალ-ცალკე აღებულ ზომებთან შედარებით მრავალი ზომის შემთხვევაში. განმარტება უნდა მიექცეს სამკუთხედებისა და კოორდინატების მეთოდებით ზომების აღების გამოყენების განმსაზღვრელ გარემოებებს და სხვ.

ანაზომ მასალას სრულყოფილს ხდის და მის შემდგომ გამოიხატება შესრულებული მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ფოტოგამოსახულებანი, შესრულებული ჩანახატები, ტუშით ტონირებული ან აკვარელით შესრულებული საერთო ხედები და ფრაგმენტები, ამიტომ სასურველია აზომებითი პრაქტიკის გავლისას სტუდენტმა შეძლებისდაგვარად შეასრულოს ამ ხასიათის სამუშაოც. ნახატებზე გადწყვეტილი უნდა იყოს, როგორც თემატური (ძეგლის საერთო კოლორიტი, ფაქტურა, ანტიურაი), ასევე თვით სურათის მხატვრულ-კომპოზიციური ამოცანები.

კროკების საფუძველზე გამოიხატება მასშტაბში შესრულებული ორთოგონალური პროექციები. პროექციების დამუშავების ხასიათი მთლიანად დამოკიდებულია აზომების დანიშნულებაზე. სტუდენტმა, თუ აზომები საეციალური დანიშნულებით არ სრულდება, უნდა წარმოადგინოს აკადემიური ნახატები ძეგლთა საილუსტრაციო დონეზე, რაც გულისხმობს, რომ პროექციები გამოსახული იქნება ზომების დაუტანლად და დართული იქნება მხოლოდ საზოგადო მასშტაბი.

ობიექტის ძირითადი პროექციები (გეგმები, ფხადაები, ჭრილები) გამოიხატება მასშტაბში 1:50. ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად, სარდაფის გეგმები, ჭრილები შესაძლებელია გამოიხატოს 1:100 მასშტაბში. გენგეგმები გამოიხატება 1:200; 1:400; 1:500 და ა.შ. მასშტაბებში. დეტალებისა და ფრაგმენტებისათვის აიღება მასშტაბები: 1:25; 1:20; 1:10; 1:5; 1:2; 1:1.

თითოეულმა სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს ძეგლის (ობიექტის) ანაზომის კომპლექსური ნახატები და კროკების ნაწილი ისეთნაირად, რომ იგი შეიცავდეს ყველა განსხვავებულ პროექციას: სიტუაციურ გეგმას, გენგეგმას, გეგმას, ცასადსა და ჭრილს. პრაქტიკის შეფასებისას რგოლი (3-5 სტუდენტის შემადგენლობით) წარმოადგენს კროკების (ნახატების) მხოლოდ ერთ კომპლექსს, რომელზეც ნაჩვენები იქნება აზომების მთელი პროცესი.

ნახატზე აღნიშნული უნდა იყოს: ა. ნაგებობის არსებული დასახელება; ბ. ნაგებობის ძველი დასახელება; გ. ამუნების თარიღი; დ. ნაგებობის ავტორი; ე. ნაგებობის ადგილმდებარეობა; ვ. პროექციის დასახელება; ზ. ამზომავები; თ. ნახატის შემსრულებელი; ი. ხელმძღვანელ-პედაგოგი.

განმარტებით ნაწილში მოცემული უნდა იყოს ძეგლის ადგილმდებარეობა, გარემო, დანიშნულება, მდგომარეობა, არქიტექტურულ-გეგმარებითი თავისებურებანი, მოცულობით-სივრცობრივი და კონსტრუქციული ხასიათი, მასალები; შეძლებისდაგვარად გარკვეული იქნეს სამშენებლო ტექნიკა; დადგინდეს ავტორი და მშენებლობის თარიღი არსებული ლიტერატურისა და ანალოგების საფუძველზე (იხილეთ ნიმუში „განმარტებითი ბარათი“). განმარტებით ნაწილშივე შეიძლება აღნიშნული იყოს აზომის გამოყენებული მეთოდები ან ის ტექნიკური ხერხები, რომლებიც ადგილზევე იყო გააზრებული კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად.

განმარტებითი ბარათი

- I. ეკატერინე ბაგრატიონ-მუხრან-ბატონის სახლი.
- II. არქიტექტურული ძეგლი.
- III. აგებულია XIX საუკუნის შუა ათწლეულში. პროექტი შედგენილია 1862 წელს.
- IV. თბილისი, კალინინის რაიონი, ძეგლისკის ქუჩა N9.
- V. უკანასკნელ პერიოდამდე გამოყენებული იყო საცხოვრებლად. აღებულ იქნა 1976 წელს ახალ მშენებლობასთან დაკავშირებით. დანართი: (ფოტოები), ა. სართულების გეგმები. ბ. ფასადები და ფრაგმენტები. გ. ქრილი.
- VI. საცხოვრებელი სახლის პროექტი, რომელიც დაცულია რესპუბლიკურ ცენტრალურ არქივში (აღრე ინახებოდა საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიული არქივის ფონდებში. ფ. 205, N1920), დათარიღებულია 1862 წლით. პროექტი ეკუთვნის თბილისელ მკვიდრს, წარმოშობით გერმანელს ალბერტ თევდორეს ძე ზალცმანს და შესრულებულია ეკატერინე ბაგრატიონ-მუხრან - ბატონის დაკვეთით.
- VII. შენობა გვერდის კომპოზიციური სტრუქტურით ძირითადად ინარჩუნებს იმ მიმართულებას, რომელიც დამახასიათებელი იყო ამ პერიოდის თბილისის სახლების ერთი ფგუფისათვის. ეს არის ანფილადური კორპუსი ორრიგად განლაგებული ოთახებით და ეზოს მხრიდან მის მართობულად მოთავსებული ფლიგელით. ძირითად კორპუსს და ფლიგელს ერთმანეთთან აკავშირებს ეზოს მხრიდან თითქმის მთელ პერიმეტრზე გაჭიმული აივანი. აღსანიშნავია, რომ პროექტში ძირითადი კორპუსისა და ფლიგელის აივნები ერთმანეთს უშუალოდ არ უკავშირდებოდნენ. ფლიგელის გრძივი კედლები მართობული იყო მთავარი კორპუსის და როგორც პროექტიდან ჩანს, ფლიგელის აივანი გადაწყურება მარცხნივ დარჩენილ სამკუთხა ნაკვეთს, რომელიც ამ სახლის პატრონის კუთვნილება უნდა ყოფილიყო. როგორც ანაზომი გეგმებიდან ჩანს, ფლიგელმა ჩვენამდე საკმაოდ სახმევევლილი სახით მოაღწია: იგი ყრუ კედლით მთლიანად გამოდის მეზობლის საზღვრებამდე და სამკუთხედის ფორმას ღებულობს. აივანმა გადაინაცვლა ეზოს მხარეს და უფრო ორგანულად დაუკავშირდა ძირითადი კორპუსის აივანს. გარდა ამ ძირითადი სტრუქტურული ცვლილებისა, გეგმაში სხვა წვრილმანი ცვლილებებიცაა შეტანილი. მთავარი კიბისათვის გამოყოფილი ადგილი არ იყო გამოყენებული დანიშნულებისამებრ (არ იყო დარჩენილი გარეგნული ნიშნები, რომლებიც კიბის იქ არსებობას დაადასტურებდა. ასევე არ იყო განხორციელებული შიგა კიბე ფლიგელის არეში. ცვლილებები გვხვდება აგრეთვე ფასადის დეკორატიულ დამუშავებაში). არ განხორციელებულა პარაპეტი, საკმაოდ გაიზარდა აივნის სიგრძე, გაუქმებული იყო განვითარებული შესასვლელი მარცხენა მხრიდან, რომელიც ავტორს ალბათ სიმეტრიული კომპოზიციის ხაზგასასმელად თუ გამოუყენებია. შენობას გარკვევით ამჩნევია მეკვიდრეობითობა თბილისური სახლებისათვის დამახასიათებელი ნიშნებით, როგორც არის ძველებური თბილისური აივანი ხის სვეტებით და მოაჯირით [1], თვით სვეტების დამუშავება „ტიოსკანური“ ორდერის ხასიათისა, მოაჯირის აქურული ნახატი კი (თუ ის უფრო გვიან არ არის გაკეთებული) მოგვაგონებს მე-19 საუკუნის მეორე მეოთხედიდან შემორ-

ჩენილი სახლების აივნის მოაჯირის დეკორატიულ ნიმუშებს [2]. ამავე დროს ეკატერინე ბაგრატიონ-მუსრან-ბატონის სახლს უკვე გააჩნია ის ნიმუშები, რომლებიც დამასსიათებელია თბილისურ შენობათა გარკვეული ტიპისათვის. მე-19 საუკუნის სამოციანი წლებიდან მოყოლებული იგი გარკვეულ ტიპად ჩამოყალიბდა [1]. ამ შენობისათვის, როგორც ამ შენობის ტიპის დანარჩენი ჯგუფისათვის დამასსიათებელი იყო რამდენიმე ოთახიანი ბინა, ოთახების ორმხრივი განლაგებით, ჩვეულებრივ ქუჩის ლერძის პარალელურად. ჩამოყალიბებულ ნიმუშებში, ისე როგორც აქ, კიბე თავსდება თვით ძირითად ბლოკში საგანგებოდ გამოყოფილი უჯრედის სახით.

დამხმარე სათავსები -სამზარეულო, მოსამსახურის ოთახი, აბაზანა, საპირფარეშო-გამოყოფილია და გადატანილია ძირითადი კორპუსის გარეთ ეზოს სიღრმისაკენ განვითარებულ ფლიგელში. ეს სათავსები პროექტში ერთმხრივადაა განლაგებული, როგორც ეს გავრცელებული იყო იმ პერიოდისათვის თბილისის საცხოვრებელ სახლებში. განხორციელებულ ნაგებობაში კი ნაკვეთის მთლიანად შევსების გამო ამ თემამ სახე იცვალა და გაჩნდა დიდი სათავსები, რომლებიც საცხოვრებლადაც უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

ქუჩის ფასადზე საკმაოდ შეზღუდული ზომის რკინის ღია აივნანია, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, პროექტში კიდევ უფრო მცირე იყო. ქუჩის მხარეს ხის დიდი აივნების მშენებლობის პრაქტიკიდან განდევნამ ამ სახლშიც იჩინა თავი. ასეთივე გავრცელებული სტილისტური ნიმუშები იყო ჭიმკრის მონყობა ძირითადი მოცულობის ფარგლებში და ფლიგელის საწინააღმდეგო მხარეს, კიბის მოთავსება შენობის ბლოკშივე, ცალკე უჯრედში და სხვ. [1]. ამ სახლსაც ჰქონია „უკანა კარი“ -დამხმარე კიბე ეზოს მხრიდან, ეს არის ფლიგელზე მიდგმული ხეული კიბე, როგორც ჩანს, ხეულ კიბეს ორნამენტირებული მოაჯირი ჰქონია, მაგრამ ერთადერთ ადგილზე შემორჩენილი ორნამენტის ნაწილით მისი აღდგენა შეუძლებელი გახდა.

შენობა აგებულია აგურით. საპირეები, სარტყლები და სხვა პროფილები გამოყვანილია შეღესვამი. კიბეები შენობის შიგნით ხისაა, ხოლო დამხმარე ხეული კიბე ეზოს მხრიდან -ლითონის. შენობის გვეგამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ალბათ შემდგომ პერიოდში (დანვრილმანდა დიდი სათავსები, ტიხრები გადაადგილებულია და სხვ.).

VIII. 1. ვახტანგ ბერიძე. თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1927 წლები, ტ. 1 და 11. სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1960, 1963 66.

2. Вахтанг Цинцадзе. Тбилиси. Издательство Академии Наук Грузинский ССР, Тбилиси, 1958 г.

(ნახ. 33—38)
დაბოლოს, წარმოდგენილი ნაშრომი ემყარება პედაგოგთა მიერ წლების მანძილზე აპრობირებული ეფექტური მეთოდების თეორიულ განზოგადებას და ანარეკლია იმ მუშაობისა, რომელიც მიმდინარეობს არქიტექტურის ინსტიტუტში სწავლების საწყის საფეხურზე. ვფიქრობთ, სახელმძღვანელო დაეხმარება სტუდენტს, განსაზღვროს მის წინაშე დასმული ამოცანები, სწავლების მიმართულება, პრინციპები, მოცულობა, კონკრეტული მოცემულობების მიზანი, შესრულების გრაფიკული სახე.


ლიტერატურა

დისციპლინისათვის „შესავალი სპეციალობაში“

1. Буров А.К. Об Архитектуре. М.: Государственное издательство литературы по строительству, архитектуре и строительным материалам, 1960.
2. Бартенев И.А. Архитектура. Л.: Художник РСФСР, 1960.
3. Гидион З. Пространство, время, архитектура. Сокращенный пер. с нем. Леоне М.В., Черная И.Л., М.: Стройиздат, 1984.
4. Груза И. Теория города. Пер. с чешского. М.: Стойиздат, 1972.
5. Гунтов А.Э., Глазычев В.Л. Мир архитектуры: Лицо города. М.: Молодая гвардия, 1990.
6. Иконников А.В., Степанов Г.П. Основы архитектурной композиции. Учебник. М.: Искусство, 1971.
7. Кринский В.Ф., Колбин В.С., Ламцов И.В., Туркус М.А. Введение в архитектурное проектирование. Учебник для вузов. Изд. 2-е, перераб. и доп. М.: Стройиздат, 1974.
8. Михаловский И.Б. Теория классических архитектурных форм. М.: Издательство Всесоюзной академии архитектуры, 1940.
9. Мастера архитектуры об архитектуре. Под общей ред. Иконникова В.А. М.: Искусство, 1972.
10. Мастера советской архитектуры об архитектуре. В двух томах. М.: Искусство, 1975.
11. Новиков Ф.А. Формула архитектуры: Истоки, процесс, условия, результат из творческого опыта 1981 г. М.: Детская литература, 1984.
12. Подьяпольский С.С., Бессонов Г., Беляев Л.А., Постникова Т.М. Реставрация памятников архитектуры, М.: Стройиздат, 1988.
13. Саваренская Т., Швидковский Д., Петров Ф. История градостроительного искусства. М.: Стройиздат, 1989.
14. Саймондс Дж. Ландшафт и архитектура. Сокращенный пер. с англ. Маньшавина А.И. М.: Издательство литературы по строительству, 1965.
15. Яргина З.Н. Хачатрян К.К. Социальные основы архитектурного проектирования. М.: Стройиздат, 1990.

დისციპლინისათვის „ხატვა“

1. Анисимов Н.Н. Основы рисования. Учебник. М.: Стройиздат, 1974.
2. Вавилов С.Ш. Глаз и солнце. М.: Наука: 1978.
3. Дейнека А.А. Учитесь рисовать. М.: Академия художеств СССР, 1961.
4. Гончаров А. Об искусстве графики. М.: Молодая гвардия, 1979.
5. Зайцев К. Графика и архитектурное творчество. учебник. М.: Стройиздат, 1979.
6. Краткий словарь терминов изобразительного искусства. М.: Советский художник, 1961.
7. Левина Л.М. О рисунке. М.: Советский художник, 1966.
8. Ростовцев Н.Н. Учебный рисунок. М.: Просвещение, 1985.
9. Тихонов С.В., Демьянов В.Г., Подрезков В.Б. Рисунок. Учебное пособие для студентов архитектурной специальности. М.: Стройиздат, 1983.
10. Филиппов В. Основы техники рисунка. М.: Профиздат, 1966.



დისციპლინისათვის „ფერწერა“

1. Алексеев С.С. О колорите. М.: Изобразительное искусство, 1974.
2. Алпатов М.В. Всеобщая история искусств. В 3-х т. М.,Л.: Искусство, 1948.
3. Альберти Л.Б. Три кники о живописи. М., 1937.
4. Бецольд В. Учение о цветах по отношению к искусству и технике. Пер. с нем. СПб, 1878.
5. Волков Н.Н. Цвет в живописи. Изд. 2-е, доп. М.: Искусство, 1984.
6. Жегин Л.Ф. Язык живописного изображения. М.: Искусство, 1970.
7. Зайцев К.Г. Современная архитектурная графика. М.: Стройиздат, 1970.
8. Ивэнс Р.М. Введение в теорию цвета. М.: Мир, 1964.
9. Иогансов Б.В. Композиция и колорит. М.: Искусство, 1960.
10. Иогансон Б.В. О живописи. М.: Искусство, 1960.
11. Иттэн И. Искусство цвета. М., 1974.
12. Леонардо да Винчи. Книга о живописи. М.: Изогиз, 1934.
13. Освальд В. Цветоведение. М-Л.: 1926.
14. Ревякин П.П. Техника акварельной живописи. М.: Госстройиздат, 1959.
15. Рихтер Л. Основы учения о цветах для художника. М.,Л.: Госиздат, 1927.

16. Шегаль Г.М. Колорит в живописи. М.:Искусство, 1957.
17. Юон К.И. О колорите. М., 1948.
18. Юон К.Ф. О живописи. М.,Л.: Изогиз, 1937.
19. Яковлев Б.Н. Цвет в живописи. М., 1961.
20. ჯაფარიძე ვ. დაზგური და აკვარელით ფერწერის საკითხები. თბილისი: განათლება, 1975.

დისციპლინისათვის "ქანდაკება"

1. Голубкина А.С. Несколько слов о ремесле скульптора. М.: Советский художник, 1958.
2. Крестовский И.В. Монументально-декоративная скульптура. Техника, технология, реставрация. М.,Л.: Искусство, 1949.
3. Крестовский И.В. Скульптура. М.: Профиздат, 1960.
4. Лантери Э. Лепка. Пер. с англ. М.: Академия художеств, 1963.
5. Муромцева Е.К. Скульптурные и декоративно-лепные работы. Практическое руководство для архитектурных вузов и техникумов. Альбом с илл. и текстом. 2-ой вариант. М.: МАИ, 1959.
6. Муромцева Е.К. Скульптурные и декоративно-лепные работы. Практическое руководство для архитектурных вузов и техникумов. 1 вариант. М.:МАИ, 1946.
7. Скульптура. Учебник. Под редакцией Модорова Г.М. М.: Изобразительное искусство, 1975.

დისციპლინისათვის "მხაზველობითი გეომეტრია"

1. ნ. დარასველიძე. მეთოდური მითითებები მხაზველობით გეომეტრიაში, ჩრდილები და პერსპექტივა. თბილისი: სპი-ს გამოც., 1979.
2. გ.ვანჩაძე. მხაზველობითი გეომეტრია. სახელმძღვანელო. თბილისი: განათლება, 1979.
3. გ.ვანჩაძე. გამოყენებითი პერსპექტივის საფუძვლები. თბილისი: განათლება, 1966.
4. თ.თევზაძე, თ.კაციაშვილი, თ.ტომეშაშვილი, ა.შავგულიძე, გ.წულეისკირი. გეომეტრიული აგებანი სიბრტყეზე. თბილისი, სპი-ს გამოც., 1991.
5. თ.თევზაძე, თ.კაციაშვილი, თ.ტომეშაშვილი, ა.შავგულიძე, გ.წულეისკირი. სივრცითი ფიგურების სიბრტყეზე ასახვის გრაფიკული მეთოდები და მათი გამოყენება. II ნაწილი. თბილისი, სპი-ს გამოც., 1991.
6. ქ.კალანდაძე. მხაზველობითი გეომეტრიის ამოცანათა კრებული. დამხმარე სახელმძღვანელო. თბილისი: განათლება, 1978.

7. მეთოდური მითითებები სავალდებულო საკონტროლო შრომების შესასრულებლად. შემდგენლები: ლ.ასათიანი, გ.ჩიტიანი, ზ.კვინიკაძე, რ.გოგაძე, გ.რეხვიაშვილი. თბილისი, სპი-ს გამოც., 1984.

8. სამუშაო პროგრამა მხაზველობით გეომეტრიაში. შემდგენლები: გ.ვარძაძე, ა.შაველიძე. თბილისი, სპი-ს გამოც., 1976.

დისციპლინისათვის "არქიტექტურული კომპოზიცია"

1. Белоусов Е.Д. Практикум по объемно-пространственной композиции. Учебное пособие. Воронеж: ИСИ,
2. Иконников А.В., Степанов Г.П. Основы архитектурной композиции. Учебник. М.: Искусство, 1971.
3. Крянский В.Ф., Ламцов И.В., Туркус М.А. Элементы архитектурно-пространственной композиции. Учебное пособие для архитектурных вузов. М.: Стройиздат, 1934.
4. Коротковский А.Э. Введение в архитектурно-композиционное моделирование. Учебное пособие. М.: 1975.
5. Объемно-пространственная композиция в архитектуре. Учебник. Под редакцией Степанова А.В. И Туркуса М.А. М.: Стройиздат, 1975.
6. Пипия Э.П. Введение в архитектурную композицию. Учебное пособие. Тбилиси: Ганатлеба, 1988.
7. Чуваргина Н.П., Ушакова Т.А. Художественно-композиционная подготовка в высшей архитектурной школе. Учебное пособие. М.: МАРХИ, 1987.
8. ლ.გრიგოლია. დაზგური და ნიგნის გრაფიკა. ქანდაკება. ნიგნი 1. თბილისი: ხელოვნება, 1989.
9. ე.ფიფია. არქიტექტურული კომპოზიციის შესავალი. დამხმარე სახელმძღვანელო. თბილისი: განათლება, 1989.

დისციპლინისათვის "არქიტექტურული კომპოზიცია და დაპროექტების მეთოდოლოგია"

1. Архитектурная композиция в начальном обучении студентов Свердловского архитектурного института. Методические разработки. Свердловск: Свердловский архитектурный институт, 1983.
2. Бархин Б.Г. Методика архитектурного проектирования. М.: Стройиздат, 1982.
3. Основы архитектурной композиции и проектирования. Учебник. Под редакцией Т.Л.Тица. Киев: Высшая школа, 1976.
4. Степанов А.А., Ламцов М.А. Объемно-пространственная композиция в архитектуре. Учебник. М.: Стройиздат, 1975.

დისციპლინისათვის "არქიტექტურული გეგმარების საფუძვლები"

1. Анисимова И.И., Степанов А.В. Архитектурное проектирование малоэтажного жилого дома. Учебное пособие. - М., 1987.
2. Альберти Л.Б. Десять книг о зодчестве. В 2-х томах. М., 1935.
3. Барц М.О., Лисициан М.В., Тургенев С.П., Федорова Н.В. Архитектурное проектирование жилых зданий. Учебное пособие. М.: Стройиздат, 1972.
4. Бархин Б.Г. Методика архитектурного проектирования. Учебно-методическое пособие для архитектурных вузов и факультетов. М.: Стройиздат, 1982.
5. Гараканидзе М.К. Грузинское деревянное зодчество. М.,Л.: Искусство, Тбилиси: Сабчота Сакарთველო, 1959.
6. Джандиери М.И., Лежава Г.И. Народная башенная архитектура. М.: Стройиздат, 1976.
7. Кринский В.Ф., Колбин В.С., Ламцов И.В., Туркус М.А. Введение в архитектурное проектирование. Учебник для вузов. Издание 2-е, перераб. и доп. М.: Стройиздат, 1974.
8. Кудряшев К.В. Архитектурная графика. Учебник для студентов высших учебных заведений, обучающихся по специальности "Архитектура". М.: Стройиздат, 1990.
9. Михаловский И.Б. Теория классических архитектурных форм. М.: Издательство Всесоюзной академии архитектуры, 1940.
10. Степанов А.В., Малахов С.А., Нечаев Н.Н. Введение в проектирование. Учебное пособие. М.: МАРХИ, 1982.






11. Сумбалдзе Л. Архитектура грузинского народного жилища **დაბალი**
 Тбилиси: Мецნიერება, 1984.

- 12. ო.ვარვარიძე. ქართული შრიფტი. თბილისი, ხელოვნება, 1978.
- 13. ნ.თევზაძე, ა.ჩიქოვანი. პროგრამა და მეთოდური მითითებები საკურსო პროექტების შესასრულებლად მცირესართულიანი საცხოვრებელი სახლის დაგეგმარებაში. თბილისი: სპი-ს გამოც., 1978.
- 14. ნ.თევზაძე, ვ.დავითაია, კ.ამირეჯიბი. მეთოდური მითითებები საკურსო პროექტის შესაქმნელად მცირესართულიანი საცხოვრებელი სახლის დაგეგმარებაში. თბილისი: სპი-ს გამოც., 1985.
- 15. ნ.ქადეიშვილი. არქიტექტურის საფუძვლები. სახელმძღვანელო. თბილისი: განათლება, 1975.
- 16. ო.ჯიშკარიანი. ანბანთეება. თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1986.


აზომებითი პრაქტიკისათვის

- 1. ვ.ბერიძე. თბილისის ხუროთმოძღვრება. 1801-1917 წლები. ტ.1 და 11. თბ.: საბჭოთა საქართველო, 1960, 1963.
- 2. Максимов П.Н., Торопов С.А. Архитектурные обмены. М.: Издательство Академии архитектуры СССР, 1949.
- 3. Цинцадзе В. Тбилиси. Тбилиси: Наука, 1958.
- 4. Чубинашвили Г.Н. Црми. М.: Наука, 1969.


ილუსტრაციები





ნახ. 1




ს.ბ. 2




Գծ. 3




Գծ. 4





გახ. 5





სახ. 6




ფაბ. 7






ნახ. 8







გვ. 9










ნახ. 12





სახ. 13









ტ.ბ. 14






სახ. 15




Ես. 16




ნახ. 17










ნახ. 19





Ե. Վ. 20



ბრუნინიანი 4 ოთახიანი სასტუმროს სხეული





სტუდენტი: ი. ავალიშვილი, 1294 წელი.
პედაგოგი: ნ. თევზაძე, მ. გუჯაბიძე, თ. გოგოლაძე





ერთბინიანი
7 ოთახიანი
სამკვრივრეზი
სახლი





სტრუქტურა: მ. ადვილაური, 1294 წმ
 დეტალები: ნ. ადვილაური,
 მ. გუგუშვილი,
 ა. გოგოლაძე



ბრუნინიანი
8 მანბანიანი
სავეზირაბელი
სახლი





სტუდენტი: მ. ბერია, 1297 ჯგუფი.
პედაგოგი: რ. ლორთქიფანიძე,
ა. გოგოლაშვილი





06



სამხრეთ-დასავლეთის რეგიონის სახლი
პროექტი



1. სახლის კედელი
2. სახლის ფილა
3. სახლის სარკმელი
4. სახლის კარები
5. სახლის კარის
6. სახლის კარის




სამხრეთ-დასავლეთის რეგიონის სახლი
პროექტი






საქართველოს
საქართველოს
საქართველოს





სამშენობელი
ს ა ნ ი


მთავარი ფასადი



მეორე სართულის
გეგმა



მეორე სართულის
გეგმა




სტუდენტის მ. ჩიტაშვილი, 1203 ჯგუფი




სპორტების სასახლის პროექტი

გვერდითი ფასადი


მთავარი
ფასადი





გ ე ბ მ ა





გენერალური
გ ე ბ მ ა



სტუდენტისა. ფიბიჩაშვილი, 1202 წგაფი.
1992 წილი.
პედაგოგებისნ. თევზაძე, მ. გუჯაბიძე, თ. გოგუაძე



სეპარაციების განსაზღვრი პლანი





სტრუქტურის მ. ბუჯიაშვილი. 1202 წელი. 1992 წელი
პედაგოგი: ნ. ივანიშვილი, მ. გუგუშვილი, თ. გოგუაძე.

100

მთავარი ფასადი



ჭრილი



101

ბიბეა



ვერდიანი ფასადი





სტუდენტი: ბ.თინიკაშვილი, 6300 ჯგუფი.
პედაგოგები: ნ.თეიმურაზიძე, ვ.გუგუშვილი, ზ.ყარა-მურზა
1994-1995 სასწავლო წელი.

ს ა ნ რ ი ე მ ბ ე რ ი


102



სტუდენტი ი. ბუიძე, 1202 წელი. 1992 წელი.
მეცნიერებათა აკადემია, მ. გ. გუგუშვილი, მ. გ. გუგუშვილი.








ნ.ჯამაყაშვილი, 1202 წგვთა




ქოქი

3 1 50






გ ა ნ შ ლ ა




საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი
არქიტექტურის ფაკულტეტი
1989-1990 სასწავლო წელი
სტუდენტი: შ. ანონიძე
პედაგოგი: თ. თევზაძე
გ. შებრეველი


გ ა ნ შ ლ ა




ტრანსპორტის სახეობანი



სიტუაციური გეგმა




105



სტრუქტურა: სუმბაძე, 1201 ყაბულა

Կարեն-Եղիաթովի ընտանիքի
տնային
Ճարտչական թ. N40 (Քյոնիկ Քոչու N1)
1982 Տ.


ՕՂՕՁ
Ճարտչական թ. Ք-599



Ճարտչ: Ե. Զեյնով
Ե. Թովմաթյան
Պ. Մանուկյան
Կա-ը: Յ. Գրիգորյան

Երզրան-Եղևարտիկոյնի եկեղեցի
 ՈՒՅՈՒՆ
 ՅՈՒՐՏՆԵՆ ԳՆՎՈՒՄ (ԲՆԱՆԵՆ ԶԵՐ ԿՎ)
 1982 Վ.

Գոնալ ՅՈՒՐՏՆԵՆ
 Գ. ՅԵՆՈՒՅԵ




	1	2	3	4	5	6	7	8	9
A	600	638	662	683	250	272	295	312	334
B	669	699	746	720	369	349	325	309	286

Գծել: Ե. ԲՆՈՒՅԵ
 Կ. ՅՈՒՐՏՆԵՆ
 Ս. ԵՆՈՒՅԵ
 ԵՐԶՐԱՆ-ԵՂԵՎԱՐՏԻԿՈՅՆ ԵԿԵՂԵՑԻ


ՆՈՒ. 34

Երևանի Կոմունիստական Երկրակառուցման
Երկրաչափական
Պ. Չախչախյան N10 (կառույց հոգա N1)
1982 թ.




Ճարտ. Ե. Բեկյան
Ե. Չախչախյան
Պ. Չախչախյան
Կառուցման հոգա

საბინაოს გეგმა





გვ. 36

თქსქღ / ნახაღისი ქ. ნახაღისი /



ნახ. 37

ფანჯრა



ფან. 38

შინაარსი

წინასიტყვაობა.....	3
არქიტექტორული განათლების სპეციფიკა (ნ. თევზაძე).....	4
არქიტექტურის ეტიმოლოგია და არსი (გ. ჩიგოგიძე).....	8
დისციპლინა „შესავალი სპეციალობაში“ (ი. ციციშვილი).....	12
წახატი როლი არქიტექტორის მომზადებაში (რ. ჩოხელი).....	15
წახატი სხვადასხვა ტექნიკასა და მასალაში (ო. სენიაშვილი).....	19
პროგრამა დისციპლინაში „ხატვა“ (ნ. თევზაძე).....	22
ფერწერის როლი არქიტექტორის მომზადებაში (პ. კლიბაძე).....	25
დისციპლინის „ფერწერა“ შესახებ (ვ. მუჯირი).....	28
პროგრამა დისციპლინაში „ფერწერა“ (ნ. თევზაძე).....	30
დისციპლინის „ქანდაკება“ სწავლების შესახებ (დ. ტაბატაძე).....	34
მხაზველობითი გეომეტრია არქიტექტორებისათვის (ა. შავგულიძე).....	37
დისციპლინა „არქიტექტურული კომპოზიცია“ (ე. ფიფია).....	43
დისციპლინა „არქიტექტურული კომპოზიციის და დაპროექტების მეთოდის“ (ე. ფიფია).....	50
„არქიტექტურული კომპოზიციისა და დაპროექტების მეთოდის“ სწავლების შესახებ (შ. ბოსტანაშვილი).....	52
დისციპლინა „არქიტექტურული გეგმარების საფუძვლები“ (ნ. თევზაძე).....	56
სასწავლო - აზომვითი პრაქტიკა (შ. გოგოლაძე).....	63
ლიტერატურა.....	68
ილუსტრაციები.....	74

რედაქტორი მ. ძიძიგური
ტექნიკური რედაქტორი ნ. ცირევიძე
კორექტორი ნ. დოლიძე
დამკაბადონებელი დ. ჩიქოვანი
გამომშვები მ. ხაბალაშვილი

გადაეცა წარმოებას 31.05.1993 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 06.06.1997 წ.
ქალაქის ზომა 70X100 1/16. გარნიტურა კოლხეთი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი
7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი ნ. ტირაჟი 100 ეგზ. შეკვეთა №176

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი, მ.კოსტავას, 77

სტუ-ს სტამბა, თბილისი, მ.კოსტავას, 75